



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY”

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ 4 (24) 2012, ტომი II

ღია დიპლომატიის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

**Scientific magazine of
The Open Diplomacy Association**


Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ბ. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბაღათურია

პასუხისმგებელი მდივანი

ანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია)
ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, რა-
ელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიციკი, ვახტანგ გურულ
შოთა დოღონაძე, ელენ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილ
ერჯო კამიზი, რინარდ მასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრ
აკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი რუხჯანა, რამონ პიეტრ
უარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძ
რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა
პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის
შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,
I სართული, ტელ. 236-45-14,
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: geoandependip@yahoo.com

გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე:

<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერ
ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე მ ე

თეორია

გიორგი მჭედლიშვილი

რას გულისხმობს სახელმწიფოს მართვის
ეფექტური მექანიზმი?----- 5

ნატალია ლებედევა, მარია სემიონოვა

სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის
საკითხის შესახებ რუსეთში (რუსულად)----- 21

ქეთევან მეფარიშვილი, ზაზა ქოიავა

ადამიანური ურთიერთობებისა და მართვის ბიჰევიორისტული
სკოლების როლი 21-ე საუკუნის მენეჯმენტში----- 27

ლაშა გოგიბე

ღია მმართველობა საქართველოში, მიღწევები
და გამოწვევები----- 50

ისტორია

ჰენრი კუპრაშვილი

საქართველოში სასულიერო წოდების შექმნის
რამდენიმე ასპექტი----- 54

დავით პიპინაშვილი

ჩინეთ-თურქეთის ურთიერთობების ტენდენციები ახლო
აღმოსავლეთსა და კავკასიაში განვითარებული ბოლოდროინდელი
მოვლენების ჭრილში----- 61

ოლგა კარნაუხი

რუსეთის იმპერიაში რეგიონალური მართვის ორგანიზაციის
პრობლემისათვის: ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი
(რუსულად)----- 75

ეკონომიკა

გენადი იაშვილი, თინათინ იაშვილი,
თამარ თვალჭრელიძე
მომსახურების ახალი როლის განმსაზღვრელი
ფაქტორები----- 79

თამარ რევაზიშვილი
ეკოლოგიური განათლება მდგრადი განვითარებისთვის----- 88

ეკა ივანიშვილი, ევგენი ბარათაშვილი
რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების
ფორმირების ასპექტები----- 95

სამართალი

ნატალია ლებედევა
რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო და
ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანიზაციის
სამართლებრივი რეგულირება (რუსულად)----- 106

ელენე ზაქარიანი, ალა სუშკოვა
სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ-
სამართლებრივი საფუძვლები რუსეთში (რუსულად)----- 111

საზოგადოება

ნათია ასათიანი
"კაცო... რაღაცა უბედურებამ გული აუცრუა ახლანდელ
ყმაწვილებს"... "დარისპანის გასაჭირი" რუსთაველის
თეატრის დიდ სცენაზე----- 115

თ ე ო რ ი ა

ბიორბი მჯეღლიშვილი რას ბულისხმობს სახელმწიფოს მართვის ეფექტური მმანინიზმი?

„დაინახო ის, რის განხორციელებასაც მოვალეობა გავაღებს
და არ გააკეთო - სიმხდალეა.“ კონფუცი

1. მმართველობის „იდეალური მოდელის“ ძიებაში

დღეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, თუ რატომ არის, რომ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ერების ერთი ნაწილი „კეთილდღეობის ჭაობში“ იხრჩობა, უმრავლესობა კი სიზიპეს შრომით ამოდ ებრძვის სილატაკეს. ეს არის მმართველობითი სისტემის და სახელმწიფოს ადმინისტრაციული მართვის მექანიზმთან დაკავშირებული პრობლემები.

სახელმწიფოს მმართველობის ეფექტურობაზე და მის სრულყოფაზე მსჯელობა დასაბამს ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იღებს, მაგრამ ამ ნააზრვეის პრაქტიკულად განხორციელების ყველაზე იდეალურ მოდელს მაინც რომის რესპუბლიკა წარმოადგენს.

ძველი რომაელები გრძნობდნენ რა თავიანთ სახელმწიფოს თავისებურებას, მას სრულიად სამართლიანად, ყველაზე სრულყოფილად თვლიდნენ. პირველი მათ შორის იყო პოლიბიოსი (ჩვენს ერამდე 201-120 წწ.), წარმოშობით ბერძენი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებები სახელმწიფოს იდეალურ მმართველობაზე. მან მრავალი წელი იცხოვრა რომში და გახდა მისი მხურვალე თაყვანისმცემელი. პოლიბიოსმა შექმნა თეორია, რომელიც ხსნიდა, თუ რატომ ამაღლდა რომი სხვა ხალხებზე. მისი აზრით, რომში იყო მმართველობის ყველაზე საუკეთესო ფორმა - შერეული, რომელიც შეიცავდა დემოკრატიულსაც (სახალხო კრება), მონარქიულ პრინციპებსაც (კონსულები) და არისტოკრატიულსაც (სენატი). არც ერთი ამ არ ჩაგრავდა მეორეს და ერთად აღებულნი ქმნიდნენ ჰარმონიულ მთლიანობას. რომაელებმა შექმნეს სახელმწიფო სისტემა, რომელშიც სხვადასხვა ორგანოებს, რომელთა ძალაუფლებაც

არ იყო უსაზღვრო, შექმლოთ ერთმანეთის გაკონტროლება, ეს კი დიდი წინაღობა იყო თვითმპყრობელობისათვის.

მმართველობის „იდეალურ მოდელს,“ რომელიც არა მარტო ტრადიციას თუ ქარიზმას, არამედ უწინარესად გონივრული წეს-კანონების სისტემას ემყარება, არ არის უცვლელი მოცემულობა.

დღეს, როდესაც დემოკრატია, პლურალიზმი მიიჩნევა ყველა კულტურისთვის უნივერსალურ და აბსოლუტურ ღირებულებად, სასურველია გვახსოვდეს ისიც, რომ დემოკრატია არ არის ისეთი ფენომენი, რაც ერთხელ დამკვიდრებული, შემდგომში თავისით არსებობს და საკუთარ საფუძვლებს ასაზრდოებს. ამიტომ მისადმი დამოკიდებულებაც არ უნდა იყოს ხისტი და ერთმნიშვნელოვანი.

ცნობილია, რომ პლატონს, როგორც პიროვნებას, ერთნაირად სძულდა დემოკრატიაც და ტირანიაც. მისი გაგება არ არის რთული თუნდაც იმიტომ, რომ დემოკრატია ჭეშმარიტების დადგენას კი არ ემსახურება, არამედ საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევას. ან კიდევ, ხმები უნდა დაითვალოს თუ უნდა აიწონოს? ნუ დაგვავიწყდება, რომ:

დათვლილი ხმებით დემოკრატია უღმა ათენმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 399 წელს ყველა დროის უდიდეს მოაზროვნეს - სოკრატეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა....

დათვლილი ხმებით მოვიდა გასული საუკუნის 30-იან წლების გერმანიაში ფაშიზმი.

„დემოკრატიის შეუქმრდილებზე“ საყოველთაოდ ცნობილია უინსტონ ჩერჩილის აზრი: „დემოკრატია არის მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმა, ხოლო მმართველობის ყველა სხვა ფორმა მასზე უარესია.“

ცხადია, რომ დემოკრატია ვერ იარსებებს მასზე და მის პრაქტიკებზე მუდმივი მსჯელობის გარეშე არა მარტო ახლადდემოკრატიზებად საზოგადოებაში, არამედ თვით დამკვიდრებული ლიბერალური დემოკრატიის შუაგულშიც. ამას მოწმობს ის, რომ დემოკრატიის არსის გააზრებას და მისი თეორიების განახლებას მუდმივად უბრუნდებიან დასავლეთის ყველაზე ღრმა თეორეტიკოსები და ფილოსოფოსები. თანამედროვე ეტაპზე ცალკეულ ერთა პოლიტიკური კულტურის (ფესვების) შესწავლა ხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დემოკრატიზაციის პროცესთა ანალიზისას. რამდენადაც საქმე ეხება დემოკრატიისათვის აუცილებელ საჭირო კულტურულ წინამძღვართა ძიებას, რაც

შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან ფაქტორად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გეზის ახსნაში.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის სინამდვილისთვის მოვლენების განვითარება სულ სხვაგვარად მოხდა. რამაც ათქმევინა ლუკ ჰარდინგის შემდეგი სიტყვები: „საქართველო დემოკრატიას ითვისებს, მაგრამ საკუთარ წარსულს ანგრევს.“

ამიტომ, საუბარი ჩვენს საზოგადოებაში და პოლიტელიტაში იმაზე კი არ უნდა მიდიოდეს თუ როგორ „გადმოვნერგოთ“ ევროპული ფასეულობები ჩვენს ნიადაგზე, არამედ ერთად უნდა ვიზრუნოთ ეს ფასეულობები, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ კულტურაში როგორ ვეძიოთ.

მას კი, ისევე როგორც სახელმწიფო მოწყობის „იდეალურ მოდელს“ ყოველმა მოწინავე ერმა თავისი ისტორიული გამოცდილებით მიაგნო. მუსოლინის და ჰიტლერისგან განაწამებმა იტალიელებმა და გერმანელებმა უარი თქვეს მმართველობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ერთი კაცის გუნება-განწყობაზე იქნებოდა დამოკიდებული. მათთვის იდეალური აღმოჩნდა საპარლამენტო მოდელი.

გუსტავ-ადოლფებისა და კარლების ახირებებით დაუსრულებელ ომებში ჩათრეულმა შვედებმა თავის დაღწევა იმით შექდეს, რომ ერთ დღესაც სამეფო ტახტზე ნაპოლეონის ყოფილი მარშალი, ფრანგი ბერნადოტი დასვეს, რომელსაც უფლებები შეუზღუდეს და სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაუქვემდებარეს. შედაგად კი მიიღეს ის, რომ მისი შთამომავალნი დღემდე ერთგულად ემსახურებიან შვედ ხალხს.

აქსიომაა ის, რომ სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს მოქალაქეობრიობა, ხოლო მოქალაქეობრიობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია. დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად პირველი აუცილებელი პირობა არის ქვეყნის დამოუკიდებლობა და თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამიტომაც მიჩნეულია, რომ თავისუფალი, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა მრავალასპექტიანი პროცესია. იგი ითხოვს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მმართველობის ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი. საამისოდ კი აუცილებელია, როგორც საკუთარი, ისე მოწინავე

დემოკრატიული ქვეყნების ისტორიული გამოცდილების არაერთი არსებითი მხარის შესწავლა და გათვალისწინება.

სახელმწიფოს ადმინისტრაციული მართვის ეფექტური მექანიზმი გულისხმობს სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი – ჩინოსნების პრივილეგიაზე (ძმაცობა, წარმოშობა, ფული) დაფუძნებული იერარქია, შეიცვალოს იერარქიით, რომლის შერჩევის საფუძველი იქნება პიროვნება, მისი ცოდნა, ბიოგრაფია, პროფესიული კვალიფიკაცია, პატიოსნება და უმთავრესზე უმთავრესი – პატრიოტიზმი. წავიდა ის დრო, როდესაც ონერე დე ბალზაკს შეეძლო ეთქვა: “ბიუროკრატია გოლიათური მექანიზმია, რომელსაც ჯუჯები მართავენ.”

დღესდღეობით შეუძლებელი ხდება საჯარო მოხელეთა უბრალო ადმინისტრატორებად მიჩნევა - დღეს ისინი მთელი პოლიტიკური პროცესის საკვანძო ფიგურებს წარმოადგენენ და ზოგჯერ თავად სახელმწიფოსაც კი.

როდესაც ტრადიციისა და პრივილეგიის იდეები გაცვდა, დემოკრატიზაციის წნეხმა ხელი შეუწყო და ადგილი დაუთმო ღია კონკურენციას.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმძიმესი წლების თვითმხილველთ და მონაწილეთ შესაძლებლობა გვქონდა გვეფიქრა, როგორც ჩვენს, ისე სხვათა წარმატებისა თუ წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზებზეც.

მე-17 საუკუნის ბოლოს, როდესაც ფრანგ ანატომსა და ფიზიოლოგს მარი ფრანსუა კრავიეს ჰკითხეს, განემარტა თუ რა არის სიცოცხლე, მან უპასუხა: „სიცოცხლე არის სიკვდილისათვის წინააღმდეგობის გაწევა.“ ქართველმა ერმა სიცოცხლისუნარიანობა არაერთხელ დაამტკიცა, ახლა რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის რომ ათასგვარ წვრილმანებზე არ ვხარჯავდეთ იმდენ ენერგიას, რომელიც ნებისმიერ ერს მიიყვანდა უბრწყინვალეს შედეგებამდე, ჩვენ კი ხანგძლივი დროის განმავლობაში დამკვიდრებული პარაზიტული მმართველობითი სისტემის წყალობით, კვლავაც ვაგრძელებთ გმირულ წინააღმდეგობას უბადრუკ ხვედრთან.

უნდა გვახსოვდეს და ამას „საყოველთაო კეთილდღეობის“ სახელმწიფოთა გამოცდილებაც გვეუბნება, რომ ჩვეულებრივ დემოკრატია იქ იმარჯვებს, სადაც სიუხვევა. ამიტომ ჩვენთვის მატერიალური სიდუხჭირის დაძლევა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობისაა.

2. ფასადური კონკურსები ფასადური დემოკრატიისთვის, თუ კონკურსები - კონკურენტუნარიანი გარემოსთვის?!

გამოსავლის ძიებაში მყოფებმა დასაფიქრებლად და ჭკუის სასწავლებლად იქნებ ისევ სხვათა გამოცდილებას მოვუხმოთ. მაგალითისთვის ამჯერად მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქვეყნის, აშშ -ის ისტორია გავისხენოთ.

ამ ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1883 წელი, როდესაც ამერიკაში პენდლტონის კანონი მიიღეს - „სახელმწიფოს სამსახურის კანონი.“ მან საფუძველი დაუდო სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუტს, რომელიც თავისი მნიშვნელობით ათას მოგებულ ბრძოლას აღემატება.

„სახელმწიფო სამსახურის კანონი“ კატეგორიულად მოითხოვს სახელმწიფო თანამდებობის გადანაწილებას მხოლოდ ღია კონკურსის საშუალებით.

ეს კანონი მუშაობს 1883 წლიდან დღემდე და ის უცვლელია. ამ კანონის ამოქმედებამ შექმნა ის უნიკალური სიმდიდრე და ძლიერება, რაც შეერთებულ შტატებშია თავმოყრილი.

1887 წელს ამ კანონის თეორიული მოდელი კი ე.წ. „ადმინისტრაციული ეფექტურობის მოდელი“ პროფესორმა ვუდრო ვილსონმა შექმნა, რითაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობა დაიმსახურა, ხოლო თვითონ ისტორიაში შევიდა, როგორც ყველა დროის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე.

აშშ-ს გამოცდილება იმიტომ ავიღეთ, რომ ის სანიშნოა თვით მოწინავე მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც. რომ ეს ასეა, შედარებისთვის ავიღოთ თუნდაც დიდი ბრიტანეთი.

ჯერ კიდევ წლების წინათ, გაერთიანებულ სამეფოში - საჯარო სამსახურის დეპარტამენტის გაუქმების შემდეგ, ბიუროკრატიის კადრების ფაქტიურად სრული “ტექნერიაცია” მოხდა.

თავის დროზე პრემიერ მინისტრს, მისი მმართველობის დროს იმასაც კი აბრალებდნენ, თანამდებობაზე დანიშნვის წინ ნებისმიერ კანდიდატზე იმას კითხულობს - ჩვენიანია თუ არაო.

პოლიტიზაციის ჭია კარგა ხანია ფრანგულ ადმინისტრაციასაც შეუჩნდა - ამჟამად 500 უმაღლეს

თანამდებობაზე მოხელეები დანიშნულნი არიან უშუალოდ წამყვანი პოლიტიკური ფიგურების მითითებებით.

კონკურსებთან დაკავშირებით, შეიძლება ნებისმიერ თვენთაგანს გაუჩნდეს სურვილი შეგვახსენოს, რომ მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე კანდიდატთა შერჩევა კონკურსის წესით კარგახანია უკვე ჩვენთანაც ტრადიციად დამკვიდრდა. მაგრამ, წლების განმავლობაში, საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში, თუ რა ტიპის „გამჭვირვალე“ კონკურსები და არჩევნები ტარდებოდა, ან რა კვალიფიკაციისა და წესიერების ადამიანებს ანდობდა „ვარდების“ ხელისუფლება ასეთ სელექციებს, ეს ე.წ. „ფასადური დემოკრატიის“ შედეგი ყველაზე უკეთ 1 ოქტომბერს გამოჩნდა.

ამიტომ კლანური მმართველობის შედეგებზე საბოლოოდ რომ უარი ვთქვათ, აუცილებელია დღემდე ჩატარებული კონკურსები ბათილად გამოცხადდეს და ჩატარდეს ახლიდან. ვინაიდან, კადრების შერჩევის კლანურმა პრინციპმა: ჩემიანია, ჩემი კლანის კაცია, რაც იყო კომუნისტების დროს, შევარდნაძის მმართველობისას და განსაკუთრებით წინა ხელისუფლების ხანაში, შედეგად მოგვცა ის, რომ ძალიან ბევრი უცოდინარი და არაპროფესიონალი მოხვდა არათუ თანამდებობაზე, ადამიანთა საქმიანობის ყველა უბანზე, მათ შორის საგანმანათლებლო სისტემაშიც. სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე, კვალიფიციურ სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისიები, რომლებიც მაქსიმუმ 3 წლის ვადით შეარჩევენ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს. მათი გადარჩევა, ან აღვილზე დატოვება და დაწინაურება მხოლოდ კონკურსის წესით იქნება შესაძლებელი, რათა მომავალში ხელისუფლებაში მოსულ 20 წლის ბიჭებს, აღარ დასჭირდეთ თავისი გუნდის მოყვანა. მთავრობები უნდა წავიდნენ და მოვიდნენ, მაგრამ სახელმწიფო მოხელის დანიშვნა-მოხსნა ცალკეული პირების გუნება-განწყობაზე აღარ იყოს დამოკიდებული. სწორედ ასეთი „ღია კონკურსები“ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში შექმნიან ქვეყანაში კონკურენტუნარიან გარემოს, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ჩვენი ცხოვრება წარმართონ არა შემთხვევითმა პირებმა, არამედ საუკეთესოებმა.

ძველ სპარტაში გერუსიაში (უხუცესთა საბჭოში), არ აირჩიეს დიდი დამსახურების მქონე სახელოვანი ვაჟკაცი. ამ ამბით ალტაცებული ყოველ შემხვედრს ულოცავდა: მე მეგონა,

რომ საუკეთესო ვიყავი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ბედნიერი ვარ, რომ სპარტას ჩემზე კიდევ უფრო ღირსეული ვაჟივცები ჰყავს.

ნათქვამია: „იმ ფურმა ჩამწიხლოს, ვინც ჩემზე მეტს იწველისო.“

- ობიექტურად ჩატარებული კონკურსები და არჩევნები, ერთი მხრივ არ მისცემს „თვითკმაყოფილების“ უფლებას გამარჯვებულს, ხოლო დამარცხებულს, ვისაც უყვარს თავისი პროფესია, უკეთ მომზადებული, კონკურენტუნარიანი გარემოში კვლავაც იბრძოლებს გამარჯვებისათვის, ხოლო ვისაც არ სურს ბრძოლა, ის არც მიიხნევს თავს დარგის სპეციალისტად.

- ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნა და ბიუროკრატიულ კიბეზე აღმასვლა ისეთ პროფესიულ კრიტერიუმებზე უნდა იყოს დამოკიდებული, როგორცაა უნარჩვევები, გამოცდილება და ადმინისტრაციული აღლვ.

მადლობა ღმერთს, იმედია, სამომავლოდ ყველაფერი ამ მიმართულებით წავა.

მაგრამ იქნება კი ეს საკმარისი? ალბათ, არა. ვინაიდან, თვით კონკურსის წესით შერჩეულ ბიუროკრატისაც გაკონტროლება სჭირდება.

ბიუროკრატის გაკონტროლების რამდენიმე გზა არსებობს:

- შესაძლოა შემუშავებულ იქმნას ანგარიშგაღებულების მექანიზმები სამინისტროთა, საკანონმდებლო ორგანოთა, სასამართლოთა თუ საზოგადოების (სახალხო დამცველთა (ომბუდსმენთა) წინაშე.

- შეიძლება შეიქმნას ბიუროკრატის საპირწონედ ექსპერტთაგან დაკომპლექტებული ალტერნატიული ორგანო, მრჩეველების ინსტიტუტის სახით.

3. „გონებრივი ტრესტი“ - სახელმწიფოს მრჩეველი

დღეს, როდესაც მრჩეველთა ინსტიტუტი, ლამის ყველა თანამედროვე სახელმწიფოს აპარატის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, მათი გაკეთებული საქმეების შესახებ ცოტამ თუ იცის. თუმცა საუბარი ზოგიერთ მათგანზე უკვეა შესაძლებელი.

ფრანკლინ დელანო რუზველტი გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების 32-ე პრეზიდენტი დემოკრატიული

პარტიიდან. ის ერთადერთია, რომელიც ორ ვადაზე მეტად, ოთხჯერ იყო არჩეული ქვეყნის მეთაურად. მას ამერიკის ისტორიის XX საუკუნის ცენტრალურ ფიგურას უწოდებენ. ბევრი თვლის, რომ ფრანკლინ რუზველტი ამერიკის სამ უდიდეს პრეზიდენტთა სიაშია.

როდესაც ფრანკლინ დელანო რუზველტი ემზადებოდა პრეზიდენტობისათვის, მისმა მეგობარმა, შესანიშნავმა ანალიტიკოსმა როზენმანმა შესთავაზა შეედგინა გუნდი, რომელიც შემოუშავებდა პროგრამებს, რითიც გაიმარჯვებდნენ არჩევნებში და შეძლებდნენ ქვეყნის გამოყვანას კრიზისიდან და კარგად მართვას.

როზენმანმა უარყო ყველა მთავრობის ხელში გამოვლილ პოლიტიკოსების, ფინანსისტების და ბიზნესმენების კანდიდატურები. მისი აზრით, ყველაზე კარგი იქნებოდა ასეთი გუნდის დაკომპლექტება უნივერსიტეტების პროფესორებით, რომლებსაც დიდი ოცნებები ჰქონდათ სამშობლოსთან დაკავშირებით და ბედნიერები იქნებოდნენ თუ ხორცს შეასხავდნენ თავის იდეებს. გადაწყდა ნამდვილი ინტელიგენტებისაგან დაეკომპლექტებინათ გუნდი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უძლიერეს სახელმწიფოდ უნდა ექციათ და მოსახლეობა კი კეთილდღეობით უზრუნველყოთ.

ჯგუფში, რომელსაც "გონებრივი ტრესტი" უწოდეს, შევიდნენ როზენმანი, იურისტი ო'კონორი, სისხლის სამართლის სპეციალისტი მოლი, კონსერვატიული რეალიზმის იდეოლოგი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი რ. ტარგველი, საბანკო ექსპერტი ა. ბერლი.

გარდა ამისა, "გონებრივ ტრესტში" მუდამ იწვევდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. ბევრის სახელი დღესაც რომ უცნობია. "გონებრივმა ტრესტმა" გაამარჯვებინა რუზველტს.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რუზველტმა ზოგიერთი მათგანი მიიწვია სახელმწიფო თანამდებობაზე, მაგრამ მათგან უმეტესობამ ანალიტიკური საქმიანობის გაგრძელება, მონიტორინგი, არჩიეს.

"გონებრივ ტრესტში" შემოუშავებული გეგმების, პროექტების რეალიზების წყალობით ამერიკა სუპერ-სახელმწიფოდ იქცა.

თუ ეს გასული საუკუნის 30-იანი წლების ისტორიაა, დღესდღეობით მრჩეველთა ინსტიტუტი, ლამის ყველა

თანამედროვე სახელმწიფოს აპარატის დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახდა.

გაერთიანებულ სამეფოში მარგარეტ ტეტჩერი ხშირად მიმართავდა რჩევისთვის პოლიტიკურ კვლევით ცენტრსა თუ ადამ სმიტის ინსტიტუტს; ბლერი კი - საკუთარი კაბინეტის ადმინისტრაციის გასაძლიერებლად - საჯარო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტს.

იქნებ ჩვენც გვეფიქრა დღესდღეობით თითქმის განადგურებულ და უფუნქციოდ დარჩენილ მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე. თავდაპირველი სახით მათი აღდგენა შეუძლებელიც არის და ალბათ, მიზანშეუწონელიც. სწორედ ღია კონკურსებით დაკომპლექტებულ განსაზღვრული რაოდენობის სამეცნიერო ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა იმუშაონ სახელმწიფო დაკვეთებზე, რასაც დღეს ნაწილობრივ ე.წ. ენჯეოები ასრულებენ.

მართალია, ბიუროკრატიული კანონები მაქსიმალურად ამცირებს პიროვნული გადაცდომის შესაძლებლობას, მაგრამ ადამიანები არ უნდა ვაქციოთ სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკებად.

უწინარესად, უნდა გვახსოვდეს, რომ თანამდებობის პირთა მნიშვნელობა და გავლენა, მათ მიერ დაკავებული თანამდებობებით კი არ განისაზღვრება, არამედ მათი პიროვნული ღირსებებით.

ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამია: ადამიანებზე ზემოქმედების სამი ბერკეტი არსებობს: დაშინება, იძულება და სიყვარული. რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ვისურვებდი საზოგადოების კანონმორჩილება შიშზე კი არ იყოს დაფუძნებული, არამედ ქვეყნის სიყვარულზე და ერის ნების გამომხატველი კანონების მიმართ პატივისცემაზე.

ერის ნების გამომხატველი კანონები შემთხვევით არ მისხენებია. სხვა კანონებიც არსებობს, სულ სხვა მიზნით და დანიშნულებით შედგენილი..

როცა პეტრარკა ტრიბუნალის წინ უნდა წარმდგარიყო, მას გამოუცხადეს, რომ სასამართლოს არ სჭირდებოდა მისი ფიცი: „დაე, შენი ქვეყნის კანონები ნუ იქნებიან შენს პატიოსნებაზე მაღლა. არ იფიქრო, რომ ყოველთვის საკმარისად კარგია ის, რაც კანონებით არის დაშვებული.“

იქნებ ადამიანებში ბევრად მეტია კარგი, ვიდრე მათთვის დაწერილი თვით საუკეთესო კანონები.

იქნებ დღეს ჩვენი გასაჭირის რეალური მიზეზები არც სამართალში, არც ეკონომიკაში და არც პოლიტიკაშია საძიებელი?

ამბობენ, რიშელიე მის მიერ დაარსებულ საფრანგეთის აკადემიის წევრებს ეუბნებოდა, დროა სახელმწიფოებრივად აზროვნება ისწავლეთო, ამ სიტყვებს საქართველოშიც ხშირად იმეორებენ, მაგრამ საქმითაც ჩანს, რომ მხოლოდ ერთულებს ესმით მათი მნიშვნელობა.

მაგრამ, როგორ ესმით სხვებს მისი მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში იაპონელებზე ვისაუბროთ: ეს ამბავი ტროას აღმომჩენ ჰაინრიხ შლიმანს ეხება. ძნელი სათქმელია, კიდევ თუ რამე გააკვირვებდა ამ მრავლისმნახველ კაცს. იაპონელებმა კი ეს შეძლეს. როგორც ვაჭარი, კომერსანტი შლიმანი შეჩვეული იყო მებაჟეებთან ურთიერთობისას მათ ჯიბეში ფულს ჩაუნხრიალებდა და საქმეს ამით აგვარებდა. მაგრამ იაპონიაში მას სულ სხვა სურათი დახვდა. ფულის შეთავაზებაზე მებაჟე წელში გაიმართა და რიხით წარმოთქვა: „ნიპონ მუსკო,” 40-ზე მეტი ენის მცოდნე შლიმანს არ გასჭირვებია გაეგო, მებაჟე რას ეუბნებოდა: „მე იაპონელი ვარ.“ ეს კი ნიშნავს, თავს ისე არ დავიმცირებ, ფულის გულისათვის ჩემს მოვალეობას ვუღალატლო.

სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი, სამშობლოს სიყვარული მტკიცე პირობაა ქვეყნის ბედნიერებისათვის. მაგრამ, ესეც არის, რომ მამულის ჭეშმარიტ სიყვარულს, ესოდენ მაღალ გრძნობას კოსმოპოლიტური განწყობილება, ან პატრიოტობით კეკლუცობა კი არ ბადებს, არამედ საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა და თაობების ღირსეული მიზნით აღზრდა, რაც რთულ, ხანგძლივ და შრომატევად საქმეს წარმოადგენს.

თუ მსოფლიოს მოწინავე ერები ცხოვრობენ, რათა იკვებონ, ჩვენ საკვებს მივირთმევთ იმისათვის, რომ ვიცხოვროთ. ასეთი არსებობა კი ხანგძლივ დროში, ბუნებრივია, მენტალობასაც ცვლის. თუ ძველად ქართველები ყველაზე სტუმართმოყვარენი ვიყავით და შეგვეძლო გვეთქვა: „სტუმარი - იგივეა ღმერთი გყავდეს სახლში.“ ახლა პოლონელებივით თუ არ ვამბობთ, ვფიქრობთ მაინც ასე: „სტუმარი იგივეა - გყავდეს ფეხმძიმე ცოლი სახლში.

ასეთი შეცვლილი მენტალობით ლაპარაკი ღირსებაზე, პატიოსნებაზე, როგორც ჩვენს ტრადიციულ ღირებულებაზე, თანდათან, საზოგადოებისათვის არცთუ იოლი გასაგები ხდება.

ეს მაშინ, როცა ჩვენგან განსხვავებით, დღესაც ძალიან ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, იაპონიაში ღირსების საკითხს კვლავინდებურად ცენტრალური ადგილი უჭირავს. უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი, ისე როგორც მისი ორი წინამორბედი, იმ მიზეზის გამო გადადგა, რომ წინასაარჩევნო დაპირებები ვერ შეასრულა. დამეთანხმებით, შესაშური მაგალითია.

ჯერ კიდევ ძვ.წ. VI ს-ის ჩინეთში ლაოძის მოძღვრება ქადაგებდა: „რაც მეტია აკრძალვა, მით მეტია სიღარიბე, რაც მეტია იარაღი, მით მეტია ამბოხი, რაც მეტია უმეცრება, მით მეტია სიხარბე, რაც მეტია კანონი და ბრძანება, მით მეტია ქურდი და ავაზაკი.“

კონფუციც გემოდვრავს: „ყველაფერი ამაზრზენი, რაც კი ქვეყნად ხდება გაუნათლებლობის შედეგია“

სწორედ გაუნათლებლობის შედეგია ის, რომ ყოველივე, რაზეც ვსაუბრობთ კვლავაც გულუბრყვილო ოცნებად გვრჩება და ასეთად დარჩება მანამდე, სანამ კვლავ არ დაიბადება ის იდუმალი ძალა, მოვლემარე სინდისისა და დათრგუნვილი ნების მქონე ადამიანებში ღირსების გრძნობას რომ აყალიბებს - ეს არის მამულის სიყვარული. მაკიაველი ამბობს: „ღმერთი ზეციდან მიწაზე ჩამოვიდა და სამშობლო დაირქვა.“

ქვეყნის ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარება, მის წინაშე მდგარი ამოცანები დღენიადაგ ითხოვს ჩვენგან უკეთ გავერკვეთ, თუ რა ხელეწიფება მცირერიცხოვანი ერის ძაღლონეს და რა აღემატება. საჭიროა, ქვეყნის სულიერ-პოლიტიკური გამოცდილებისა და სამომავლო პერსპექტივების მუდმივი გააზრებით ღირებულებათა სისტემაში მოყვანა. შემდეგში სწორედ ამ გააზრებაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტს ქვეყანა მის წინაშე მდგარ პრობლემებს. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება კი შეგვმატებს რწმენას, რომ შეგვწევს ძალა და უნარი, დავძლიოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით შექმნილი უმძიმესი ვითარება, ზღვარდაუდებელ ტკივილად ქცეული, ჩვენი მატერიალური სიღუბე, ალვადგინოთ საქართველოს როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ერთიანობა, რაც მტკიცე საფუძველი გახდება ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის.

არ უნდა დაგვაიწყდეს, ისიც, რომ როგორც ჩვენს წინაპრებს, თითოეულ ჩვენგანსაც დღეს არსებული მრავალი

პრობლემის გადასაჭრელად დრო ღიმიტირებული აქვს. თუ არსებული საფრთხე მთელმა ხალხმა, ყოველ შემთხვევაში, ერის მაქსიმალურმა უმრავლესობამ არ შეიგრძნო, რომ ჩვენ, მართალია, ვცხოვრობთ ახალ მსოფლიოში, მაგრამ კაცობრიობის ისტორიისთვის არანაკლებ სასტიკ პერიოდში, ეს ყველაფერი მხოლოდ ფუჭ სიტყვებად დარჩება. როცა გეზარება ფიქრი და სხვის გადაწყვეტილებას მიყვები, მუდმივად ელოდები ქარიზმატულ ლიდერს, რომელიც მდგომარეობას შეგიცვლის. ამას ფსიქოლოგები კომფორმულობას უწოდებენ!

4. ბრმებში ცალთვალას რომ არ ვეძებდეთ!

ქართველების, ისევე როგორც ბერძნების, საყვარელი საქმიანობა პოლიტიკაზე დაუსრულებელი ლაპარაკია. ამ ლაპარაკს აზრი მიეცემოდა, თუ მას ახალშობილიც მოყვებოდა, მაგრამ, როდესაც დაუსრულებლად ხეებზე ამახვილებ ყურადღებას და ტყვეს ვერ ამჩნევ, აქ უკვე მართო ლაპარაკი ვერა გშველის. ინტელექტუალური ელიტა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ერთ შემთხვევაში შეძლებს, - თუ მასას ხეების გარდა, ტყვესაც დაანახებებს.

ქვეყნის მშენებლობაში, თითოეულმა ჩვენგანმა იქნებ უფრო მეტი პრაგმატულობა და ორგანიზებულობა გამოვიჩინოთ, თავს ძალა დავატანოთ და ვიაზროვნოთ, რათა სახელმწიფოს მართვის უკეთესი ეფექტური მექანიზმი შევქმნათ. ამ მხრივ საფიქრალი და საზრუნავი მართლაც რომ ბევრი გვაქვს. ყველაფერი კი, შეიძლება შეკითხვით დავიწყოთ. თუნდაც იმით თუ ვინ შეიძლება იყვნენ კონკურსის წესით შერჩეული ის საუკეთესოები, ვისაც შეიძლება სახელმწიფოს მართვა ვანდოთ? ძნელი წარმოსადგენია ასეთად წარმოვიდგინოთ მხოლოდ მკვლევარები, რადგან მაღალი დონის ინტელექტუალები არიან. გასაგებია, რომ ინტელექტი - პასუხისმგებლობაცაა. პსუხისმგებლობა ავითარებს ნებისყოფას, მაგრამ არის კი ეს საკმარისი პირობა? მაგალითისთვის გავიხსენოთ ნიუტონი, რომლის უზარმაზარი შემოქმედებითი პოტენციალი, როგორც მეცნიერის, მართალია, ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ისტორია მისი პერობის ხანგძლივი პერიოდის, მხოლოდ ღიმილს იწვევს. ცნობილია, რომ პარლამენტში, როგორც დისციპლინირებული ადამიანი, კეთილსინდისიერად ესწრებოდა სხდომებს, თუმცა მთელი

თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისას, მან მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: „დახურეთ ფანჯარა.“

ასევე საშიშია სახელმწიფოს მომავალი მივანდოთ ექსტრემალურად მეტროლ ადამიანებს, ავანტიურისტებს, რომელთათვისაც დაუნდობელი ბრძოლა მიზნისათვის ერთობ რომანტიულია.

ასევე ძნელია ვენდოთ რომეოებს, რომელთაც მხოლოდ ჯულიეტა აინტერესებთ. ყველას ხომ არა აქვს ეღუარდ VIII-ის პატიოსნება, რომელმაც, როგორც დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მეფემ, ინდოეთის იმპერატორმა, კორონაცია ოფიციალურად რომ არ ჩატარებულყო, შეყვარებული ქალბატონის გამო, 1936 წელს უარი თქვა ტახტზე, რადგანაც ცოლად შეირთო განქორწინებული უოლის სიმპსონი, რასაც მხარს არ უჭერდა დიდი ბრიტანეთის მთავრობა.

საქართველოსთვის, ისე როგორც მრავალი ქვეყნისთვის უმთავრესი პრობლემა კადრებია. ხშირად გვეხმის ქვეყანაში საკადრო რესურსი არ არის. მხოლოდ ქარიზმაზე ორიენტირებული ლიდერი საკადრო პოლიტიკას ვერ წარმართავს, რადგან ერთგულების ნიშნით კადრების შერჩევა დამანგრეველია და არაფრისმომცემი ქვეყნისთვის. ეს მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნების საშუალებად თუ გამოდგება, ისიც დროებით. კადრების მომზადებას კი დრო, ცოდნა და უდიდესი ძალისხმევა სჭირდება.

თუ არც ერთი თავმოყვარე სახელმწიფო დიპლომატიის და უშიშროების სამსახურისთვის კადრების მომზადებას არ ანდობს უცხო ქვეყანას, თუნდაც მეგობრულს. იქნებ გვეფიქრა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სოკოსავით მიმოფანტული სახელმწიფო მართვის სკოლების ნაცვლად შეგვექმნა პრესტიჟული სახელმწიფო მნიშვნელობის სასწავლებელი, სადაც მომზადდებოდა მკაცრი კონკურსის წესით შერჩეული ახალგაზრდობა და აღარ იქნებოდა ქვეყანაში საკადრო რესურსის სიმწირე. ხომ არ შეიძლება დღენიადაგ ბრძებში ცალთვალას ვეძებდეთ?

ასეთი ელიტარული სკოლების არსებობა ბევრი ქვეყნისთვის სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს. სიახლე ჩვენი სინამდვილისთვის იქნება, თუ განხორციელდება,

მე მინდა, ხვალინდელი საქართველო უკეთესი იყოს და თუ თქვენც ეს გინდათ, მოდით ერთად ვიფიქროთ ჩვენი ქვეყანა ჩვენთან ერთად წარმატებული როგორ გავხადოთ!...

დღეს, როდესაც დემოკრატია, პლურალიზმი მიიხნევა ყველა კულტურისთვის უნივერსალურ და აბსოლუტურ ღირებულებად, ამ პირობებში მოაზროვნეთა ერთი ნაწილისთვის ერის გაგება, როგორც ერთიანი სულიერი ცენტრის მქონე კრებითი პიროვნებისა, დიდი ხანია მოძველდა. ამიტომ ფიქრობენ ასეც, რომ დემოკრატიის დაწყებისთანავე ყოველგვარი მცდელობა ერის გაერთიანებისა ერთიანი მსოფლმხედველობის დახმარებით, - ტოტალიტარიზმი. მითუმეტეს, ტოტალიტარიზმი თუ ერს რაიმე დოქტრინას თავს მოვახვევთ. მაგრამ, ნუ დაგვაფიქვდება ისიც, რომ თუნდაც ასეთი ცალსახად ხისტი დამოკიდებულება პრობლემისადმი, ე.წ. „დეიდეოლოგიზაციის“ მოთხოვნისა, ესეც ერთგვარი მიზანმიმართული იდეოლოგიაა საზოგადოებისთვის თავს მოხვეული, რომელსაც არა ნაკლები უბედურება, ქაოსი და ნიჰილიზმი მოაქვს. მჯერა ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილის, რომელსაც ეს ყველაფერი დააფიქრებს. უმბერტო ეკოს აქვს ნათქვამი, მე ვწერ არა იმას, რაც ხალხს უნდა, ვწერ იმას, რაც მინდა, რომ ხალხს უნდოდესო.

„ღმერთი, დემოკრატია, კერძო საკუთრება,“ - სამ სიტყვაში, სამ ცნებაში ჩატიეს ამერიკელებმა თავისი ფორმულა. ცხადია, სხვის იდეებს ბრმად ვერ გადმოვიდებთ, მაგრამ დროა ვიფიქროთ საკუთარ იდეებზე, რომელიც გვაქვს, ან რომელიც გვსურს რომ გვქონდეს. იდეები, რომელთა გარშემო საზოგადოების კონსოლიდირებას მოვახერხებთ და გამოგვადგება მყარ ორიენტირად ქვეყნის გასაერთიანებლად და ასაღორძინებლად.

მაგრამ როგორ, რა გზებით, რა საშუალებებით, რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის?

აი, რაზე ვისურვებდი მსჯელობას!

ლიტერატურა

References:

1. monteskie Sarl lui, kanonTa goni (frang.Targmna d.labuCiZem). - Tb.: 1994. - 864 gv.
2. janda jeneT da sxv. amerikuli demokratiа, Tb.: 1995. – 477 gv.
3. lovo filip, Tanamedrove didi demokratebi, Tb.: 2002. – 593 gv.
4. biohemi devid, demokratiа: kiTxvebi da pasuxebi, Tb.: iunesko, 1998. 148 gv.
5. mWedliSvili l., arCevnebi demokratiul sazogadoebaSi, Tb.: 1997. – 39 gv.
6. msolfio qveynebis konstituciebi, w. 1. - Tb.: 1992. – 216 gv.

Георгий Мchedlishvili

Что подразумевается под эффективным механизмом государственного управления?

Резюме

Тот факт, что одна часть наций процветает в то время, как большая часть её безуспешно борется с бедностью, говорит о проблемах, связанных с системой управления и административного механизма.

Не является непреложной данностью «идеальная модель» управления, которая основывается на традиции и «харизме», ибо зависит от способности каждой отдельной нации к адаптации в конкретных исторических условиях.

Со временем идеи традиций и привилегий обветшали в демократическом обществе, следствием чего стала возможность открытой конкуренции в обществе; то есть государством в такой системе управляют не так называемые «случайные люди», но - обладающие умом и талантом.

Ключевые слова: эффективный, «идеальная модель», государственное управление

Рецензент: Профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет.

Giorgi Mchedlishvili

What does effective mechanism of Public Administration mean?

Summary

The fact that, one part of the nation lives in welfare/prosperity, and the others are desperately struggling with the poverty, means that these is a problem related to the management system and also the mechanism of administrative management of the state.

“Ideal model” of public administration, which is not only based on the traditions or the charisma, but based on the system of reasonable rules and laws, is not static entity. Each leading nation, with historical experience, has found its own way.

When ideas of traditions and privilege worned out, the pressure of democratization contributed to and made the way for open competitions, which requires distribution of state positions based on open competition.

This kind of competitive environment gives possibilities to get the best professionals lead the life rather than the regulars

Keywords: effective, “Ideal model”, public administration

Reviewer: Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

Наталья Лебедева, Мария Семенова
К вопросу о децентрализации государственной власти в России

Самоуправление в практическом и теоретическом смысле тесно связано с такими способами организации власти и управления, как централизация и децентрализация. В массовом сознании закрепилась позиция, что децентрализация государственной власти означает её ослабление. На наш взгляд, сила власти заключается не в сосредоточении всех ее рычагов в одних руках (одном центре), а в ее эффективности (достижении максимально возможного результата при минимальных затратах).

Родоначальником исследований в данной области был Алексис де Токвиль [1]. В XX в. В. Жискара д' Эстен писал: «Века централизации давят на нас. Мы обязаны им гипертрофией столицы, автономией некоторых провинций, избыточной регламентацией и отсутствием должной ответственности на местах. Решение наверху вопросов, которые могут быть урегулированы внизу, не согласуется с принципом либеральной власти» [2]. Децентрализация публичной власти означает передачу органами государства определенных функций, полномочий и ответственности на региональный и местный уровни власти и управления.

Децентрализация государственной власти в России призвана: 1) создать условия для функционирования государственной власти в соответствии с ее конституционной природой – служить формой реализации народовластия; 2) повысить эффективность управления; 3) обеспечить реальное участие граждан в решении вопросов жизнедеятельности общества. Понятие децентрализации связывается, прежде всего, с функциями государства. Так, по справедливому замечанию А.Б. Венгерова[3], «есть вопросы, при решении которых централизация, понимаемая как монополия центра, не только неизбежна, но и полезна делу». Но есть другие вопросы, «где объективно требуется децентрализация функций государства» [1].

Чрезмерная централизация неизбежно приводит к авторитаризму и тоталитаризму, а бескрайняя децентрализация порождает сепаратизм, местничество, угрожает единству и территориальной целостности государства. Во избежание этого необходимо принять меры, направленные на обеспечение баланса прав и ответственности на каждом уровне власти; освобождение федерального центра от решения вопросов, которые могут быть решены на региональном и местном уровнях; повышение профессионализма государственных и

муниципальных служащих, состязательность при занятии должностей; широкое участие граждан на всех уровнях власти; активизация общей заинтересованности в процессе разработки и принятия политических решений и др.

Конституционное обособление муниципальных образований и органов местного самоуправления в РФ следует определить как децентрализацию в собственном смысле слова. Конституция РФ, наравне с закреплением принципа горизонтального разделения властей (ст. 10), закладывает и принцип вертикального ее разделения (ст.ст. 5, 11, 12): муниципальные образования обособляются от органов государственной власти РФ и ее субъектов. Иными словами, публичная власть осуществляется федеральными органами, органами государственной власти субъектов РФ и органами местного самоуправления. Конституционные принципы самостоятельности местного уровня дополняются положениями Федерального закона «Об общих принципах организации местного самоуправления в РФ» 2003 года [4], обеспечивающими и гарантирующими самостоятельность органов местного самоуправления.

Важным условием построения местного самоуправления в современный период является сохранение государства как главной публично-властной организации. Именно оно обязано обеспечить учреждение местного самоуправления и его гарантировать (ст. 12 Конституции РФ).

В понятии «местное самоуправление» объединяются публично-властные и общественные начала [5]. Конституционная вертикальная децентрализация государственной власти подразумевает разведение категорий «публичная власть» и «государственная власть», которые ранее традиционно отождествлялись.

Исходя из смысла положений Конституции РФ, механизм публичной власти совмещает верховную публичную власть, материализуемую государственными органами, и местную. С другой стороны, Конституция не дает оснований трактовать «невхождение в систему органов государственной власти» как независимость самоуправления от государственной власти. Определенная самостоятельность в решении местных дел, составляющая необходимый признак местного самоуправления, реализуется в рамках единой государственной, экономической, социальной, идеологической политики. Жизненные интересы людей не могут быть поставлены вне интересов государства, провозгласившего, что высшей ценностью является человек (ст. 2 Конституции), его права и свободы, а

обязанностью государства является признание, соблюдение и защита прав и свобод [6].

Конституция РФ и Федеральный закон отделяют органы местного самоуправления от государственных. Речь при этом, на наш взгляд, идет не о независимости, а о структурно-функциональной обособленности или, иначе говоря, об организационной обособленности органов местного самоуправления от органов государственной власти, о разделении властей «по вертикали» (в отличие от ст. 10, которая закрепляет разделение властей «по горизонтали»). В законе это подкрепляется разграничением полномочий государственной и местной власти. При этом разграничения устанавливаются государством путем принятия федерального закона. Государство обязуется соблюдать права и контролировать деятельность местных органов; органы местного самоуправления – принимать на себя исполнение некоторых государственных функций по взаимным договоренностям.

Конституционный Суд РФ рассматривал вопросы о делегировании полномочий органами государственной власти органам местного самоуправления. Примером является Постановление от 30 ноября 2000 г. по Курской области [7]: наделение органов местного самоуправления отдельными государственными полномочиями может осуществляться только законодателем – федеральным или региональным и только в форме закона с учетом установленного Конституцией РФ разграничения предметов ведения и полномочий РФ и субъектов РФ. Вопросы местного значения могут и должны решать именно органы местного самоуправления или население непосредственно, а не органы государственной власти. Недопустимость ограничения прав местного самоуправления и принадлежащих ему полномочий по вопросам местного самоуправления составляет одну из основ конституционного статуса местного самоуправления. В то же время она связана с регулированием прав и свобод человека и гражданина. Этим, однако, не исключается взаимодействие, в том числе на договорной основе, органов местного самоуправления и органов государственной власти субъекта Федерации для решения общих задач.

Организация местного самоуправления, как она представлена в российском законодательстве, полностью воспроизводит организационную форму и методы, которые свойственны осуществлению государственной власти. В ч. 2 ст. 3 Конституции РФ закреплено право народа осуществлять свою власть непосредственно, а также через органы государственной власти и органы местного

самоуправления. Одновременно ч. 2 ст. 130 регламентирует: «Местное самоуправление осуществляется гражданами путем референдума, выборов, других форм прямого волеизъявления через выборные и другие органы местного самоуправления». Следовательно, Конституция не проводит принципиальных различий между формированием и учреждением государственной и муниципальной власти. Это естественно, поскольку и в том и в другом случае действуют однородные субъекты.

Следует согласиться с позицией С.А. Авакьяна, который считает, что «местное самоуправление наряду с федеральной государственной властью является организационной формой самоуправления народа» [8]. Высказанная идея важна в том смысле, что совместное функционирование государственной и муниципальной власти оценивается не по формально-юридическим конструкциям, а в конкретном сосуществовании публичных властей.

Современный опыт организации местного самоуправления показывает, что представление о государственности и местном самоуправлении как различных формах публичной власти является неверным или неадекватным возможностям современной общественной организации. Реальная организация местной власти не является чем-то «негосударственным».

Дискуссии об обоснованности местного самоуправления должны протекать в необходимости поиска оптимальных для современного Российского государства форм организации местной власти.

Современным обстоятельствам наибольшей степени соответствуют дуалистическая природа местного самоуправления и функционирование местного самоуправления в качестве элемента всего государственного механизма [5]. Местное самоуправление берет свое начало в государственности и развивается внутри государства.

Реформа местного самоуправления продолжается, поэтому необходимо определение его места в вертикали публичной власти, не забывая при этом, что без дееспособного местного самоуправления эффективное устройство власти невозможно.

Примечания:

1. Токвиль А. Демократия в Америке. – М., 1994. – С. 83.
2. Цит. по: Серебренников В.П. Местное управление и самоуправление Франции. – Минск, 1981. – С. 9.
3. Теория государства: Учебник / Под ред. А.Б. Венгерова. – М., 1995. – С. 157.
4. Федеральный закон от 06.10.2003 года № 131-ФЗ «Об общих принципах организации местного самоуправления в РФ» // СПС «Консультант плюс.
5. Semenova M.S., Lebedeva N.V. Legal dualism of local government in Russia // European Researcher. 2011. № 2 (4).
6. Lebedeva N.V., Ogurtsov A.Yu. Constitutional obligations of a person and a citizen // European Researcher. 2011. № 1 (3). P. 99-101.
7. Постановление Конституционного Суда от 30 ноября 2000 г. по делу о проверке конституционности отдельных положений Устава (Основного закона) Курской области // Российская газета. – 2000. – 19 декабря.
8. Авакьян С.А. Состояние, проблемы и перспективы местного самоуправления в России // Местное самоуправление в России: состояние, проблемы, перспективы. – М., 1994. – С. 46.

ნატალია ლებედევა, მარია სემიონოვა
სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის საკითხის
შესახებ რუსეთში

რეზიუმე

სტატია ეძღვნება რუსეთში სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის საკითხს. გარკვეული ყურადღება დათმობილი აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც თავის სათავეს იღებს სახელმწიფოებრიობაში და ვითარდება სახელმწიფოს შიგნით. დასმულია საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ საჯარო ხელისუფლების ვერტიკალში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, ხელისუფლება, დეცენტრალიზაცია

რეცენზენტი: პროფესორი შოთა დოღონაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Natalia Lebedeva, Maria Semenova

On the question of decentralization of state power in Russia

Summary

Article is devoted a question of decentralization of the government in Russia. The attention is paid to local government which originates in statehood and develops in the state. The attention to the question on necessity of definition of local government in a vertical of the public power is brought.

Keywords: Russia, state power, decentralization

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**ქმთევან მიწაძე, ზაზა ქოიავა
ადამიანური ურთიერთობებისა და მართვის
ბიჰევიორისტული სკოლების როლი 21-ე საუკუნის
მენეჯმენტში**

თანამედროვე მსოფლიო ვითარდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ოდესმე. რაც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, ადამიანთა მოთხოვნილებების ზრდით და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებათა მუდმივი ძიებით. ჩვენ ვცხოვრობთ ახალ ერაში, სადაც პრიორიტეტული გახდა თვითონ ადამიანი, თავისი უფლებებით და თავისუფლებით. დღეს ყველაფერი მისადაგებული უნდა იყოს ინდივიდის და/ან ინდივიდთა ჯგუფის ინტერესებთან.

არც თუ ისე შორეულ წარსულში ორგანიზაციაში ადამიანურ რესურსი განიხილებოდა როგორც საქონელი, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ მოგების მისაღებად. ყურადღება არ ექცეოდა ადამიანურ ურთიერთობებს, მათ მოტივირებას და სტიმულირებას, პრიორიტეტი ენიჭებოდა მხოლოდ ორგანიზაციის ინტერესებს. დღეს ასე არ არის, რადგან თანამედროვე ადამიანი არჩევანში თავისუფალია და ის თვითონ წყვეტს თუ რა, რისთვის და რატომ უნდა. სწორედ იმისათვის, რომ ორგანიზაცია განვითარდეს, საჭირო გახდა მომუშავე პერსონალის და ორგანიზაციული ინტერესების თანხვედრა, ახალი მიდგომა ორგანიზაციის მართვისადმი, ახალი მიზნების ამოცანების განსაზღვრა, მუდმივი ძიება და პირველობისაკენ სწრაფვა.

მოკლე ისტორიული ექსკურსი მენეჯმენტზე: “ხისტი” მმართველობის სტილის (კადრების მართვა) პირველი სამეფული.

მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება ჩამოყალიბებას იწყებს XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მეცნიერული მენეჯმენტის ფუძემდებელია ამერიკელი მეცნიერი ფრედერიკ ვინსლოუ ტეილორი (1856-1915წწ). საინტერესოა ტეილორის მოსაზრება ორგანიზაციული მართვის შესახებ. ის თვლიდა რომ:

- ორგანიზაციაში უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული წესები და პრინციპები, რომელზეც იქნება დაფუძნებული პერსონალის სამოქმედო გეგმა. მკაცრად განსაზღვრულმა წესებმა უნდა შექმნას სისტემა, რომელიც უკარნახებს შემსრულებლებს, თუ რა სიტუაციაში როგორ უნდა

იმოქმედონ. მან მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა სისტემას და არა ადამიანს, როგორც შემსრულებელს.

- მუშა ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს სამუშაოს შესრულებას ან/და შეასრულოს იგი ნელა და არაეფექტიანად, ამიტომ საჭიროა სისტემა, რომელიც მას ამის საშუალებას არ მიცემს. ამ პრობლემის გადასაჭრელად მან შეიმუშავა ე.წ. “შრომის განაწილების” მიდგომა, რაც გულისხმობდა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია განსხვავებული შესაძლებლობები და ისინი სამუშაოს შესასრულებლად სწორედ ამ შესაძლებლობების მიხედვით უნდა იყვნენ გადანაწილებულნი. შესაძლებლობებში კი იგულისხმება ადამიანთა ცოდნა, განათლება, გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რომელნიც განაპირობებენ სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობას და ხარისხს. სწორედ ამიტომ, ადამიანური რესურსის სწორი გამოყენებისათვის საჭიროა შრომის დანაწილება, რაც მოიცავს დიდი მასშტაბების სამუშაოს დაყოფას მცირე ამოცანებად, ხოლო ეს ამოცანები ზემოაღნიშნული შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა იქნას გადანაწილებული მომუშავე პერსონალზე.

- ტეილორი ყურადღებას ამახვილებს ანაზღაურების გზით თანამშრომელთა მოტივირებასა და სტიმულირებაზე. იგი თვლის რომ ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობასთან ერთად იზრდება წარმოების დონე და მას თან უნდა ახლდეს პერსონალის ანაზღაურების ზრდა, რაც მათი ეფექტიანი მუშაობის მასტიმულირებელია.

ორგანიზაციის მართვის უნივერსალური პრინციპები ჩამოაყალიბა ფრანგმა მეცნიერმა ანრი ფაიოლმა, რომელიც ამბობდა, რომ „მართავდე ეს ნიშნავს მიგყავდე საწარმო დასახული მიზნისაკენ შენს ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით“. მან ჩამოაყალიბა მართვის 14 ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც განაპირობებს მართვის ეფექტიანობას. ეს პრინციპებია:

1. **შრომის დანაწილება** – იგი გულისხმობს ადამიანური რესურსის რაც შეიძლება მეტად ეფექტიანად გამოყენებას. ეს მიიღწევა სამუშაოს რაციონალურად გადანაწილებით მომუშავე პერსონალზე, მათი შესაძლებლობების და სამუშაოს მიზნების პრიორიტეტულობის მიხედვით;

2. **უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა** – უფლებამოსილება პასუხისმგებლობას უნდა შეესაბამებოდეს – ბრძანებების გამცემი კი პასუხს უნდა აგებდეს მის შედეგზე;

3. **დისციპლინა** – თანამშრომელსა და ფირმას შორის მიღწეული შეთანხმება აუცილებლად უნდა შესრულდეს. ხელმძღვანელის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მიაღწიოს შეთანხმებას ფირმასა და თანამშრომელს შორის, რომელიც იქნება განსაზღვრული ქცევის წესი კონკრეტულ სიტუაციაში;

4. **ერთმმართველობა** – მუშაკი მითითებებს უნდა იღებდეს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელისაგან;

5. **ხელმძღვანელობის ერთობა** – ყველა ჯგუფი, რომელიც მოქმედებს ერთიანი მიზნის ფარგლებში გაერთიანებული უნდა იყოს ერთიანი გეგმით და მათ უნდა ხელმძღვანელობდეს ერთი პირი;

6. **პირადი ინტერესების საერთოსადმი დაქვემდებარება** – ერთი თანამშრომლის ან თუნდაც გარკვეული ჯგუფის ინტერესები არ უნდა აღემატებოდეს უფრო დიდი მასშტაბის ინტერესებს, რაშიც შეიძლება მოიაზრობოდეს ამავე კომპანიის ან/და სხვა ორგანიზაციის ინტერესები;

7. **პერსონალის ანაზღაურება** – იმისათვის რომ მივაღწიოთ მუშაკთა ერთგულებას და მხარდაჭერას ისინი თავიანთი მუშაობისათვის სამართლიან გასამრჯელოს უნდა იღებდნენ;

8. **ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია** – მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად ძალაუფლების კონცენტრაციის და დანაწილების, ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის რაციონალურად გამოყენება;

9. **სკალარული ჯაჭვი** – ეს არის პიროვნებათა რიგი, რომლებიც ხელმძღვანელ თანამდებობებზე იმყოფებიან, დაწყებული უმაღლესიდან და დამთავრებული ყველაზე დაბალი რანგის ხელმძღვანელით. ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე მასში უნდა არსებობდეს შესაბამისი იერარქიული სისტემა;

10. **წესრიგი** – „ადგილი ყველასათვის და ყველაფერი თავის ადგილზე“. ყველა უნდა აკეთებდეს თავის განსაზღვრულ საქმეს;

11. **სამართლიანობა** – ადმინისტრაცია ქვეშევდომთან სამართლიან დამოკიდებულებაში უნდა იყოს. ის პატივს უნდა სცემდეს თითოეულ მათგანს, რაც მის მიმართ პერსონალის ლოიალურობას და ერთგულებას უზრუნველყოფს;

12. **კადრების დაბალი დენადობა და პერსონალის სამუშაო ადგილის სტაბილურობა** – კადრების მაღალი დენადობა

ორგანიზაციის ეფექტიანობას ამცირებს და დამატებით ორგანიზაციულ დანახარჯებს განაპირობებს. კადრების მაღალი დენადობა ცუდი მართვის ნიშანია;

13. **ინიციატივა** – ხელმძღვანელმა ქვეშევრდომებს საშუალება უნდა მისცეს გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი, მან ყოველთვის უნდა მოუსმინოს და გაიგოს თითოეული თანამშრომლის აზრი, რაც ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის შედგენას და მის ეფექტურ რეალიზაციას;

14. **კორპორაციული სული** – იმისათვის რომ საწარმო (ორგანიზაცია) იყოს ძლიერი და ეფექტიანი, მისი ყველა თანამშრომელი ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული და ერთიანად მოქმედებდეს.

ორგანიზაციული მართვის პრინციპების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს გერმანელი მეცნიერი მაქს ვებერი (1864-1920წწ).

ვებერისეულის ბიუროკრატის მახასიათებლებია:

- ძალაუფლების იერარქია;
- მმართველი უნდა იყოს უაღრესად კომპეტენტური და ამავე დროს მიუკერძოებელი;
- საორგანიზაციო ქცევის წესები და კანონები უნდა იყოს წერილობითი სახით;
- თანამშრომელთა დაწინაურება უნდა ხორციელდებოდეს მათი დამსახურების, გამოცდილების, დაგროვილი ცოდნის, კვალიფიკაციის მიხედვით და გამოცდების ჩაბარებით;
- ორგანიზაციაში შრომის დანაწილება უნდა ხდებოდეს სპეციალიზაციის მიხედვით;
- ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს მაქსიმალური ეფექტიანობით;

წარმოგიდგენთ კლასიკური თეორიების მკაფიოდ გამოსატყულ ნაკლოვანებებს:

კლასიკური სკოლების/თეორიების ნაკლოვანებები:

- პერსონალის მართვისადმი მრავალფეროვანი, განსხვავებული მიდგომების, ამ სფეროში აუცილებელი პროფესიული დონისა და პროფესიული იდეოლოგიის ჩამოყალიბებლობა;

- პერსონალის მართვის ფუნქციების ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ყურადღების არაპირობითულ, მეორეხარისხოვან, პერიფერიულ სფეროში ყოფნა; HR

მენეჯერები ძირითადად მრჩეველების როლს ასრულებენ და პასუხს არ აგებენ ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზებაზე;

- პერსონალის მართვის სპეციალისტებს თავიდანვე რიგითი მომუშავეების დამცველთა იმიჯი ჩამოუყალიბდათ, რაც სხვა სფეროს კოლეგა-მენეჯერთა აზრით, ხელს უშლიდა ორგანიზაციის მიზნების მიღწევას;

- პერსონალის მართვა განიხილებოდა იმ სფეროდ, რომელიც არ მოითხოვდა სპეციალურ განათლებას; სხვა სფეროების მენეჯერული ფუნქციებისაგან განსხვავებით პერსონალის მართვაში თითქოს საკმარისი იყო საღი აზრი და გამოცდილება, რომ გამოცდილი მომუშავე თითქოს ყოველთვის ნორმალურად შეძლებდა პერსონალის მენეჯერის ფუნქციათა შესრულებას;

*მიუხედავად იმისა, რომ სამივე მეცნიერი დიდი და ბუმბერაზია და ისინი თავისი დროის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები არიან, თანამედროვე განვითარებულ სამყაროს გადასახედიდან მათი რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი მოძველებული და ყავლგასულია. თუმცა მათი რეკომენდაციების დიდი წილი განვითარებად ქვეყნებში დღესაც მუშაობს, რადგან ვიცით რომ **მენეჯმენტი** არის ისეთი ინტეგრირებული დისციპლინა, რომელიც მოიცავს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ადამიანთა ქცევას, იმ დროს და იმ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ წყობას და ინტელექტუალურ მოთხოვნებს... სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით უნდა იმართოს ესა თუ ის ორგანიზაცია და შესაბამისად არჩეული იქნეს მენეჯმენტის ესა თუ ის სტილი.*

ტეილორი აღნიშნავს, რომ მენეჯერი როგორც ცალკე პიროვნება უძღვრია ორგანიზაციული პრობლემების გადაჭრაში. ის ვერ მოახერხებს სრულად აღმოფხვრას ისინი, ამიტომ საჭიროა სისტემა, რომელიც თავისით იმუშავებს და ადამიანებმა მხოლოდ უნდა შეასრულონ მკაცრად განსაზღვრული მართვის წესები და კანონები. **ფაილიმი** პირდაპირ გაუსვა ხაზი ორგანიზაციის ინტერესების პრიორიტეტულობას, ინდივიდების ინტერესებთან შედარებით. **მაქს ვებერმა** ჩამოაყალიბა სწორხაზოვანი ბიუროკრატიული მოდელი, სადაც ქვეშევრდომის აზრი გათვალისწინებული არ არის ორგანიზაციის მართვის პროცესში.

ზემოთ აღნიშნული უარყოფითი ფაქტორები იყო და არის ინდივიდის შესაძლებლობების სრულად გამოვლენის

შემზღუდავი გარემოებები, რაც ორგანიზაციის ეფექტურად მუშაობას შეუძლის ხელს.

სპეციალური პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის არარსებობა ამცირებს პერსონალის მართვის სპეციალისტთა ავტორიტეტს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა და საზით მენეჯერთა თვალში.

კლასიკური სკოლებიდან თანამედროვეობისაკენ

ადამიანური ფაქტორის შეუფასებლობამ და ადამიანის ქცევის მოტივებზე გამარტივებულმა წარმოდგენამ, რაც დამახასიათებელი იყო მეცნიერული მართვისა და კლასიკური სკოლებისათვის, ფსიქოლოგიური მეცნიერებების განვითარების კვლობაზე, განაპირობა ადამიანთა ურთიერთობის შესასწავლად მიმართული მოძრაობის წარმოშობა. ეს წარმოადგენდა რეაქციას კლასიკური სკოლის არასრულყოფილებაზე.

მეოცე საუკუნიდან მენეჯმენტში მძალავრად იჭრება ფსიქოლოგია და მენეჯმენტის თეორიტიკოსები თანხმდებიან მართვაში ფსიქოლოგიური მიმდინარეობების გამოყენებაზე.

მართვაში ახალი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა გამომჩენილი სოციოლოგი და ფსიქოლოგი ელტონ მეიო და მისი მოწაფე ფრიც როტრისბერგერი. ე. მეიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომებია “ინდუსტრიული საზოგადოების ადამიანური პრობლემები” (1933წ.) და “ინდუსტრიული საზოგადოების სოციალური პრობლემები” (1945წ.).

მართვაში ფსიქოლოგიური მოტივების აცილებლობის აღიარება დაკავშირებულია ელტონ მეიოს სახელთან. ელტონ მეიო დაინტერესებული იყო სამრეწველო წარმოების მრავალი პრობლემებით. მათ შორის იკვლევდა ორგანიზაციაში ადამიანთა მოტივაციას, შრომის მონოტონურობისა და გადაღლის მიზეზებს. იგი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი აკადემიური განათლების მქონე ადამიანებიდან, რომელიც ფლობდა როგორც მეცნიერული მართვის თეორიას, ისე ფსიქოლოგიას. ე. მეიო ცნობილი გახდა 1923-1924 წლებში ფილადელფიაში, ფაბრიკაში ჩატარებული ექსპერიმენტით. ფაბრიკის სართავ უბანზე საწარმოს ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო კადრების დენადობის შეჩერება. მატერიალური

სტიმულირების გამოყენებით და დახმარებისათვის მიმართეს მეიოს და მის მეგობრებს.

მეიომ და მისმა მოწაფეებმა სიტუაციის შესწავლით და შრომის პირობების შეცვლით შეძლეს პრობლემის მოგვარება. ე. მეიომ დაადგინა მგრესხავებისათვის ექსპერიმენტის სახით ორი ათწუთიანი შესვენება, რის შედეგად მკვეთრად შემცირდა სამუშაო ძალის დენადობა და გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა. როცა ინსპექტორმა შესვენებები გააუქმა, მდგომარეობა ისევ ადრინდელი გახდა. დამტკიცდა, რომ ე. მეიოს ექსპერიმენტმა საგრეს უბანზე გააუმჯობესა მდგომარეობა. ამ ექსპერიმენტმა გაადრმავა რწმენა, რომ ხელმძღვანელისათვის აუცილებელია მუშაკთა ფსიქოლოგიაში გარკვევა.

არაფორმალური ჯგუფების შესწავლას საფუძვლად დაედო ელტონ მეიოს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც ცნობილია ხოტორნის ექსპერიმენტის სახელწოდებით. ეს ექსპერიმენტი დაიწყო 1924 წლის ნოემბერში ილინოისის შტატის (აშშ) ქალაქ ჩიხეროში, კომპანია „ვესტერნ ელექტრიკის“ ხოტორნის ქარხანაში. ექსპერიმენტის თავდაპირველი მიზანი იყო მუშაობის პირობებსა და შრომის მწარმოებლურობას შორის დამოკიდებულების დადგენა. კერძოდ, განსაზღვრა იმისა, თუ რა გავლენას ახდენდა განათების ინტენსიურობა შრომის მწარმოებლურობაზე. დასახული მიზნის შესაბამისად ექსპერიმენტის ჩამტარებლებმა მუშები დაყვეს საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფებად, მიუხედავად იმისა, რომ საექსპერიმენტო ჯგუფს ჯერ გაუდიდეს, შემდეგ კი შემცირეს განათება, შრომის მწარმოებლურობა ერთნაირად ამაღლდა ორივე ჯგუფში. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ განათების გავლენა უმნიშვნელო იყო შრომის მწარმოებლურობაზე და არ გაამართლა ექსპერიმენტმა მათი კონტროლის სფეროს გარეთ არსებული ფაქტორების გამო. ამით დასრულდა ხოტორნის ექსპერიმენტის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპზე მკვლევართა ჯგუფს შეუერთდა იმ დროისათვის უკვე ცნობილი მეცნიერი ჰარვარდის უნივერსიტეტიდან ელტონ მეიო.

ელტონ მეიოს ხელმძღვანელობით გამოიყო ექვსი მოხალისისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც იზოლირებული იქნა დანარჩენი პერსონალისაგან და რომელზეც ჩატარდა ლაბორატორიული ექსპერიმენტი. მათ მიეცათ შეღავათიანი ანაზღაურება. მუშა ქალებს თავისუფლად შეეძლოთ

ერთმანეთთან ურთიერთობა ქარხანაში არსებული წესისაგან განსხვავებით. ამის შედეგად მათ შორის მჭიდრო კავშირურთიერთობა დამყარდა. მკვლევართა ჯგუფმა შემოიღო დამატებითი შესვენება. ამით მკვეთრად გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა. თავდაპირველად მკვლევარებმა ეს ასხნეს მუშათა ნაკლები დაღლილობით. გააგრძელეს ცვლილებები შრომის პირობების გამჯობესების მიმართულებით. ჯერ შეამცირეს სამუშაო დღე, შემდეგ სამუშაო კვირა. შრომის მწარმოებლურობა მაინც იზრდებოდა. ბოლოს საქსპერიმენტო ჯგუფს დაუბრუნეს შრომის თავდაპირველი პირობები. *შრომის მწარმოებლურობა დარჩა უწინდელ დონეზე.*

ექსპერიმენტის შედეგები არ შეესაბამებოდა იმ დროს არსებულ მართვის თეორიას. მიღებული შედეგების მიხედვით გასარკვევად მოეწყო ექსპერიმენტში მონაწილეთა გამოკითხვა. დაიწყო ექსპერიმენტის მესამე ეტაპი, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო როგორც ადამიანთა უშუალო ხელმძღვანელობის სრულყოფისა და თანამშრომელთა სამუშაოსადმი დამოკიდებულების გაუმჯობესების მარტივი გეგმა. მაგრამ გეგმა გადაიზარდა ვეებერთელა პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავდა 20 000-ზე მეტი თანამშრომლის გამოკითხვას. შეგროვდა გიგანტური მოცულობის ინფორმაცია, რომლის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ყოველი თანამშრომლის შრომის მწარმოებლურობა და სტატუსი დამოკიდებულია როგორც უშუალოდ მასზე, ასევე გუნდზე და გუნდური მუშაობის პრინციპზე. *ე.ი. ადამიანურ ურთიერთობებზე.*

შრომის მწარმოებლურობაზე ადამიანურ ურთიერთობების გავლენის შესასწავლად მეცნიერებმა გადაწყვიტეს ექსპერიმენტის მეოთხე ეტაპის ჩატარება, მეცნიერული მართვის თეორიიდან გამომდინარე მკვლევარები სწორედ ვარაუდობდნენ, რომ ის მუშაკები, რომლებიც სხვებზე სწრაფად მუშაობდნენ და მოტივირებულნი იყვნენ მეტი მუშაობის სურვილით, ნაკლებად იზოხინებდნენ გამომუშავების გადიდების მიზნით. მაგრამ მკვლევარებს აქაც ელოდათ სიურპრიზი. საუკეთესო მუშაკების საქმიანობაში გამოიკვეთა მუშაობის ტემპის შენელების ტენდენცია. გაირკვა, რომ მათ არ სურდათ ისინი ჩაეთვალიათ დადგენილი რიტმის დამრღვევებად ან მათში დაენახათ ჯგუფის სხვა წევრების კეთილდღეობისთვის საშიშროების შემქმნელი პირები. ამასთან სხვებზე ნელი ტემპით მომუშავენიც ფაქტიურად ცდილობდნენ

შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, რადგან არ სურდათ ჯგუფის სხვა წევრებს ისინი გაიძვერებად ჩაეთვალოთ.

ამრიგად, ხოტორნის ექსპერიმენტით დადგინდა, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ფიზიკურ ფაქტორებთან შედარებით უფრო ძლიერი გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე. ელტონ მეიომ დაასკვნა, რომ შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ძირითადი მიზეზი სოციალური ურთიერთობებია იყო.

ხოტორნის ექსპერიმენტის ძირითადი აღმოჩენა იყო ქცევითი ფაქტორების, ხელმძღვანელობასთან (მენეჯერებთან) ურთიერთდამოკიდებულებისა და ხოტორნის ეფექტის დიდი მნიშვნელობის გაცნობიერება.

ხოტორნის ეფექტი არის პირობები, რომელშიც სიახლეს, ექსპერიმენტისადმი ინტერესს და მოცემული საკითხისადმი ყურადღების გაძლიერებას ხშირად მიყავს ფორმა (აღამიანთა გუნდი) სასურველ შედეგებამდე. ექსპერიმენტის მონაწილენი ნამდვილად მუშაობდნენ უფრო მონდომებით, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში, ექსპერიმენტში მონაწილეობის შეგნების გავლენით დღეს, გავითარებულ ქვეყნებში ქცევითი ფაქტორების შესწავლით დაკავებული მეცნიერები კარგად ერკვევიან რა ხოტორნის ეფექტში პროგრამების შედგენისას ცდილობენ მის გათვალისწინებას და არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას. მაგრამ, ჯერ კიდევ გვხვდება ექსპერიმენტის ჩატარების პრაქტიკაში ხოტორნის ეფექტის გამოვლენის შემთხვევები.

მაშასადამე, ხოტორნის ეფექტი იყო შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედი მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი. ექსპერიმენტის დროს გამოვლინდა ისიც, რომ შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედებს კონტროლის ფორმაც. ექსპერიმენტის პროცესში მუშებს ჩვეულებრივთან შედარებით ნაკლებად აკონტროლებდნენ ოსტატები, რაც მუშებისათვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე შესვენებები, უფასო სადილი, უფრო მოკლე სამუშაო დღე და უფრო მაღალი ხელფასი.

მუშაობის ხარისხის და კონტროლის ფორმის კავშირის დანახვამ გააღვიძა ინტერესი ხელმძღვანელობის სტილის საკითხების შესწავლისადმი.

მართალია, ხოტორნის ექსპერიმენტის თავდაპირველი მიზანი შრომის მწარმოებლურობაზე ფიზიკური ფაქტორების გავლენის ხარისხის გარკვევა იყო, მაგრამ ექსპერიმენტის

შედევებმა უფრო მეტი დასკვნების გაკეთება გახადა შესაძლებელი. დადგინდა, რომ ფიზიკურ ფაქტორებზე მეტ გავლენას შრომის მწარმოებლურობაზე სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები ახდენს იმ პირობებში, როცა სამუშაოს ორგანიზაცია უკვე საკმაოდ ეფექტიანი იყო. ხოტორნის ექსპერიმენტის გავლენით მართვის თეორიის მკვლევარებმა და პრაქტიკოსებმა გაიცნობიერეს ის ფაქტი, რომ ორგანიზაცია ურთიერთკავშირში მყოფი პიროვნებების, ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური სისტემაა.

ტეილორისგან განსხვავებით, ე. მელიო მუშას არ მიიჩნევდა ბუნებით ზარმაც არსებად, პირიქით, მნიშვნელოვანად თვლიდა მათი საჭიროებების, მოთხოვნილებების, მიზნებისა და მოტივების კვლევას. მისი აზრით, მენეჯერები უნდა ენდობოდნენ მუშებს და კოლექტივში ჯანსაღ სოციალურ ურთიერთობებს ამკვიდრებდნენ. კიდევ ერთი ე.წ. „ხოტორნის ეფექტი“ – ექსპერიმენტის ჩატარებისას საკითხთა განსაზღვრულ წრეზე ყურადღების გამახვილებით იქმნება პირობები, როდესაც სიახლისადმი ინტერესი იწვევს ფაქტების დინამიკისა და შედეგთა შენიღბვას. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მონაწილეები და მათი მაკონტროლებლები გრძნობდნენ რა განსაკუთრებულ პირობებს, უფრო გულისყურით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს და მიღებული ეფექტი არ იყო მხოლოდ ექსპერიმენტის პირდაპირი შედეგი – მიზნობრივი კვლევისას აუცილებელია აღნიშნულის გათვალისწინება.

ორგანიზაციის მართვისადმი მსგავსი შეხედულებებით გამოირჩეოდა მენეჯმენტის ცნობილი თეორიტიკოსი მერი პარკერ ფოლეთი. თავის გამოკვლევებში იგი ეხებოდა მრავალ თემას: ძალაუფლებას, ორგანიზაციული სტრუქტურების ფუნქციონალურ დაპროექტებას, ორგანიზაციული კონფლიქტების გადაჭრასა და მენეჯმენტის სოციო-ფსიქოლოგიურ ასპექტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „შემოქმედებითი მენეჯმენტი“ (1931 წ.). იგი მიიჩნევდა, რომ ეფექტური მართვისათვის მენეჯერს უარი უნდა ეთქვა მუშებთან ფორმალურ (დათრგუნვის ავტორიტეტზე დამყარებულ) ურთიერთობაზე და ყოფილიყო მუშების მიერ აღიარებული ლიდერი. მენეჯმენტი მას მიაჩნდა სხვათა მოქმედებით შედეგების მიღწევის ხელოვნებად და ამის საფუძვლად თვლიდა მენეჯერებსა და მუშებს შორის მოქნილ,

ჰარმონიულ ურთიერთობას. მ.ფოლექს მიანდა, რომ მენეჯერი უნდა ყოფილიყო შემოქმედი და არა უშუალოდ მასზე განპირობებული მართვის ფუნქციის შემსრულებელი.

ამრიგად, მენეჯმენტის ადამიანური ურთიერთობების სკოლის მიერ შემუშავებული კონცეფცია ეყდნობოდა შემდეგ ძირითად მომენტებს:

1. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური არსებაა, რომელიც არა მარტო საქმიანობს, არამედ ცხოვრობს ორგანიზაციაში. მას საკუთარი, სხვებისაგან გამორჩეული თვისებები აქვს;

2. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არა ინდივიდუალური, არამედ გუნდური ინტერესები, რომლების ჯგუფის არაფორმალური სტრუქტურის მეშვეობით რეალიზდება;

3. ფორმალური სტრუქტურული ურთიერთობა სიმკაცრისა და იერარქიულობის გამო ადამიანების მიერ არასასიამოვნოდ აღიქმება და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვს ეფექტი;

4. ადამიანური ურთიერთობების ჩამოყალიბება ორგანიზაციაში მთლიანად დამოკიდებულია მენეჯერებზე, მმართველობისადმი სწორი მიდგომის უნარზე.

ადამიანური ურთიერთობების სკოლის დადებითი მხარეებია:

- პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გამოყენება ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონისა და შრომის მწარმოებლურობის ასამაღლებლად.

- მართვის პროცესში მუშაკთა დასაქმება მათი პოტენციალისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

ბიჰევიორიზმი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მეცნიერებების განვითარებამ შესაძლებელი გახდა სამუშაო ადგილზე ადამიანთა ქცევის მეცნიერული გამოკვლევა. ამით დასაბამი მიეცა მართვის ე.წ.

ბიჰევიორისტული (ინგ. Behaviour, Behavior-ქცევა) **სკოლის** ჩამოყალიბებას.

ბიჰევიორიზმი ფსიქოლოგიაში სწავლობს, თუ როგორ აკონტროლებს კონკრეტული ტიპის ქცევას გარემოს კონკრეტული სტიმული. უპირველეს ყოვლისა, ბიჰევიორისტები ანალიზებენ გარემოს წინაპირობებს, იმ პირობებს, რომლებიც

წინ უსწრებს ქცევას და ორგანიზმს იმისათვის ამზადებს, მოახდინოს თუ არა რეაგირება. შემდეგ ისინი განიხილავენ ქცევით რეაქციას, რომელიც მათი კვლევის მთავარ ობიექტს წარმოადგენს, ქცევა უნდა გავიგოთ, ვიწინასწარმეტყველოთ და გავაკონტროლოთ. ბოლოს, იკვლევენ რეაქციის დაკვირვებად შედეგებს. 50-იანი წლებიდან ბიჰევიორიზმი ძლიერად იჭრება მართვის მეცნიერებებში.

მენჯემენტში ბიჰევიორიზმი გულისხმობს მეცნიერების მეთოდებისა და კვლევების გამოყენებას ადამიანთა ქცევების შესწავლის მიზნით. ამ მიმართულების მთავარი მიზანია მუშაკთა ქცევების მამოძრავებელი მოტივებისა და მათი სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი და შესწავლა. აღნიშნულ მიმართულებას დასაბამი მიეცა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში და დღემდე გრძელდება. მართვის პროცესისადმი ბიჰევიორისტულმა მიდგომამ არა მარტო დადებითი როლი შეასრულა მენჯემენტის თეორიის ევოლუციაში, არამედ დაეხმარა ორგანიზაციებს (ფირმებს) შიდა ურთიერთობების რეგულირებასა და ცვლილებების მართვაში. მისი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები იყვნენ: აბრაჰამ მასლოუ, ფრიდრიხ ჰერცბერგი, ჩესტერ ბარნარდი, რენსის ლაიკერტი, დუგლას მაკგრეგორი, უილიამ ოუჩი და სხვ. ისინი სწავლობდნენ სოციალური ურთიერთობების, მოტივაციის, ძალაუფლებისა და ავტორიტეტის, ორგანიზაციული სტრუქტურის, ლიდერობის, ფორმალური და არაფორმალური კავშირების, სამუშაოთა შინაარსისა და შრომითი საქმიანობების ხარისხის სხვადასხვა ასპექტებს. ნაშრომში შევეცდებით წარმოვადგინოთ მათი როლი და ადგილი აღნიშნული მეცნიერული მიმართულების განვითარებაში.

აბრაჰამ მასლოუს წიგნი „მოტივაცია და პიროვნება“ (1954 წ.). აბრაჰამ მასლოუ მოტივაციას განსაზღვრავდა, როგორც ადამიანის ზღვრული მიზნების შესწავლას და ადამიანური ბუნების კვლევისას აკეთებდა სამ დაშვებას:

1. ადამიანები ცოცხალი არსებები არიან, რომელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია;

2. ნაწილობრივ ან მთლიანად დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები მოქმედებისაკენ ადამიანთა წაქეზებას განაპირობებს;

3. არსებობს მოთხოვნილებათა იერარქია, რომელშიაც დაბალი დონის მოთხოვნილებები მდებარეობს დაბალ საფეხურებზე, ხოლო მაღალი დონისა- ყველაზე ზემოთ(ე.წ „მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდა“).

ამიტომ, მისი აზრით, ადამიანებს ახასიათებთ მოთხოვნილებათა იერარქიულად განლაგებული რთული სტრუქტურა და მათი მართვა უნდა ეყრდნობოდეს მომუშავეთა მოთხოვნილებების გამოვლენასა და მოტივირების შესაბამისი მეთოდების გამოყენებას.

მოტივაციისადმი თავისებური მიდგომით გამოირჩეოდა ფრედერიკ ჰერცბერგი, რომელმაც დამოუკიდებლად და თანაავტორებთან ერთად გამოცემულ წიგნებში, „შრომისადმი დამოკიდებულება“(1957 წ.) „შრომის მოტივაცია“ (1959 წ.) „შრომა ადამიანის ბუნება“(1966 წ.) მომუშავეზე მოქმედი ფაქტორები დაეო ჰიგიენურ (შრომის ჯანსაღი პირობები) და საკუთრივ მოტივაციის (მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ) ფაქტორებად. შესრულებული სამუშაოთი ადამიანთა კმაყოფილება-უკმაყოფილების პროცესზე ზემოქმედების მიხედვით, ჰიგიენურ ფაქტორებს იგი განიხილაგდა, როგორც გარე ფაქტორების მიიხნეველა მოტივაციის შინაგან ფაქტორებად. იგი მენეჯერებს თავაზობდა შრომითი პროცესის გამრავალფეროვნებით მომუშავეთა მოტივაციის პრობლემების გადაჭრას.

ორგანიზაციის მართვაში სტრუქტურული და პიროვნული ელემენტები ერთმანეთთან პირველად დააკავშირა ჩესტერ ბერნარდმა. ამასთან, ამ კონსტრუქციაში იგი განიხილაგდა არა თვით პიროვნებას, არამედ მის ქცევას და ორგანიზაციას ახასიათებდა, როგორც ღია სისტემას, რომელშიაც ადამიანთა საქმიანობის კოოპერაცია ემყარება სტიმულისა და წვდილის თანაფარდობის კონცეფციას. თავის ერთადერთ ნაშრომში „ადმინისტრატორის ფუნქციები“ (1938 წ.) ჩ. ბერნარდმა წარმოადგინა კოოპერაციული სისტემის თეორიული მოდელი, რომლის კონსტრუირების საფუძველსაც წარმოადგენდა ინდივიდი თავისი ქცევით. მისი აზრით, ინდივიდები გამოირჩევიან უნიკალურობითა და დამოუკიდებლობით, მაშინ, როდესაც ორგანიზაციები კოოპერაციული ხასიათისაა და ადამიანებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ კოოპერაციულ სისტემასთან თავისი დამოკიდებულება. ადამიანები თანამშრომლობენ საერთო მიზნების ეფექტური რეალიზაციისთვის, ამიტომაც შესასწავლია სისტემის

ფორმალური და არაფორმალური კავშირები. ჩ. ბერნარდის მიერ შემუშავებული ძღაუფლების სქემა ემყარება თანამდებობრიბი მდგომარეობის ან ლიდერობის ავტორიტეტს, რისთვისაც ქვემდგომები მმართველებს ანიჭებენ უფლებას წარმართონ მათი საქმიანობა. ამ პროცესზე გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების წესი, ინფორმაციის კომუნიკაციური სისტემა, ორგანიზაციის სტრუქტურა, მმართველი პერსონალის კომპეტენცია, მომუშავეთა მიერ ორგანიზაციაში საკუთარი ადგილისა და როლის აღქმა, მათი მენტალური და ფიზიკური მახასიათებლები ანუ, ზოგადად, ორგანიზაციის მართვის სტილი.

მაკრეგორის აზრით ზემოთაღნიშნული თვისებები კვლინდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თანდაყოლილად ახასიათებს ადამიანს, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ თავად ორგანიზაცია, მისი მენეჯმენტის ფილოსოფია, პოლიტიკა და პრაქტიკა პერსონალს უბიძგებს იყოს აქტიური თუ პასიური, ამბიციური თუ “იარაღდაყრილი”. მაკრეგორი აყალიბებს საჭიროებათა იერარქიას, სადაც საუბარია ადამიანის ფსიქოლოგიურ, უსაფრთხოების, სოციალურ, პიროვნულ და თვითრეალიზაციის საჭიროებებზე. მათ დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ახალი, Y ტიპს ორგანიზაციის შექმნა. შესაბამისად იმისათვის რომ ადამიანური რესურსი გამოყენებულ იქნას მაქსიმალურად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას პერსონალზე მოქმედი ფსიქოლოგიური და მორალური ფაქტორები. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ ფაქტორებზე ყურადღება გაამახვილა იყო ამერიკელი მეცნიერი და ფსიქოლოგი დუგლას მაკრეგორი (1906-1964წწ). მის ნაშრომში „ორგანიზაციის ადამიანური მხარე”(1960 წ.) ჩამოყალიბებულია მენეჯმენტის ყველაზე ცნობილი თეორია: თეორია „X” და თეორია „Y”. თეორია „X”-ში დ. მაკრეგორი აერთიანებდა მართვასა და კონტროლზე ტრადიციულ შეხედულებებს, თეორია „Y” კი ემყარება ინდივიდუალური და გუნდური ინტერესების ინტეგრაციას და მისი მიმდევარი ყოველი ლიდერი ითვალისწინებს შემდეგ წინამძღვრებს;

თეორია X და თეორია Y ანუ პესიმისტური და ოპტიმისტური თეორიები.

მაკრეგორმა ჩამოაყალიბა თეორია X და თეორია Y ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:

თეორია X:

- ადამიანების უმრავლესობას ეჯავრება სამსახური;
- ადამიანთა უმრავლესობას სურს პასუხისმგებლობის აცილება;
- ადამიანთა უმრავლესობა არის ამბიციური (პიროვნულ წარმატებაზეა ორიენტირებული);
- ადამიანების უმრავლესობას სურს იყოს მიმდევარი და არა მენეჯერი;
- ადამიანთა უმრავლესობას ნაკლები უნარი, შესაძლებლობა აქვს პრობლემების გადაწყვეტისა;
- ადამიანთა უმრავლესობა მოითხოვს მკაცრ კონტროლს, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები.

თეორია Y:

- ადამიანთა უმრავლესობისთვის სამსახური უმეტეს შემთხვევაში არის სასიამოვნო და უნდათ იქ ყოფნა;
- ადამიანების უმრავლესობას აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ადამიანების უმრავლესობას აქვს მკაფიოდ გამოხატული მიზნები, სურს თვითრეალიზაცია;
- ადამიანთა უმრავლესობას სურს იყოს წინამძღოლი პერიოდულად;
- ადამიანთა უმრავლესობა არის პრობლემის კარგად გადამწყვეტი;
- ადამიანთა უმრავლესობას არ სჭირდება მკაცრი კონტროლი;
- ადამიანთა უმრავლესობა არის დამოუკიდებელი და ავტონომიური.

თეორია X-ის მიმდევარი მენეჯერი, მომწამვლელ, ტოქსიკურ გარემოს ქმნის (ქმედების სურვილს კლავს).

თეორია Y-ის მიმდევარი მენეჯერი ჯანსაღ, ხალისიანი და პროდუქტიული მუშაობისათვის საჭირო გარემოს ქმნის, ასეთ გარემოში საქმიანობა გაცილებით ნაყოფიერია.

მაკგრეგორის თეორია იშლება რამდენიმე “ქვეთეორიად”, X ტიპის ორგანიზაცია და X ტიპის ორგანიზაციის პერსონალი; Y ტიპის ორგანიზაცია და Y ტიპის ორგანიზაციის პერსონალი.

X ტიპის ორგანიზაცია:

1. მხოლოდ მენეჯერია პასუხისმგებელი ორგანიზაციის საწარმოო ელემენტების ორგანიზებაზე ეკონომიკური ინტერესის თვალსაზრისით, იქნება ეს ფული, მასალა, აღჭურვილობა თუ ადამიანები;

2. მენეჯერი პასუხს აგებს თანამშრომელთა ძალისხმევის სწორად მიმართვაზე, მათ მოტივირებაზე, მათი ქმედებების გაკონტროლებაზე და ორგანიზაციის საჭიროებათა მიხედვით მათ ქცევასა და მუშაობაში ცვლილებების შეტანაზე;

3. ადამიანები ორგანიზაციაში არიან პასიურნი, მენეჯერის მხრიდან ძალდატანების ან ანაზღაურების გარეშე არ მიჰყვებიან ორგანიზაციულ დინამიკას, ორგანიზაციის საჭიროებებს არ ითვალისწინებენ.

X ტიპის თანამშრომლები:

საშუალო თანამშრომელი ბუნებით არის ზარმაცი და ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები იმუშაოს;

- საშუალო თანამშრომელი ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, ურჩევნია სხვამ უხელმძღვანელოს და მიუთითოს. მას არ გააჩნია ამბიციები;

- იგი პირველ რიგში ზრუნავს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე და ინდიფერენტულია ორგანიზაციულ საჭიროებების მიმართ;

- იგი ბუნებით წინააღმდეგია ყოველგვარი ცვლილებებისა;

- იგი ძალზე მიამიტი, საშუალო ინტელექტის მქონეა და ადვილად შეიძლება მოტყუვდეს ან მოექცეს დემაგოგის გავლენის ქვეშ.

Y ტიპის ორგანიზაცია:

1. მენეჯერი, გუნდთან ერთად, პასუხისმგებელია ორგანიზაციის საწარმოო ელემენტების ორგანიზებაზე ეკონომიკური ინტერესის თვალსაზრისით, იქნება ეს ფული, მასალა, აღჭურვილობა თუ ადამიანები;

2. ადამიანები ბუნებით არ არიან პასიურები და არც ორგანიზაციულ საჭიროებებს არ ეწინააღმდეგებიან. ისინი ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად იძენენ პროფესიულ გამოცდილებას და საჭირო უნარ-ჩვევებს;

3. მოტივაცია, პოტენციური განვითარებისათვის, პასუხისმგებლობის აღების უნარი, ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად აუცილებელი სამუშაოს გაწევა – ყველა ეს თვისება ახასიათებთ ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანებს. მენეჯერის მოვალეობა შემოიფარგლება თანამშრომლებისათვის ხელშეწყობით, გამოავლინონ თავიანთი უნარ-ჩვევები და თვისებები;

4. მენეჯერის ძირითადი ამოცანაა შექმნას ხელსაყრელი ორგანიზაციული პირობები და შეიმუშავოს საოპერაციო მეთოდები ისე, რომ ადამიანებმა შეძლონ ორგანიზაციული მიზნების მიღწევის პარალელურად საკუთარი მიზნების განხორციელება.

Y ტიპის ორგანიზაციის პერსონალი:

- არის მოტივირებული;
- პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე;
- ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად იძენენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს;
- იჩენს ინიციატივას;
- ცდილობს თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად მოახმაროს ორგანიზაციის განვითარებას.

მაკრეგორი თვლიდა, რომ X ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბება, თუ ამის ნება ლიდერისაგან იქნება, მარტივია. Y ტიპის ორგანიზაციაში საჭიროა იმ ახალი მიმართულებებისა და მიდგომების გაცნობა და გაანალიზება, რომელიც ორგანიზაციულ გარდაქმნას შეუწყობს ხელს.

კლიმატის შექმნის შემდეგ შესაბამისი ენერჯია და თვისებები ვლინდება ადამიანებში. თუ ადამიანი არის თეორია Y-ის მიმდევარი:

1. იქცევა შესაბამისი თეორიის მიხედვით;
2. მენეჯერის ქცევა თეორია Y-ის მიხედვით, განაპირობებს ორგანიზაციული კლიმატის შესაბამის თეორიაზე გადასვლას;
3. ორგანიზაციული კლიმატი შესაბამისად განაპირობებს მიმდევრების (თანამშრომლების) ქცევას. (ანუ ისინი ხდებიან თეორია Y-ის მიმდევარნი).
4. მიმდევრების (თანამშრომლების) ქცევა კი განამტკიცებს მენეჯერში Y თეორიას.

თეორია X-ს შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით ხდება. შესაბამისად, ორგანიზაციის საქმიანობა არაპროდუქტიულია და ბოლოს ყველასათვის სავალალო შედეგით სრულდება. საბოლოო ჯამში, თეორია X განაპირობებს კრახს პიროვნულ და ორგანიზაციულ დონეზე.

როდესაც ადამიანმა თავის სამსახურში არ იცის რა უნდა აკეთოს, არ აფასებენ, არ აფასებენ მის საქმიანობას, (არ აფასებს მენეჯერი), ავტომატურად გახდება თეორია X-ის მიმდევარი.

სადაც პიროვნებას ენდობიან, აფასებენ, მისი შემოქმედებითობა არის წახალისებული, აუცილებლად იქნება იგი ინიციატორი, პასუხისმგებლობის მქონე და აუცილებლად იქნება Y თეორიის მიმდევარი.

მენეჯერზეა დამოკიდებული ამინდი, კლიმატი.

მაკერგეორის თეორიის მიხედვით ფიზიკურ და სულიერ ძალთა ხარჯვა მუშაობისას ისეთივე ბუნებრივია, როგორც დასვენების პროცესი; ადამიანები დასახული მიზნის მისაღწევად ფლობენ თვითმმართველობისა და თვითკონტროლის უნარს, აქვთ პასუხისმგებლობისა და ორგანიზაციისადმი მოვალეობის გრძნობები; ორგანიზაციული მიზნებისადმი პასუხისმგებლობა და მოვალეობა დამოკიდებულია შრომის შედეგების ანახლადურებაზე-ყველაზე დიდი ჯილდო ადამიანისათვის თვითრეალიზების მოთხოვნის დაკმაყოფილებაა; ადამიანი არა მარტო მზადაა აიღოს პასუხისმგებლობა, არამედ ცდილობს როგორმე მიიღოს იგი და მათი უმრავლესობა განწყობილია ორგანიზაციული პრობლემების გადამწყვეტისას გამოამყვანოს შემოქმედებითი მიდგომა, გამოიყენოს ცოდნა, გამოცდილება და წარმოსახვის უნარი. დუგლას მაკერგეორის იდეები განავითარა იაპონური წამოშობის ამერიკელმა პროფესორმა უილიამ ოუნიმ თავის ნაშრომში თეორია „Z“(1981 წ.), რომელშიაც იაპონური მართვის გამოცდილების შესწავლისა და განხორციელების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა ამერიკულ კორპორაციებში მართვისადმი იაპონური მიდგომის ეფექტური ტიპის დანერგვის თაობაზე. უილიამ ოუნიმ კონცეფცია ეყენობა მტკიცებას, რომ ადამიანი-ესაა ნებისმიერი ორგანიზაციის საფუძველი და მასზეა დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირება, უ. ოუნიმ ჩამოაყალიბა ადამიანთა ეფექტური

მართვის განხორციელების ძირითადი წესები: კადრების გრძელვადიანი დაქირავება; გადაწყვეტილებების კოლექტიური მიღება; ინდივიდუალური პასუხისმგებლობა; კადრების არა ხშირი შეფასება და თანდათანობითი დაწინაურება; ფარული არაფორმალური კონტროლის განხორციელება ზუსტი და ფორმალური მეთოდებით; არასპეციალიზებული კარიერა; მომუშავეზე ყოველმხრივი ზრუნვა. იგი თავის ნაშრომში განიხილავდა მართვის სამ ტიპს: წმინდა იაპონურს, ამერიკულსა და იაპონური ორგანიზაციის ამერიკულ სახესხვაობას („Z” ტიპი). თეორია „Z” დაფუძნებულია იმაზე, რომ ინდივიდუალური ძალისხმევის საუკეთესო კოორდინაცია, რომელიც ემყარება ნდობას, ტაქტსა და სიახლოვეს, იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. უოუჩი ორგანიზაციის სტრუქტურისა და კულტურასთან ერთად განიხილავს მმართველობით მიდგომებს, მართვის ფილოსოფიასა და სტილს.

ამრიგად, მართვის ბიჰევიორისტული სკოლა ეფუძნება მართვაში ადამიანის ქცევის შემსწავლელ მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებას და ორგანიზაციის იმგვარ ფორმულირებას, რომ თითოეული მომუშავე მთელი თავისი პოტენციალის შესაბამისად იქნეს გამოყენებული, რაშიაც მნიშვნელოვანია მათი ქცევის მოტივების ანალიზი.

გაგლენა, ავტორიტეტი და ძალაუფლება კლასიკურ და თანამედროვე მენეჯმენტში:

ხელმძღვანელი რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს ხალხში, დადებითად განაწყოებს და გაგლენას ახდენს მათზე. ძლიერი ავტორიტეტის მქონე მენეჯერის გადაწყვეტილებებს ხელქვეითები უფრო მონდომებითა და ზედმეტი ადმინისტრაციული ზეწოლის გარეშე იღებენ და ასრულებენ, ვიდრე არაავტორიტეტული მენეჯერისას.

ავტორიტეტის შექმნის ხერხები უნდა პასუხობდნენ მოქმედ ეთიკასა და მორალის ნორმებს. კლასიკური თეორიის მიმდევარ მენეჯერებში შეინიშნება ავტორიტეტის ფორმირების ხელოვნური ხერხები, რომლებიც ძირითადად არ აღწევენ წარმატებას. შეიძლება გამოვეყოთ ფსევდოავტორიტეტის შემდეგი ნაირსახეობები:

ფსევდოავტორიტეტის ნაირსახეობები:

1. **დისტანციის ავტორიტეტი**, ხელმძღვანელი თვლის რომ მისი ავტორიტეტი უფრო გამყარდება თუ ის დისტანციას

დაიჭერს ხელქვეითებთან და მათთან მხოლოდ ოფიციალური ურთიერთობა ექნება;

2. **სიკეთის ავტორიტეტი**, “ყოველთვის იყავი კეთილი” ეს არის ამ ტიპის ხელმძღვანელის დევიზი, მაგრამ ასეთი სიკეთე აქვეითებს მოთხოვნას და ამით მენეჯერი საკუთარ თავს და ხელქვეითს “დათვურ” სამსახურს უწევს;

3. **პედანტიზმის ავტორიტეტი**, ამ შემთხვევაში მენეჯერი მკაცრად განსაზღვრავს დავალების შესრულების ყველა სტადიას, რითაც ახშობს ყოველგვარ ინიციატივას;

4. **დათრგუნვის ავტორიტეტი**, მენეჯერი იყენებს მუქარებს და თესავს შიშს ხელქვეითებში. ის მოსაზრება რომ ეს ხერხი მას ავტორიტეტს აუმაღლებს მცდარია, რადგან საბოლოო ჯამში ეს უკარგავს ხალხს ინიციატივას, მოტივაციას და საბოლოოდ ბადებს უპატივცემულობას.

მართვის ადამიანური ურთიერთობების სკოლა და ბიჰევიორიზმი პირდაპირ აკეთებს აქცენტს დეცენტრალიზაციაზე, პერსონალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებაზე და გუნდური მუშაობის დანერგვაზე ორგანიზაციებში. ამ მხრივ საქართველოში ბევრი საინტერესო ფაქტი გამოვლინდა. დღევანდელი მიკრო “გამოკვლევის” შედეგად ორგანიზაციების თანამშრომლებში დიდია არაგულახდილობის მომენტი, მათ თითქოს ესმით გუნდური პრინციპის უპირატესობა და ცდილობენ ორგანიზაციის გამოყვანას ისეთად, როგორც მათ სურთ, მაგრამ მაინც ვერ ახერხებენ თემის რეალური უცოდინარობის დამალვას. სამწუხაროდ საქართველო იმ განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებენ მართვის კლასიკური სკოლების რეკომენდაციების დახვეწას რომლის შემდეგაც შეიძლება მართვის ე.წ. ახალ საფეხურზე გადასვლა, რასაც მენეჯმენტის “ენაზე” მოქნილი მმართველობის სტილი ეწოდება.

ძალაუფლება

კლასიკურ თეორიებში ძალაუფლება განიმარტებოდა, როგორც კონტროლის შესაძლებლობა ადამიანებსა და მოვლენებზე (როგორც მშობლებს შეუძლიათ აკონტროლონ თავიანთი შვილები, ან ხელმძღვანელებმა თავიანთი ქვეშევრდომები).

ტრადიციულად, ძალაუფლების მქონე ადამიანები წარმოდგენილი იყვნენ, როგორც დომინირებული უფროსები და მანიპულირებადი ქვეშევრდომები.

ეს ძალაუფლების ვიწრო და მოძველებული ცნებაა. ძალაუფლება თავისთავად არ არის ცუდი ან უარყოფითი. ხშირად მას მივყავართ კარგ და ღირშესანიშნავ შედეგამდე. ადამიანის მორალზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება იგი გამოყენებული.

თანამედროვე მენეჯმენტში ძალაუფლება არ არის გაიგივებული აგრესიასთან, სისასტიკესთან ან ეშმაკობასთან (მოტყუებასთან). ძალაუფლება და სიძლიერე გაიგივებულია პირად ქმედუნარიანობასთან. დღესდღეისობით, ძალაუფლება განიხილება, როგორც რესურსების მობილიზაციის უნარი რამე პროდუქტიული (ნაყოფიერი) სამუშაოს შესასრულებლად.

არსებობს ძალაუფლების საინტერესო კლასიფიკაცია რომლის მიხედვითაც ძალაუფლებას აქვს 5 ძირითადი ფორმა:

1. ძალაუფლება რომელიც ემყარება იძულებას;
2. ძალაუფლება, რომელიც ემყარება დაჯილდოვებას;
3. ექსპერტული ძალაუფლება.
4. კანონიერი ძალაუფლება;
5. **ეტალონური ძალაუფლება (მაგალითის ძალაუფლება)**

გავლენის მომხდენი ადამიანის მახასიათებლები ან თვისებები შემსრულებლისთვის იმდენად მიმზიდველია, რომ მას სურს იყოს ისეთივე, როგორც მასზე გავლენის მომხდენი პირია. მაგალითის ძალაუფლება ქარიზმას საშუალებით გამოიხატება. ქარიზმა ეს არის ძალაუფლება, რომელიც დამყარებულია არა ლოგიკასა და ძველ ტრადიციასზე, არამედ ლიდერის პირად თვისებებსა და შესაძლებლობებზე. ქარიზმატულ პირებს შემდეგი მახასიათებლები აქვთ: ენერჯის გაცვლა, შთამბეჭდავი გარეგნობა, ხასიათის დამოუკიდებლობა, შთამბეჭდავი რიტორიკული შესაძლებლობანი, საკუთარი პიროვნებით აღფრთოვანება (რომელიც პელეს სინდრომში არ უნდა გადაიზარდოს), თავის დაჭერის ღირსეული და საჩვენებელი მანერა.

სწორედ რომ ადამიანური ურთიერთობების და მართვის ბიჰევიორისტული სკოლა უწევს რეკომენდაციას ეტალონური ტიპის ძალაუფლებას, ხოლო დათრეუნვის, შიშის,

პედანტიზმის სშირი გამოყენება მართვაში კი მართვის კლასიკური თეორიების შემადგენელი ნაწილია.

ბოლოს მინდა სოფოკლეს სიტყვებით დავასრულო, “არასოდეს შეგშურდეთ სხვისი ძალაუფლების და სიძლიერის, სანამ არ გაიგებთ როგორ დაასრულა მან თავის მოღვაწეობა”.

ლიტერატურა

Reference:

1. გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია - სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. თბილისი 2009.
2. ნიკოლო მაკიაველი – „მთავარი“ ბ. ბრეგვაძის წინასიტყვაობით, თბილისი, 1984.
3. P. F. Drucker – Management Challenges for the 21st century (1999)
4. COLLINS BUSINESS, An Imprint of HarpeCollins Publishers.gv. 199
5. Stephen R. Covey. First Things First; (To Live, to Lave, to Learn, to Leave a legacy) STEPHEN R. COVEY A. ROGER MERRILL REBECCA R. MERRILL A Fireside Book Published by SIMON & SCHUSTER New York London Toronto Sydney Tokyo Singapore gv. 361
6. Stephen R. Covey. The 8th Habit; (From Effectiveness to Greatness) FREE PRESS. New York London Toronto Sydney gv. 409
7. Douglas Mcgregor “The human side of enterprise annotated edition” UPDATED AND WITH A NEW COMMENTARY BY JOEL CUTCHER-GERSHENFELD McGraw-Hill New York; Chicago; San Francisco; Lisbon; London; Madrid; Mexico; City Milan; New Delhi; San Juan; Seoul; Singapore; Sydney; Toronto. gv. 403
8. Donald G. Krause, “The way of the leader” Applying the Principles of Sun Tzu and Confucius – Ancient Strategies for the Modern Business World. gv. 176.
9. Gary Yukl – “leadership in organizations”. University at albany; State University of New York. gv. 542

Ketevan Meparishvili, Zaza Koiava

Role of Behaviorist and Human Relations Schools of Management in 21st century

Summary

Not so long ago, human resources were considered only as sources of making profit. There is a new approach today as a modern person has freedom to choose what, when and why. Today it became necessary to coincide the interests of staff and an organization, new approach in management, new goals and objectives and to strive for superiority. That's why here is a brief review about the classical management and its disadvantages. Then are overviewed the details of Human Relations and Behavioristic Schools of management, their main advantages and recommendations. Here is given and discussed "The Hawthorne Experiments", guided by Elton Mayo. In conclusions are presented classical and modern understanding of power.

Keywords: Behaviorist, Human Relations, Management

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

Роль школ Поведенческой и Человеческих отношений в менеджменте 21 века.

Резюме

В недавнем прошлом человечески ресурс в организации рассматривался как товар, который надлежало использовать для получения выгоды. В наше время это уже не так, поскольку современны человек свободен в выборе и сам решает чего он желает, зачем и почему. Сегодня возникла необходимость в совмещении интересов персонала и организации, в новом подходе к управлению организацией, в определении новых целей и задач, в постоянном поиске и стремлений к первенству. Именно поэтому в представленном труде вкратце рассмотрены классические теории и их недостатки, а затем широко представлены основные преимущества и рекомендации современных школ, таких как Человеческих Отношении и Поведенческой. Представлены выводы о современных и классических теориях и представлениях о власти

Ключевие слова: Поведенческий, Человеческих отношений, менеджмент

Рецензент: Профессор Шота Догонадзе . Грузинский технический университет.

ლაშა გოგილე
ღია მმართველობა საქართველოში, მიღწევები და
ბამოწვევები

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო, გამჭვირვალობა, საქართველო, იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეთა მონაწილეობა, სამოქალაქო საზოგადოება, აბგარიშგება, ტექნოლოგიური ნოვაციები.

მასალა დანართის სახით განთავსებული არის
ჟურნალის ბოლოსში

Lasha Gogilze
Open Governance in Georgia - Achievements and Challenges

Summary

The Open Government Partnership (OGP), a recently launched global platform, is designed to ensure that citizens have extensive information about government activities and are able to participate in these activities. New technologies are seen as a valuable asset to give people easier access to information and better chances to raise issues directly with the government.

Georgia was among the first group of countries to join the OGP and to commit to upholding its core principles of transparency, citizen participation, accountability and technological innovation. In April 2012, the country's government delivered a specific action plan highlighting the main activities to incorporate these principles into the public sector. The adoption of the action plan was preceded by a series of consultations with Civil Society Organizations (CSOs) which played a crucial role in aligning the final document with their needs as well as with OGP's basic requirements.

The key findings of this study are:

- The Georgian government has the political will and the capacity to implement the OGP principles in the country.
- The Ministry of Justice (MoJ), which is the main implementing agency for OGP in Georgia, started public consultations belatedly by holding separate meetings with a few CSOs only. This caused the whole

consultation process to be impaired by exclusiveness, inconsistency and fragmentation

- The MoJ's first two drafts of the OGP action plan did not reflect on the CSO's feedback, and were a bare repetition of Georgia's existing reforms to fight corruption, thus falling short of any new commitments as required by the OGP
- The CSOs' efforts to develop joint recommendations on the draft action plan by involving more organizations in the coalition yielded tangible results when the three leading CSOs in the field, Transparency International Georgia (TI Georgia), Institute for Development of Freedom of Information (IDFI), and JumpStart Georgia, took hold of the drafting process.
- The final OGP action plan is largely based on the CSO recommendations and presents a marked improvement from its previous two versions. Besides promoting existing reforms it also mentions a number of new commitments that are in line with OGP's main principles and activities.
- A lack of clear indicators against which to measure the progress in the implementation of Georgia's OGP action plan is the major weakness of the document.
- The NGO forum under the MoJ, which serves as a working group to coordinate the implementation of the Georgian government's OGP commitments, is mostly attended by the same CSOs which played a key role in the consultation process.
- Most of the people and local CSOs in Georgia have little knowledge, proficiency or interest in OGP which makes it a luxury policy of an exclusive club of organizations only.

Kay words: Open Government Partnership, Georgia, club of organizations, The NGO forum, Development, Civil Society Organizations.

ლ. ლაშა გოგიძე

Открытое управление в Грузии – достижения и вызовы

Резюме

Открытое управление глобальная платформа, которая только что началось и целью которого является детальное информирование граждан о деятельности Правительства и их участие в работе последнего. С использованием новых технологий гражданам будет более доступна информация и они смогут возникшие вопросы ставить непосредственно перед Правительством.

Грузия была одной из первых из группы стран присоединившихся к Партнерству открытого управления и взяла на себя обязательства защищать его принципы: прозрачность, участие граждан, отчетность и технологическая новация. В апреле 2012 года Правительство страны представило конкретный план действий, в котором подчеркнуты основные меры по внедрению в государственный сектор указанных принципов. Разработке плана действий предшествовало серия консультаций с организациями гражданского сектора, они и сыграли решающую роль по обеспечению соответствия этого плана с их нуждами и требованиями Партнерства открытого управления.

В данном исследовании представлены основные заключения:

- правительство Грузии имеет политическую волю и способность по внедрению в жизнь принципов Партнерства открытого управления.
- министерство юстиции, которое является ведущим по внедрению этих принципов с опозданием начало консультации с общественностью. Оно провело только отдельные встречи с несколькими неправительственными организациями. В связи с этим, весь процесс консультаций усложнился, стал эксклюзивным, фрагментарным и непоследовательным.
- В связи с этим неправительственные организации проявили настойчивость и принципиальность, в работу включились ряд неправительственных организаций, в том числе «Международная прозрачность –Грузия». Был разработан действенный план деятельности.
- слабой стороной плана действий является отсутствие конкретный параметров и показателей на основе которых можно будет измерить ее действенность и эффективность.
- пока еще не обеспечена широкое участие общественности в работе по реализации плана действий.

- все еще недостаточно информированность неправительственных и общественных организаций о принципах Партнерства открытого управления.

Именно эти и другие важные вопросы и проблемы рассмотрены в данном исследовании.

Ключевые слова: Международная, прозрачность, Грузия, правительство, министерство юстиции, участие граждан, отчетность, технологическая новация

ოსტორია

ჰენრი კუპრაშვილი საქართველოში სასულიერო წოდების შექმნის რამდენიმე ასპექტი

XIX საუკუნემდე “ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლაში წარმოუდგენლად დიდ როლს ასრულებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია” [1]. იგი ისტორიულად მუდამ მედგრად იდგა ეროვნული მეობისა და ქართული სულიერების საგუშაგოზე, საუკუნეების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ეროვნულ ინტერესებს. მაგალითად, XVII–XVIII საუკუნეებში ქრისტიანი მართლმადიდებელი და ეთნიკური სახელი “ქართველი” სინონიმებად იყო ქცეული [2, გვ. 1087]. ქართველი ადამიანი, თუ სხვა სარწმუნოებას აღიარებდა, იგი უკვე არაქართველად აღიქმებოდა. ეს ფენომენი იმდენად ძლიერი იყო, რომ არა თუ ზოგადად ქართველი, არამედ ერთი გვარის ადამიანებიც კი, სარწმუნოების შეცვლის კვალობაზე, სხვადასხვა ეროვნებისა ხდებოდნენ. მაგალითად, ამაზე მეტყველებს ალ. ნაზლაიძის მოყვანილი ფაქტი: „მაისურაძეთა დიდი უმრავლესობა მარტომადიდებელი ქრისტიანია, მაგრამ საქართველოს მიძიმე ისტორიული ბედის გამო მაისურაძეებშიც გვხვდებიან სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები, ასე მაგალითად: ქვემო ქართლში თეთრიწყაროელი მაისურაძეების ერთი ნაწილი გრიგორიანი ქრისტიანია და მათ სომხებს უწოდებენ, იმერეთში, ხონელი მაისურაძეების ნაწილი კათოლიკე ქრისტიანია და მათ ფრანგებს უწოდებენ. ხოლო სამცხეში, ადიგენის რაიონის სოფლებში მესხთა გასახლებამდე ცხოვრობდნენ მაჰმადიანი მაისურაძეები, რომლებსაც თათრებს უწოდებდნენ“ [3].

რუსთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ტერმინს „მართლმადიდებელი ქრისტიანი“, ძველი დატვირთვა ამ ასპექტში თანდათან ჩამოცილდა და ქართველის ცნობიერებაში მისი მხოლოდ ზოგადი შინაარსი დარჩა. ე.ი. იმ პერიოდიდან მართლმადიდებელურმა სარწმუნოებამ, ადრე შექმნილი ქართველი ერის შემკრები, მისი ქართველთან გაიგივების მკვეთრად გამოსატყული შინაარსი თანდათან დაკარგა. მართლმადიდებელი ხომ რუსიც იყო, რომელმაც ერთმორწმუნე ქართველებს თავისუფლებაც წაართვა და სახელმწიფოებრიობაც. სამწუხაროდ, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელებმა ვერ შეძლეს

მოსალოდნელი რუსული საშიშროებისთვის თავისდროზე აღ-
ლო აეღოთ და ქართველებზე დატეხილ ეროვნულ ტრაგედიას,
სულიერ კატაკლიზმებსა და პოლიტიკურ ქარტეხილებს მომზა-
დებული შეხვედროდნენ.

რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკური მიზნების განსა-
ხორციელებაში რელიგიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას
ანიჭებდა. ცხადია, საქართველოსთან მიმართებაშიც ქრისტიან-
ობის დაცვის საფარქვეშ ინიღბებოდა ცარიზმის დამპყრობ-
ლური მიზნები და კოლონიური პოლიტიკა [4]. რუსულმა ხელი-
სუფლებამ ერთმორწმუნოების საფარქვეშ საქართველოს დაპ-
ყრობის, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი აპარატის
მოშლისა და რუსული მმართველობის დამკვიდრების კვალდაკ-
ვალ, უპირველეს სამიზნედ ქართული ეკლესია ამოიღო და მას
ვერავგულად შეუტია. რუს ხელისუფალთა აზრით, საქართვე-
ლოს ეკლესია, რომ დამოუკიდებელი დარჩენილიყო, იგი ხელს
შეუშლიდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რუსულ ზნეებულებ-
ბათა სწრაფ გადმონერგვას, და საერთოდ, როგორც ისტორიუ-
ლი გამოცდილება მოწმობდა, იგი კოლონიზატორების მოწინა-
აღმდეგეთა მძლავრი თავშესაფარი გახდებოდა.

საქართველოს ეკლესია ამ დროისათვის ფლობდა დიდ-
ძალ ქონებას. იგი იყო ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეუ-
ლი და ამით მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული ეკლესიისა-
გან, რომელიც იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ
სახელმწიფოს ნაწილად იყო გადაქცეული და საერო ხელი-
სუფლებისადმი დამორჩილებული. საქართველოში კი პირიქით
– სახელმწიფო ხელისუფლება არ იყოფოდა საეროდ და სასუ-
ლიეროდ. ქვეყნის ხელისუფლების სათავესთან იდგნენ ეკლესი-
ის უმაღლესი იერარქები [2, გვ. 1093].

**XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთის მთავრობამ
საქართველოში შექმნა თავადაზნაურთაგან განსხვავებული,
პრივილეგიური საზოგადოებრივი ჯგუფი – სასულიერო წოდე-
ბა. წინათ მაღალ სამღვდლო პირებად თავადები და აზნაუ-
რები გვევლინებოდნენ, სოფლის დაბალი სამღვდლოება
(მღვდლები, დიაკვნები, მედავითნეები და სხვ.) კი ყმა-გლეხთა
ბანაკს ეკუთვნოდნენ. 1808 წლის კანონით დაბალი სამღვდე-
ლოება განთავისუფლდა მეზატონეთა როგორც ყმური დამოკი-
დებულებისაგან, ისე ყოველგვარი საბატონო გადასახადებისა
და ვალდებულებებისგან. საეკლესიო ქონება და მამულები ცა-
რიზმმა თანდათან სახაზინო საკუთრებად გადააქცია, ხოლო
სამღვდლოება სახაზინო ანაზღაურებაზე გადაიყვანა, რითაც**

ეს წოდება მთლიანად ხელისუფლებაზე დამოკიდებული და ადვილად სამართავი გახადა. ხოლო 1811 წელს, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოში ეკლესიის მართვის სათავეები მთლიანად საკუთარ ხელში აიღო.

რაც შეეხება ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელ კათალიკოსს, „იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 10 ივნისს წერილი მისწერა ანტონ კათალიკოსს, დაჰპირდა მისი ღირსების შეულახაობას წმ. სინოდის ავტორიტეტის მეშვეობით და მიიპატიჟა რუსეთში, სადაც მისი საკადრისი პატივით იცხოვრებდა, მიიღებდა პენსიას და ამასთანავე დაიკავებდა მეხუთე ადგილს წმ. სინოდში“. 1811 წელს ანტონი გამოეთხოვა თავის სამწესოს და გაემგზავრა პეტერბურგს [2, გვ. 1093].

საზოგადოების განვითარების იმ პერიოდის სპეციფიკიდან გამომდინარე (ცხადია, მაშინ არ იყო ტელევიზია და არც პრესა იყო მასობრივი), ხელისუფლებამ თავისთვის ეფექტური და მომგებიანი გათვლა გააკეთა იმ თვალსაზრისით, რომ ადგილებზე უშუალოდ ხალხთან კომუნიკაციის კუთხით, პოლიტიკური მიზნების რეალიზებისათვის საჭირო პოლიტიკური ინფორმაციის ფართო მასებამდე “ეფექტურად დაყვანა” ყველაზე უკეთ სამღვდელეობის საშუალებით შეიძლებოდა. თანაც მღვდლის, როგორც საქართველოს ქრისტიანულ მოსახლეობის სრულად მომცველი და ყველაზე კონტაქტური პირის საშუალებით გადაცემული ინფორმაცია ხომ მოსახლეობისთვის ყველაზე დამაჯერებელი და სარწმუნო იყო. გარდა ამისა, როდესაც ქვეყანაში თითქმის არ არსებობდა სკოლა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ცხადია, რეფორმირებულ ეკლესიას რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაში სხვა, განსაკუთრებული, დატვირთვებიც ჰქონდა.

მთავრობამ სასულიერო წოდების შექმნით ახალი და საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი გაიჩინა [5, გვ. 277]. მან მიაღწია იმას, რომ ეკლესია რუსული იმპერიული შოვინისტური იდეოლოგიის სამსახურში ჩაიყენა და ცარიზმის საერო დაწესებულებანი რუსულ ყაიდაზე რეფორმირებულ ეკლესიასთან ერთად იღწვოდნენ ადგილობრივთა ეროვნული ენის, კულტურის ამოძირკვისა და სანაცვლოდ რუსულის დამკვიდრებისათვის [6]. რუსი მოხელეები ხარბად შეუდგნენ დაპყრობილი ქვეყნის ახლა უკვე ქართული ეკლესიის სულიერ და ნივთიერ ძარცვას. ეკლესიებიდან ეზიდებოდნენ განძეულს და ისტორიულ არქივებს, ქართულ მხატვრობას, კედლებიდან ფხეკდნენ უძველეს, მრავალსაუკუნოვან ფრესკებს და მათ კირით ათეთრებდნენ. ხე-

ლისუფლებამ მიზნად დაისახა ეკლესიიდან ქართული ენაც განედევნა. ქართული საეკლესიო გალობის რუსულით შეცვლა, ისევე, როგორც ღვთისმსახურების რუსულ ენაზე წარმართვა, საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა [8]. სასულიერო სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ცდილობდა ქართული ენა დაბადლ სასულიერო ფენებშიც ამოეძირკვა.

საქართველოში წირვა-ლოცვა რუსული იმპერიული სულისკვეთებით აღველინებოდა, რის გამოც ისედაც უძძიმეს ყოფით პირობებში ჩაყენებულ ქართველ ერს ეკლესიისთვისაც ზურგი ჰქონდა შექცეული [9]. რუსეთის მთავრობამ: „რაც საქართველოს მარტო საეკლესიო ხაზით დამართეს, ვერც ერთი მუსლიმანი მმართველი ვერ დაიკვებინა: ქართულ (ძაღლის) ენაზე წირვის აკრძალვა; თვით წმინდანთა საფლავების წაბილწვა; ერის დაწყველა...“ [10].

დამოუკიდებლობადაკარგული, უსახელმწიფოდ, საკუთარი ხელისუფლების გარეშე, სხვის სახელმწიფოში მოქცეული ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარებისა და ასიმილირების კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ქართველ ხალხს სწორედ ასეთ ვითარებაში ყველაზე მეტად სჭირდებოდა მისი ძველი, მანამდე ყოველთვის უღალატო, სულიერი წინამძღვარი, რომელიც მოასულიერებდა, ტკივილებს დაუყუჩებდა, მისი ეროვნული სახისა და მეობის გადარჩენაზე იზრუნებდა. ბედის ირონიით, ასეთ მძიმე ვითარებაში რუსულ ყაიდაზე რეფორმირებული ეკლესია ქართული ეროვნული ინტერესებიდან დისტანცირებული აღმოჩნდა. საკუთარი სახელმწიფოებრიობის არქონამ, ეკლესიის მსახურთა მოღვაწეობის შინაარსიდან ამოაგდო სახელმწიფოებრივი ინტერესების სფერო. ახალ ვითარებაში, დაკარგა რა ძველი ფუნქცია, მართლმადიდებლობა ვეღარ იქცა ერის შემკრებ, მათრგანიზებელ და გადამრჩენელ ძალად. ქართულმა ეკლესიამ მხარი ვერ აუბა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც (ეს ტვირთი მან მრავალ გარკვეულ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, ვეღარ ზიდა, არა მარტო მე-19 საუკუნეში, არამედ ვერც საბჭოთა პერიოდში).

რუსეთის ხელისუფლებამ მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების წყალობით შეძლო სასულიერო წოდება იმპერიის ინტერესების სამსახურში ჩაყენებინა. ეს გასაკვირი არც არის, რადგანაც მოტყუებული, უცხო, რუსული სახელმწიფოს კლანჭებში მოქცეული, უფლებებჩამორთმეული, ღირსებაშეღახული

მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურნი, ძლიერი, მიზანმიმართული პოლიტიკური ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენ.

დამპყრობელი რუსეთისათვის საქართველოს "ათვისებაში" ყველაზე წარმატებული ეს გრძელვადიანი პროექტი აღმოჩნდა. XIX საუკუნის I ნახევარში ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისგან (თავადები, აზნაურები, გლეხები) დამპყრობელი რუსეთი უსასტიკეს წინააღმდეგობას წააწყდა და საქართველო შეთქმულებებისა და აჯანყებების ცეცხლის აღში იყო გახვეული. ამ დროს რუსული ხელისუფების პოლიტიკას ერთგულად ემსახურებოდა რუსულ ყაიდაზე რეფორმირებული სასულიერო წოდება. ამის მაგალითი თვითონ ქართული ეკლესიის მეთაურმაც მისცა, დ. ფურცელაძე წერს: „მანიფესტის ეკლესიაში წაკითხვის შემდეგ ანტონ II კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა და დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე ყველა მცხოვრები მის ხელქვეით ეპარქიებისა, მცხეთისა, სამთავროისა და ალავერდისა და როდესაც... ზოგიერთმა ბატონიშვილებმა მოინდომეს საქართველოს ტახტის დაჭერა, კათალიკოსი მიუბრუნდა მათ დარიგების სიტყვით და ურჩევდა, მშვიდობიანათ ეცხოვრათ და მადლობა მოეხსენებინათ რუსის ხელმწიფოსათვის, რადგანაც ინება მან იმ სიკეთის ჩადენა, საქართველო მიიღო თავის მფარველობის ქვეშ“ [2, გვ. 1092]. სხვათა შორის, სულ ახლახან, წმინდა სინოდმა ანტონ II აღიარა წმინდანად და ეწოდა მრავალვინებელი ანტონ II [12].

საზო უნდა გაეხვას იმასაც, რომ იმ სიტუაციაშიც, სასულიერო წოდებაში იყო მრავალი ადამიანი, რომლებიც არ მიეყიდნენ ოკუპანტებს, მაგალითად, "1830-1844 წლებში ქართველ სამღვდელეობაში არის რაღაც წრე, რომელიც წიგნების გადაწერით უპირისპირდება რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ამით ქართულ საქმეს ემსახურება" [11, გვ. 37]. მაგრამ ხელისუფლებამ სპეციალურად შექმნილი სასულიერო წოდების სახით აამუშავა მთელი სისტემა და ცალკეული სასულიერო მოღვაწის პატრიოტული ქმედება სისტემის მიერ ადვილად ითრგუნებოდა. თორემ ცხადია, სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოში, საბედნიეროდ, ამ თვალსაზრისით არ იყო მხოლოდ სრული სიბნელე. იყო პიროვნული ნათელი გამოვლინებები და საქართველოს ისტორია არასდროს დაივიწყებს მათ წმინდა სახელებს (იმ პერიოდში, მარტო შუამთის მონასტრის მღვდელმონაზონის მამა ფილადელფოს კიკნაძის მოღვაწეობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა იკმარებდა სამაგალითოდ). სასულიერო ეროვნულ ბრძოლაში ერთგვარი გარდატეხა, მოგვიანებით, XIX საუკუნის

60-იანი წლებიდან იღებს სათავეს, როდესაც სასულიერო ანტი-რეჟიმულ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) [13].

დღეს, ქართულ ეკლესიაში რუსული კოლონიური პოლიტიკის ორასწლოვანი უმძიმესი, უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას ძალისხმევას არ აკლებს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II.

21-ე საუკუნეში, ინფორმაციის ეპოქაში ქართველთა იერსახისა და მეობის შენარჩუნებაში კვლავ შეუძლია შესრულოს გადამწყვეტი როლი “გაქართველებულმა“ ეკლესიამ. მოსალოდნელი გლობალური საფრთხეების ფონზე განუზომლად დიდი როლი ენიჭება სულიერებას, რწმენას. ეკლესიას, იგი კვლავ ქართველობის სინონიმად უნდა იქცეს, რათა ერის სულიერი და ზნეობრივი განვითარების პროცესებს სათავეში ჩაუდგეს და წინ წარუძღვოს.

ლიტერატურა

References:

1. vaCnaZe m., guruli v. saqarTvelo-ruseTis urTierToba. istoria, Sedegebi, gakeTilebi. Tb., 2001. (qarTul da rusul enebze) gv. 11.
2. jafariZe a. samociqulo eklesiis istoria. qarTuli eklesia XIX-XX saukuneSi. t. IV, Tavi VIII, http://www.gtu.ge/Faculties/teology/books/eklesiis_istoriaIV.pdf
3. gaz. `axali saqarTvelo~ № 7, 1999 wlis 18-24 Tebervali
4. Хорава Б. Абхазия в 1810-1820 годах. ix., Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии. Ред. Коллегия: Дж.Гамахария, Т.Берадзе, Т.Гванцеладзе, изд., «Интеллекти», Тбилиси, 2009, Глава XV, с. 386, 394.
5. saqarTvelos istoria. Semdgenel-redaqtori g. meliqiSvili. Tb. 1990. gv. 277.
6. surgulaZe a., surgulaZe p. saqarTvelos istoria. Tb., 1991, gv. 16.
7. henri kupraSvili. viRacas parlamentis dangreva da rusuli `samxedro didebis taZris~ aRdgena mounda. gaz. `rezonansi~. # 043. 2001 wlis 15 Tebervali.
8. guruli v. saqarTvelos samociqulo eklesiis avtokefaliis gauqmeba (1811-1814). <http://burusi.wordpress.com/2010/11/13/guruli/>
9. qarTvel wmidanTa cxovrebiani. Tb., 2004. <http://www.orthodoxy.ge/tveni/oqtomberi/26-aleqsandre.htm>
10. joxaZe a. sikvdili bizantiurad. gaz. `rezonansi~. # 021. 2001 wlis 24 ianvari.

11. berZeniSvili m. masalebi XIX saukunis pirveli naxebris qarTuli sazogadoebriobis istoriisaTvis. gamomc. "mecniereba", Tb., 1980.
12. wmida sinodis ganCineba. sxdomis oqmi (11.07.2011).
13. kupraSvili h. "didi rusianoba" saqarTveloSi (XIX s. I naxevari). gamomc. "universal", Tb., 2011. gv. 149. ISBN 978-9941-17-381-3.
14. h. kupraSvili. ruseTis koloniuri politika da qarTuli sazogadoebriv-politikuri azri saukunis pirvel naxevarSi.. teqnikuri universiteti. 2011w. ISBN 978-9941-14-978-8.

Genri Kuprashvili

Few aspects related to the creation of the clergy rank in Georgia

Summary

In the first third of the 19th century, the russian government created in Georgia a privileged social group – clergy rank, different from existing nobility. As a result it gained a strong supporter in the country. The russian government achieved to put the church at the service of russian imperial chauvinist ideology. Tsar's secular institutions worked together with the church (reformed in russian style) to eliminate local national language and culture and to substitute them with russian language and culture.

Keywords: Church, Ecclesiastical rank, Russia, Georgia.

Reviewer: Professor Sota Dogonadze, Georgian Technical University

Генри Купрашвили

Несколько аспектов создания духовного сословия в Грузии

Резюме

В первой трети 19-го века российское правительство в Грузии создало привилегированное духовное сословие. Духовенство начало получать зарплату из казны, соответственно, это сословие стало легко управляемым и целиком зависящим от власти. А после упразднения автокефалии Грузинской церкви в 1811 году, правительство целиком взяло её управление в свои руки. Этот проект оказался самым успешным в политическом освоении Грузии.

Ключевые слова: церковь, Грузия, Россия, духовное сословие.

Рецензент: Профессор Шота Догонадзе . Грузинский технический университет.

დავით პიპინაშვილი
ჩინეთ-თურქეთის ურთიერთობების ტენდენციები ახლო
აღმოსავლეთსა და კავკასიაში განვითარებული
პოლოღრიინდელი მოვლენების ზრილში

ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ძალიან ბევრი წინააღმდეგობა წარმოშვა საერთაშორისო არენაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ჩინეთისა და თურქეთის ეროვნულ ინტერესებთან. ჩინეთის მმართველ ელიტას მიაჩნია, რომ მსოფლიოს რომელიმე საკვანძო რეგიონში (ახლო აღმოსავლეთი და კავკასია კი სწორედ ასეთებად შეგვიძლია მივიჩნიოთ) სტატუს-ქვოს შეცვლა დაარღვევს მსოფლიოში არსებულ ისედაც მყიფე ძალთა ბალანსს, რამაც შესაძლოა არაპროვოზირებადი პროცესები გამოიწვიოს. მიუხედავად ამისა, ჩინური დიპლომატია არ გამოირჩევა ამ რეგიონებისადმი დიდი აქტიურობით და ხშირად დამკვირვებლის როლში იმყოფება. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთელ რიგ საკითხებში ოფიციალური პეკინი მოვლენათა ეპიცენტრისგან ერთგვარ დისტანცირებასაც ცდილობს და ფრთხილი პოლიტიკის ერთგული რჩება. გეოპოლიტიკურ ჭრილში, ჩინეთი ნაადრევად მიიჩნევს აღნიშნულ რეგიონში თავისი ამბიციების ღია დემონსტრირებას. ბევრად უფრო აქტიურია თურქეთი, რომელიც ცდილობს გაზარდოს თავისი პოლიტიკური წონა რეგიონში. თურქეთი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის გეოპოლიტიკაში და წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო რგოლს ევროპასა და აზიას შორის. ამასთან, თურქეთი მხოლოდ ნატო-ს წევრი და რეგიონში აშშ-ის მოკავშირე როდია. ის ამავედროულად თურქული სამყაროს ყველაზე ამბიციური წარმომადგენელი და რუსეთისა და ჩინეთის მეგობრული სახელმწიფოცაა. ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკაა. თურქეთიც თავის მხრივ სერიოზული რეგიონული ეკონომიკური აქტორია. ორივე სახელმწიფო ითვლება სწრაფად განვითარებადად. შესაბამისად, იზრდება მოლოდინი რომ მხარეები გააღრმავებენ თანამშრომლობას ეკონომიკურ ასპექტში. დღესდღეობით ჩინეთი თურქეთის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია აზიაში და მესამე პარტნიორია მსოფლიოს მასშტაბით. იმისათვის, რათა მოახდინოს სავაჭრო დისბალანსით

გამოწვეული დავალიანების კომპენსაცია, თურქეთი დიდი ოდენობის ჩინური ინვესტიციების მოზიდვას ცდილობს.

ჩინურ-თურქული ურთიერთობები შეიძლება შეფასდეს, როგორც არაერთგვაროვანი და მრავალდონიანი, რიგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივიც კი, რაც საფუძვლიან შესწავლასა და ღრმა ანალიზს საჭიროებს. რიგ საკითხებში ადგილი აქვს ინტერესთა თანხვედრას, რიგ საკითხებში კი, პირიქით. თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ურთიერთობების პოზიტიური დინამიკა აშკარად ჭარბობს. დღესდღეობით, თანამშრომლობა ჩინეთსა და თურქეთს შორის მოიცავს ისეთ სტრატეგიულ სფეროებს, როგორებიცაა: ენერჯეტიკა; ინფრასტრუქტურული მშენებლობა; ტრანსპორტი; ფინანსები და ა.შ. ძალაში შევიდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ორმხრივი ვაჭრობის დროს ანგარიშსწორება ჩინეთსა და თურქეთს შორის ხორციელდება არა აშშ დოლარებში, არამედ ამ ქვეყნების ეროვნულ ვალუტებში. ჩინეთი გახდა მესამე სახელმწიფო (რუსეთისა და ირანის შემდეგ), რომელთანაც თურქეთმა მსგავსი ტიპის შეთანხმება გააფორმა. განიხილება ჩინური კომპანიების მონაწილეობა ანკარასა და სტამბოლს შორის ჩქაროსნული რკინიგზის მშენებლობაში, ისევე როგორც ჩინეთის შესაძლო მონაწილეობის საკითხი თურქეთის ტერიტორიაზე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში. 2012 წელს ჩინეთსა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა დეკლარაციას ბირთვული ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ა.შ.

ჩინეთ-თურქეთის ურთიერთობების დაახლოებამ ინტენსიური სახე მიიღო 2010 წლიდან, როდესაც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩინეთ-თურქეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები გაიმართა. ეს იყო ისტორიაში პირველი ერთობლივი სამხედრო წვრთნა, სადაც ჩინეთმა ნატო-ს წევრ სახელმწიფოსთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ინტერესმოკლებული არც ის უნდა იყოს, რომ ჩინეთის სამხედრო თვითმფრინავების განლაგება მოხდა თურქეთის სტრატეგიულ ავიაბაზაზე, რომელიც წარმოადგენდა ნატო-ს რადიოსალოკაციო სისტემის შემადგენელ ნაწილს.[ჩინეთის მხრიდან სწავლებაში მონაწილეობდნენ სამხედრო თვითმფრინავები „სუ-27“ და „მიგ-29] მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩინეთის სამხედრო თვითმფრინავები თურქეთის ტერიტორიაზე ირანის საჰაერო სივრცის გავლით მოხვდნენ, ირანშივე მოხდა ამ თვითმფრინავების საწვავით მომარაგებაც.

ოფიციალური ვაშინგტონი მაშინ საგანგებო კრიტიკითაც გამოვიდა, თუმცა რაიმე სერიოზული გავლენა თურქეთისა და ჩინეთის გადაწყვეტილებაზე ამას არ მოუხდენია. თურქეთმა უბრალოდ „დაამშვიდა“ ვაშინგტონი, რომ ნატო-ს ყველა სამხედრო საიდუმლო დაცული იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთ-თურქეთის სამხედრო წვრთნები არ იყო მასშტაბური, მას მაინც ჰქონდა თავისი პოლიტიკური და სიმბოლური დატვირთვა. როგორც წესი, ქვეყნები რომლებიც ასე აქტიურად იწყებენ თანამშრომლობის განვითარებას სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ორმხრივი ფორმატით. ჩინეთ-თურქეთის ერთობლივი სამხედრო სწავლება, ისევე როგორც ჩინელი სამხედროების ჩასვლა პაკისტანსა და ირანში დასავლეთელი ექსპერტების ერთმა ნაწილმა შეაფასა, როგორც ოფიციალური პეკინის მცდელობა ჩამოაყალიბოს ერთგვარი გეოპოლიტიკური დერძი „ჩინეთი-პაკისტანი-ირანი-თურქეთი“. აღნიშნული ექსპერტული მოსაზრება ამ ეტაპზე ოდნავ გადაჭარბებული გვეჩვენება. თუმცა, ხელსაყრელი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის ფორმირების პირობებში, ეს შესაძლოა მართლაც იქცეს რეალურ პერსპექტივად იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ჩინეთის ურთიერთობები ამ ქვეყნებთან საგრძნობლად გაუმჯობესდა. 2011 წელს ჩინეთმა უკვე ჩაატარა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა პაკისტანთან, ირანის სამეზობლოში. ჩინეთი ასევე ზრდის თავის სამხედრო ყოფნას ინდოეთის ოკეანეშიც (სპარსეთის ყურის მახლობლად).

ჩინეთ-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობა და წვრთნები არ შეიძლება არ იწვევდეს ამერიკისა და ისრაელის უკმაყოფილებას, რაც კიდევ უფრო მძაფრდება პეკინისა და ანკარას თეირანთან მჭიდრო კავშირის გამო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ირანი ჩინეთის სარაკეტო ტექნოლოგიებს იყენებს. ამასთან ერთად, ჩინეთი და თურქეთი, წარმოადგენენ რა ირანის ენერგორესურსების უმსხვილეს იმპორტიორებს, არ ემხრობიან ვაშინგტონის პოლიტიკას თეირანის წინააღმდეგ მკაცრი საერთაშორისო სანქციების შემოღებასთან დაკავშირებით.

ორმხრივი ურთიერთობების გარდა, ჩინეთისა და თურქეთის პოზიციები ერთმანეთს დაუახლოვდა მრავალმხრივ ფორმატშიც. ამის სულ ბოლო დადასტურებას წარმოადგენდა შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის 2012 წლის პეკინის

სამიტი, სადაც თურქეთმა „დიალოგის პარტნიორის“ (Dialogue partner) სტატუსი მიიღო. ეს მოვლენა ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება შეფასდეს როგორც ძალზედ მნიშვნელოვანი ჩინურ-თურქული ურთიერთობების მრავალმხრივი ფორმატის კონტექსტში, რადგან თურქეთი ნატო-ს ერთადერთი წევრი სახელმწიფოა, რომელიც ოფიციალურად აფიქსირებს თავის სურვილს განავითაროს თანამშრომლობა შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და კონკრეტულ ნაბიჯებსაც ღვამს ამ ორგანიზაციაში ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების მიზნით. მას შემდეგ, რაც თურქეთმა შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის „დიალოგის პარტნიორის“ სტატუსი მიიღო, ჩინეთს უფრო აქტიურად შეუძლია გამოიყენოს თურქეთის სატრანზიტო პოტენციალი. არც ის არის გამორიცხული, რომ პროგნოზირებად მომავალში თურქეთმა გააკეთოს განაცხადი შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის დამკვირვებლის სტატუსის მიღებაზე. „დიალოგის პარტნიორის“ სტატუსი ნაკლებია დამკვირვებლის სტატუსზე. ეს სტატუსი ენიჭება ქვეყანას ან ორგანიზაციას, რომელიც იზიარებს შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს და სურს დაამყაროს მასთან თანასწორუფლებიანი პარტნიორობა. „დიალოგის პარტნიორებს“ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის მხოლოდ შერჩევით სხდომებში. „დიალოგის პარტნიორებს“ ასევე არ მიუწვდებათ ხელი ორგანიზაციის არასაჯარო დოკუმენტებზე, თუმცა უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიული ტიპის დოკუმენტების მომზადებაში.]

ჩინურ-თურქული ურთიერთობების გააქტიურების ტენდენციის მიუხედავად, პრობლემები მაინც არსებობს. ამ თვალსაზრისით მთავარ ნეგატიურ ფაქტორად ჩინეთის სინძიან-უიგურეთის ავტონომიური რაიონი რჩება, რასაც მეორენაირად აღმოსავლეთ თურქესტანსაც უწოდებენ და სადაც მოსახლეობის უმეტესობა თურქული წარმოშობის მუსლიმები არიან. სინძიან-უიგურეთში 2009 წლის ზაფხულში მომხდარი მასობრივი დემონსტრაციებისა და სისხლიანი მოვლენების შემდეგ, ურთიერთობები პეკინსა და ანკარას შორის ერთხანობა სერიოზულად გართულდა, რაც გამოწვეული იყო თურქეთის რეაქციით ჩინეთის მთავრობის მიერ ეთნიკური უიგურების წინააღმდეგ გამოყენებულ სადამსჯელო ზომებზე. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა ჩინეთის ამ

ქმედებებს უიგურელი ხალხის გენოციდიც კი უწოდა! ჩინეთში არც იმას გამორიცხავდნენ, რომ ქ. ურუმჩიში (სინძიან-უიგურეთის ავტონომიური რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი) დატრიალებული მოვლენების უკან ოფიციალური ანკარა იდგა. ურთიერთობები ჩინეთსა და თურქეთს შორის უკიდურესად დაიძაბა.

სიტუაცია იცვლება 2010 წლიდან, როდესაც თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ტრანსფორმაციის პროცესი დაიწყო. კერძოდ, თურქეთის მთავრობა შეეცადა, რომ უიგურების საკითხის განხილვა კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში გადაეყვანა და ჩინეთთან ურთიერთობების სერიოზულ გაუმჯობესებაზეც წავიდა. 2010 წლის ოქტომბერში ჩინეთს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავუდოღლუც სტუმრობდა. ვიზიტი სწორედ ურუმჩის მონახულებით დაიწყო, რაც წარმოადგენდა სიმბოლურ დემონსტრირებას იმისა, რომ ჩინურ-თურქულ ურთიერთობებში უიგურების პრობლემა აღარ არსებობს. დავუდოღლუ თურქეთის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრია, ვინც სინძიან-უიგურეთის რეგიონს ეწვია. პეკინის მხრიდან ქ. ურუმჩის მონახულებაზე თანხმობის მიცემა თურქეთისადმი ნდობის გამოხატვას ნიშნავდა. დავუდოღლუმ თავის მხრივ საზი გაუსვა ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასა და სეპარატიზმის ნებისმიერი ფორმის მიუღებლობას. ურუმჩიში ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის პრემიერი რეჯეპ ტაიპ ერდოღანიც 2012 წლის აპრილში. დღეს თურქი მაღალჩინოსნები უკვე ერთიდებიან უიგურების თემის საზოგადოებრივ ფორუმებზე განხილვას. ჩინეთის მთავრობაც თავის მხრივ ყველა შესაძლო დონეზე ცდილობს დაუმტკიცოს თურქეთის პოლიტიკურ წრეებს, რომ ჩინეთი პატივს სცემს უიგურელი ხალხის უფლებებს. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა ორივე მხარის მცდელობა, რომ უიგურეთის საკითხი იქცეს თანამშრომლობის ელემენტად და არა დაძაბულობის ფაქტორად ორმხრივ ურთიერთობებში. თუმცა, ჩინურ-თურქული ურთიერთობების გაუმჯობესების ამ ტენდენციის მიუხედავად, პრობლემები და კითხვის ნიშნები მაინც რჩება. თურქეთის საზოგადოება დღემდე ძალიან მტკივნეულად რეაგირებს ყველა იმ შეტყობინებაზე, რაც სინძიანში მცხოვრები უიგურების უფლებების დაცვას ეხება. საჭიროების შემთხვევაში, თურქულ-ისლამური სინთეზის დოქტრინაზე დაყრდნობით, თურქეთს ნებისმიერ დროს შეუძლია

ჩინეთში მცხოვრები უიგურების ეთნორელიგიური ნაციონალიზმის ტალღის აგორება და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება.

ურუმჩის მოვლენებმა და თურქეთთან ურთიერთობების გართულებამ გააღვინა იქონია ჩინეთის კავკასიურ პოლიტიკაზეც, რის ერთ-ერთ გამოვლინებადაც ჩინეთ-სომხეთის პოლიტიკური კონტაქტების გააქტიურება უნდა ჩაითვალოს. 2011 წლის თებერვალში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იან ძიენი ოფიციალური ვიზიტითაც იმყოფებოდა ერევანში, სადაც გვირგვინით შეამკო სომხეთა გენოციდის მემორიალი, რაც სომხური მედიის მიერ იმთავითვე ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც პეკინის მიერ სომხეთა გენოციდის აღიარების ფაქტი. თუკი დავეყრდნობით „ენშიაძინის“ პრეს-სამსახურის განცხადებას, ჩინეთის პირველმა დიპლომატმა დაგმო თურქების მიერ სომხეთა გენოციდი და მისი აღიარების აუცილებლობაზეც ისაუბრა. მნიშვნელოვანია, რომ ეს იყო ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში, მას შემდეგ რაც სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვეს. [აზერბაიჯანსა და საქართველოში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი არასდროს განხორციელებულა. სომხეთის რესპუბლიკა ერთადერთი გამონაკლისი გახდა ამ თვალსაზრისით.]

ამ თვალსაზრისით ვიზიტი უადრესად მნიშვნელოვნად და სიმპტომატურად გვეჩვენება. უფრო მეტიც, იან ძიენიმ სომხეთთან ურთიერთობას ჩინეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი უწოდა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი დეფინიცია ჩინეთს არასდროს გამოუყენებია საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ იან ძიენის ერევანში ვიზიტი სომხეთსა და ჩინეთს შორის არსებული ურთიერთობების განსაკუთრებულობაზე მეტყველებს. თუმცა, ვფიქრობთ უფრო მართებული იქნება თუ პეკინის აქტიურობა ერევნის მიმართ შეფასდება არა როგორც ჩინეთის მხრიდან სომხეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების საჯარო ხაზგასმა, არამედ როგორც ჩინური დიპლომატიის საკმაოდ პრაგმატული ნაბიჯი, რაც კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებზე იყო გათვლილი. გარკვეულწილად ეს იყო პეკინის მიერ გატარებული ერთგვარი პრევენციული ზომა. კერძოდ, ჩინეთმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ იმ შემთხვევაში თუ მომავალში თურქეთი კვლავ შეეცდება უიგურების ფაქტორის

ზომაზე მეტად აქცენტირებას, ზუსტად ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა შეეძლება ჩინეთსაც სომხეთის ფაქტორთან დაკავშირებით.

აზერბაიჯანის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში დღემდე დომინირებს აზრი, რომ აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც გააჩნია ძალზედ სწრაფად მზარდი ეკონომიკა და ყველასგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რაც განაპირობებს მის აბსოლუტურ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ უპირატესობას რეგიონის ორ სხვა სახელმწიფოსთან – სომხეთთან და საქართველოსთან მიმართებაში. ამ კონცეპტუალური თეზისიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის პოლიტიკურ ელიტას მიაჩნია, რომ სწორედ აზერბაიჯანი არის ის სახელმწიფო რომელსაც რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად შეუძლია ქონდეს პრეტენზია ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე. თუმცა, ჩინეთის კავკასიურ პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა, რაც ძირითადად პეკინსა და ერევანს შორის მაღალი დონის პოლიტიკური კონტაქტებით გამოიხატა, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ზემოაღნიშნული თეზისი და მთლიანად დაანგრია არსებული მითი აზერბაიჯანის აბსოლუტური გეოპოლიტიკური უპირატესობის შესახებ. ერთი რამ ცხადია. პეკინმა, მისთვის აქამდე უჩვეულო სტილში, უარი თქვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი თავის ტრადიციულ რეგიონულ მიდგომაზე. სახეზეა ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობების დივერსიფიკაცია რეგიონის სამ სახელმწიფოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. ეს უდაოდ ახალი ტენდენციაა ჩინეთის კავკასიურ პოლიტიკაში – რეგიონული მიდგომა იცვლება ინდივიდუალური მიდგომით.

ორმხრივი ურთიერთობების გარდა, არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო საკითხებისა, სადაც პეკინისა და ანკარას პოზიციები არ ემთხვევა ერთმანეთს. თურქეთის, როგორც ნატო-ს წევრისა და რეგიონში აშშ-ის მოკავშირის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ჩინეთისა და რუსეთის ინტერესებთან, ასევე ირანის ისლამური რესპუბლიკის ინტერესებთანაც. თურქეთს ჩინეთისგან განსხვავებული მიდგომა აქვს ე.წ. „არაბულ რევოლუციებთან“ დაკავშირებითაც. უფრო მეტიც, სირიის მთავრობა პირდაპირ ადანაშაულებს თურქეთს სირიელი მეამბოხეების მხარდაჭერაში. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ რაც ანკარა

შეიარაღებულ დაპირისპირებაში შევიდა დამასკოსთან. ამ ეტაპზე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თურქეთის ხელისუფლება ძირითადად გასცემს ბრძანებას საზღვრის იქით განლაგებული საცეცხლე წერტილების დაბომბვაზე. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თურქეთის მაქსიმიზმი მიზანი არის სირიის ტერიტორიაზე ბუფერული ზონის შექმნა და სირიის ოპოზიციისთვის დახმარების სწორედ ამ ზონაში გაწევა. რამდენად შეძლებს ამას თურქეთი, ჯერ უცნობია. თურქული დიპლომატიის მცდელობები ჩაერთო ამ საკითხში ნატო და გაერო, არ იძლევა სასურველ შედეგებს. რაც შეეხება ჩინეთს, ის პრინციპულად წინააღმდეგია ნებისმიერი სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევისა. სირიის საკითხში პეკინმა მხარი არ დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს. ჩინელი დიპლომატები საკმაოდ სიტყვაძუნწები იყვნენ ლიბიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების კომენტირების დროსაც. ყოველივე ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი რომ, ჩინეთი (რუსეთის მსგავსად) ძალიან შორს დგას დანარჩენი მსოფლიოსგან ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ასადის რეჟიმის მხარდაჭერით, პეკინი ცდილობს ლეგიტიმაცია შესძინოს საერთაშორისო ურთიერთობების იმ დოქტრინას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოთა მეთაურებს უფლება აქვთ ჩაახშონ შიდა წინააღმდეგობები ნებისმიერი მეთოდებით, ძალის უხეში გამოყენების ჩათვლით. მოსკოვმა არაერთხელ მიმართა ამ ხერხს, განსაკუთრებით ჩეჩნეთში. ჩინეთიც თავის მხრივ სასტიკად გაუსწორდა სტუდენტურ მოძრაობას ტიანანმენის მოედანზე. ამის საპირისპიროდ, ისეთი განვითარებადი დემოკრატია როგორც თურქეთია (სამხეთ აფრიკის, ინდოეთის, ინდონეზიისა და სხვა ქვეყნების მსგავსად) სულ უფრო აქტიურად გამოდის ადამიანის უფლებების დასაცავად და ამ თვალსაზრისით რუსეთისა და ჩინეთისგან დისტანცირებას ცდილობს. სახეზეა საერთაშორისო გლობალური და რეგიონული გეოპოლიტიკური ვითარების მნიშვნელოვანი ცვლილებები, რისი იგნორირებაც შეუძლებელია. ყოველივე ეს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის რეალურ ტრანსფორმაციას იწვევს, რაც, ვფიქრობთ, მომავალში აუცილებლად იქონიებს თავის გავლენას ჩინეთ-თურქეთის ორმხრივ ურთიერთობებზეც.

დასკვნა

ოფიციალურმა კონტაქტებმა, რასაც ბოლო სამი წლის მანძილზე ჰქონდა ადგილი საშუალება მისცეს თურქეთსა და ჩინეთს სერიოზულად წაეწიათ წინ ორმხრივი ინტერესების დაახლოების კუთხით. თურქეთისა და ჩინეთის დაახლოება, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოსა და „დიდი ოცეულის“ წევრები არიან, განპირობებულია რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური მოტივებით. ჩინეთთან ურთიერთობების გააქტიურება თურქეთის მრავალექტორული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. ჩინეთის ეკონომიკური სიძლიერე, მზარდი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა და ამბიციური მსოფლიოს ერთ-ერთ გლობალურ ლიდერობაზე სულ უფრო მიმზიდველი ხდება თურქეთის მმართველი ელიტისთვის, რომელიც ესწრაფვის ერთნაირად გააძლიეროს თავისი საერთაშორისო პოზიციები როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით. ჩინეთს თავის მხრივ იზიდავს თურქეთის ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობა და პირდაპირი გასასვლელი სხვა მომიჯნავე რეგიონებზე. პეკინი ასევე იძულებულია ანგარიში გაუწიოს თურქეთის როლს ისლამურ და თურქულ სამყაროში.

სტრატეგიული პარტნიორობა, რისი საჯარო დეკლარირებაც არაერთხელ მომხდარა ჩინეთისა და თურქეთის ხელმძღვანელი პირების მიერ, თავისი ფორმითა და შინაარსით განსხვავდება იმ სტრატეგიული თანამშრომლობისგან, რაც თურქეთს აკავშირებს ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან. მზარდი ამბიციებიდან გამომდინარე ჩინეთი და თურქეთი გეგმავენ ტრანსრეგიონულ და გლობალურ თანამშრომლობას. ბუნებრივია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩინეთისა და თურქეთის ინტერესები ყველაფერში ემთხვევა ერთმანეთს და გამორიცხავს კონკურენციას. მაგრამ, ჩინეთისა და თურქეთის სტრატეგიული დაახლოება დაეხმარება ამ ორ ქვეყანას გლობალური ამბიციების რეალიზაციაში. პეკინმა პრაქტიკულად უკვე მოაგვარა „უიგურულ ტერორიზმთან“ დაკავშირებული პრობლემა. ორმხრივი სავაჭრო დისბალანსის გამოსწორება და სინძიან-უიგურეთში სიტუაციის შექმდგომი ნორმალიზება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ამ პროცესს.

ჩინეთისთვის თურქეთი ასევე საინტერესოა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვარი ალტერნატივა და ძალის ახალი ცენტრი ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. ახლო აღმოსავლეთის მიმართ ჩინეთს ყოველთვის ჰქონდა ინტერესი, პირველ რიგში ეკონომიკური (ენერგორესურსების სოლიდური მარაგების გამო). ნებისმიერი სერიოზული მოვლენა რაც ახლო აღმოსავლეთში მოხდება იქონიებს თავის გავლენას როგორც რეგიონალ დონეზე, ისე გლობალური მასშტაბითაც. ამან შესაძლოა შეცვალოს გეოპოლიტიკური ძალთა ბალანსი ევრაზიის კონტინენტზე. აქედან გამომდინარე, პეკინი და ანკარა ობიექტურად ვერ დარჩებიან გულგრილნი იმ პროცესების მიმართ, რაც დღეს ამ რეგიონში ხდება. ამავე რეგიონში არის ირანიც, რომლის დასუსტება და დამოკიდებულ სახელმწიფოდ ქცევა შედის არამარტო ამერიკის, არამედ რუსეთის, ჩინეთისა და თურქეთის ინტერესებშიც. ვინც შეძლებს ამ გეოპოლიტიკური მიზნის მიღწევას, ის შექმნის პლაცდარმს რეგიონში და გააკონტროლებს სტრატეგიულ გზაჯვარედინს, სადაც ერთმანეთს უერთდება კომუნიკაციები ევროპიდან, აზიიდან და აფრიკიდან. დღესდღეობით არც ერთ ქვეყანას ეს პლაცდარმი არ გააჩნია. ამ თვალსაზრისით, ჩინეთიც და თურქეთიც ერთმანეთის კონკურენტები არიან.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონს, ვფიქრობთ, რომ, თურქეთისგან განსხვავებით, ჩინეთის გრძელვადიან გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე საუბარი ამ ეტაპზე გადაჭარბებული იქნება. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩინეთის კავკასიურ პოლიტიკაში გამოიკვეთა ერევანთან დაახლოების ტენდენცია. პეკინის მიერ ერევანთან ურთიერთობის განსაკუთრებულობის საზგასმა ასევე არის გზავნილი მოსკოვისადმი, რომ ჩინეთი აღიარებს რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში. სომხეთი თურქეთის ისტორიული მოწინააღმდეგე და, ფაქტიურად, მტრული სახელმწიფოა. აზერბაიჯიანი კი, პირიქით, თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი გახლავთ. თბილისი ვაშინგტონის მოკავშირედ აღიქმება. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ერევანთან ჩინეთის პოლიტიკური კავშირების გააქტიურების ერთ-ერთი მოტივი რეგიონში თურქეთისა და ამერიკის პოზიციების დაბალანსებაა. პეკინის მხრიდან სომხეთის გაძლიერების

მცდელობა ობიექტურად ამცირებს თურქეთისა და დასავლეთის (ძირითადად აშშ-ის) მხარდ გავლენას რეგიონში.

2012 და 2013 წლები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პერიოდს ჩინეთისა და თურქეთისთვის. განსაკუთრებით ეს ეხება ჩინეთს იმ თვალსაზრისით, რომ ხდება ცვლილებები ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობაში. მანამ სანამ ეს ცვლილებები საბოლოოდ არ დასრულდება, ჩინეთის მთავარი საგარეო პოლიტიკური ორიენტირი საგარეო რისკების მინიმიზაცია იქნება. პეკინი შეინარჩუნებს თავის თავშეკავებულ მიდგომას ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში არსებული „ცხელი წერტილების“ მიმართ. რაც შეეხება თურქეთს, ის კვლავ აქტიური პოლიტიკის ერთგული დარჩება და მაქსიმალურად შეეცდება რეგიონული ლიდერის სტატუსის დამკვიდრებას. ერთი რამ უდაოა, სწრაფად ცვალებადი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, პეკინს და ანკარას აუცილებლად მოუწევთ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

ლიტერატურა

References:

1. Alakbar Raufoglu, Turkey, Russia at odds over Middle East, Caucasus, Foreign Policy Journal, June 3, 2012, p 9.
2. Brzezinski Z, The Grand Chessboard, American Primacy and its Geostrategic Imperatives, N.Y., 1997.
3. Cornell, Svante, Regional Security in the South Caucasus and Central Asia, Caucasus Institute, Johns Hopkins University, 2004, pp. 4-33.
4. Gao Zugui, Impact of the Changing Situation in the Middle East to the U.S. Strategy, China International Studies, № 28, May/June, 2011 (3), pp. 7-8.
5. Li Shaoxian, Wei Liang, New Complexities in the Middle East since 9.11, Contemporary International Relations, Vol. 20, Special Issue, September 2010, pp. 30-31.
6. Lin Limin, World Geopolitics and China's Choices, Contemporary International Relations, Vol. 20, № 3, May/June, 2010, pp. 16-17.
7. Liu Xuecheng, China's New Concept of Security and its Historical Contribution to World Peace, China International Studies, № 21, March/April, 2010 (2), p 46.

8. Nas, Cigdem, Turkey's International Role as a Democratic Model in the Middle East, Turkish Review of Middle East Studies, Annual 2005, № 16. pp. 245-249.
9. Zhen Bingxi, Protecting China's Overseas National Interests in Changing International Circumstances, China International Studies, № 21, March/April, 2010 (2), pp. 90-91.

David Pipinashvili

Tendencies of Sino-Turkish Relations in the Light of the Recent Developments in the Middle East and Caucasus

Summary

Relations between the People's Republic of China and the Republic of Turkey witnessed a strong momentum of growth in 2010. The two sides had enjoyed deeper political mutual trust during the last three years. Turkey's relations with China have traditionally been characterized by cooperation and competition, as both sides navigate a complex regional and international environment with overlapping economic and political interests. Meanwhile, the two countries are major trading partners. The dimensions of Turkish-Chinese relations are no longer bilateral, but have a global characteristic.

There is still a probability of having problems in the bilateral relations with Xinjiang in the political context. Uighur people (Turkic-Muslim ethnic group) live in the Xinjiang-Uyghur Autonomous Region of China. Turkey has cultural and linguistic ties to this region. Relations between Turkey and China were locked due to strong public reactions in Turkey against the Urumqi events on July, 2009. However, the normalization process between two countries was restarted through economic relations, and relations were restored in six months particularly due to the mutual visits at the ministerial level. Hence, the conducting of a military drill in September 2010 proved that Turkey-China relations are developing quickly.

Turkey and China compete and, at the same time, work together in the Middle East and Caucasus, as well as in the whole Eurasia region. Turkey has played a more active role in the Middle East and Caucasus. Turkey's geostrategic location as a land bridge to the Middle East from Europe and Asia, along with its Islamic and secular identity, enables it to play a pivotal role in the region. Turkey's active involvement in the region reflects its desire to become an important regional player as Ankara is making efforts to improve bilateral ties with regional countries as well as with China. China's interests in the Middle East are mainly manifested in the fields of

energy, economy and trade. Chinese Government has been actively supporting and promoting the development of the peace process in the Middle East. At the same time, the reality is that while maintaining interests in the Middle East, China doesn't express a similar high interest towards the South Caucasus.

Consequently, Turkey and China have had the opportunity to become closely acquainted with each other in recent years. If both countries can develop a suitable policy to overcome the existing problems in a positive manner, it can be possible for Turkish-Chinese relations to achieve the level of strategic partnership.

Keywords: Sino-Turkish Relations, Middle East, Caucasus

Reviewer: Professor Shota Dagonadze, Georgian Technical University

დავით პიპინაშვილი

Тенденции китайско-турецких отношений в свете последних событий в регионе Ближнего Востока и Кавказа

Резюме

Китайско-турецкие отношения получили существенный импульс развития в 2010 году. Обе стороны испытывают глубокое взаимодоверие друг к другу. Обычно китайско-турецким отношениям свойственно как сотрудничество, так и конкуренция с точки зрения отстаивания своих экономических и политических интересов. Китай является одним из главных торговых партнеров Турции. Степень сотрудничества между Китаем и Турцией давно вышел за рамки двустороннего формата и получил глобальный характер. Однако, в политическом контексте, вероятность возникновения проблем в отношениях все-таки существует. В высокой степени это касается и Синцзян-Уйгурского автономного района Китая, где большинство населения составляют уйгуры. Уйгуры – эта этническая группа тюркского происхождения. Отношения между Турцией и Китаем были заблокированы в июле 2009 года, когда в Синцзян-Уйгурском автономном районе произошли серьезные межэтнические столкновения между уйгурами и лицами коренной национальности Китая. Тем не менее, благодаря совместным усилиям двух стран, в течение шести месяцев сторонам удалось нормализовать отношения и

создать позитивную тенденцию к стабильному развитию двустороннего сотрудничества. Две страны учащали обменные визиты на высоком уровне. Вместе с тем, в 2010 году Турция и Китай провели совместные военно-воздушные учения, что также стало еще одним доказательством быстрого развития китайско-турецких отношений.

Постепенно возрастает роль Турции, которая традиционно претендует на статус регионального лидера и имеет интересы по распространению собственного политического влияния в регионе Ближнего Востока и Кавказа. В отличии от Турции, Китай по возможности не вмешиваться во внутренние разборки стран Ближнего Востока, хотя становится все более очевидным растущий экономический интерес Китая к указанному региону.

За последние три года китайско-турецкие отношения претерпели значительные изменения. Стороны неоднократно доказали свою решимость углублять сотрудничество, несмотря на политические разногласия по некоторым региональным проблемам Ближнего Востока и Кавказа. Если Китай и Турция и впредь будут продолжать взаимовыгодное и неизменное сотрудничество, то в обозримом будущем эти отношения могут достигнуть уровня стратегического партнерства.

Ключевые слова: китайско-турецкие отношения, Ближний Восток, Кавказ

Рецензент: Профессор Шота Догонадзе . Грузинский технический университет.

Ольга Карнаух
**К проблеме организации регионального управления в
Российской империи: историко-правовой аспект**

Отличительной особенностью Российской империи была ее полиэтничность, сочетающаяся с разнообразием исторических областей. В процессе завоевания и мирного присоединения соседних регионов в ее состав вошли многие народы Центральной и Средней Азии, а также Кавказа.

По мнению Е.А. Правилковой, управлять Российской империей, населенной многочисленными народами на территориях, приобретенных государством в разные времена, на основе единой системы организации местного управления, суда, земельных и социальных отношений было невозможно. Правительство применяло различные модели построения структуры администрации и самоуправления в центральных и окраинных губерниях, в Сибири и на Кавказе, в Польше и Финляндии, исходя из политической целесообразности и эффективности государственного управления. «Централизация не сопровождалась ни единообразием, ни упрощением: административный аппарат монархии основывался на местных обычаях и институтах, смешивая и объединяя, но не уничтожая их» [1].

27 декабря 1844 года на территориях Кавказа, вошедших в состав Российской империи, было образовано Кавказское наместничество с центром в Тифлисе [2].

Наместник его императорского величества получил огромную военную и гражданскую власть. Его права и обязанности были регламентированы в высочайше утвержденных 6 января 1846 года особых правилах об отношениях Кавказского наместника [3].

«Все вообще находящиеся в Кавказском и Закавказском крае правительственные места и лица...подчинены Наместнику Кавказскому (п.13 глава I «О Наместнике Кавказском»)» [4].

Учреждение Кавказского наместничества повлекло за собой изменение в порядке высшего управления краем со стороны правительственной власти. Комитет по делам Закавказского края с 3 февраля 1845 года получил название Кавказского, его функции были значительно расширены, так как он рассматривал все дела по Закавказскому краю и Кавказской области, разрешение которых превышало власть наместника [5].

Кавказский комитет являлся государственным учреждением Российской империи XIX века и «стоит в ряду особых комитетов при

верховой власти, которые занимались разработкой и введением общих законов на окраинах России» [6].

В 1882 году Указом царя от 29 января должность наместника Кавказского была упразднена. Российские власти сочли, что «Кавказ не может окупить роскошь наместничества в Тифлисе и особого министерства в Санкт-Петербурге» [7].

Упразднение наместничества вовлекло Кавказ в орбиту общероссийской политики и имперского законодательства, хотя впоследствии его ликвидация была признана нецелесообразной и поспешным шагом.

Граф И.И. Воронцов-Дашков писал, что «опыт централизации управления Кавказом из Санкт-Петербурга, с учреждением на месте должности главноначальствующего гражданской частью с расширенной властью обычного генерал-губернатора...дал довольно печальные результаты. Кавказ, вместо того, чтобы идти по пути развития за центром империи, отстал от него, и вина в этом лежит не на местной кавказской власти, а в большей степени на центральных учреждениях» [8].

Кавказское наместничество было восстановлено указом от 6 февраля 1905 года [9], как было сказано «во всей полноте его власти».

Возрождение наместничества произошло под воздействием первой русской революции, так как масштабы революционного движения на Кавказе грозили дестабилизацией и вновь поставили перед правительством вопрос о характере местной управленческой модели. «Жизнь показала недееспособность концепции форсированной централизации власти путем упразднения наместничества, ограничения прерогатив Кавказской администрации, ее подчиненность центральным правительственным органам» [10].

При назначении главы Кавказской администрации – наместника, выбор пал на графа И.И. Воронцова-Дашкова, имевшего опыт службы на Кавказе. Он называл Кавказ – «величиной особого рода», именно в сохранении Кавказского наместничества как формы правления, видел «залог прочнейшего объединения Кавказа с остальной империей» [11].

Составленная им программа реформ на Кавказе была представлена императору в виде Всеподданнейшей записки по управлению Кавказским краем.

«Я не допускаю возможности управления Кавказом из центра на основании общих формул, без напряженного внимания к нуждам и потребностям местного населения, разнообразного по вероисповеданиям, религиозным воззрениям и преданиям, по

племенному составу и по политическому прошлому», писал И. И. Воронцов-Дашков [12].

Таким образом, история формирования системы управления на Кавказе показывает беспрестанный поиск наиболее эффективной модели. Управление различными частями Российской империи носило дифференцированный характер, и его особенности зависели от множества факторов.

Примечания:

1. Правилова Е.А. Местное и центральное управление в России: проблема правового регулирования отношений [http://files.history.spbu.ru/книги/работы%20совр.%20историков%20J-J. Dayries, M. Dayries. Lare/gionalisation](http://files.history.spbu.ru/книги/работы%20совр.%20историков%20J-J.%20Dayries,%20M.%20Dayries.%20Lare/gionalisation). Paris. 1986. P.5.
2. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем графа Воронцова-Дашкова. СПб., 1907. С.155.
3. 3-е Полное Собрание Законов. Т.25. №25891. 26.02.1905.
4. Национальные окраины Российской империи: становление и развитие системы управления. М., 1997. С.284; Karnaukh O.D. Public authorities and governmental supervision in the early XX century: historic-legal aspect // European researcher. 2011. № 1 (3). P. 14–16.
5. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем графа Воронцова-Дашкова. СПб., 1907. С.157.
6. 2ПЗС. Т. 21. №19590. 06.01.1846.
7. Учреждение Управление Кавказского и Закавказского края. Издание 1869 г. Глава I.
8. 2ПЗС. Т. XX. Отд.1 №18702; Высшие и центральные государственные учреждения России. 1801-1917гг. Т.1. Высшие государственные учреждения С. 74.
9. Малахова Г.Н. Становление и развитие российского государственного управления на Северном Кавказе в конце XVIII – XIX веках. Р-на-Д, 2001. С. 194-195.
10. Евреинов Г. Национальные вопросы на иногородних окраинах России. СПб., 1908. С.124.
11. 2 ПЗС. Т. 19. №18679. 27.12.1844
12. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем графа Воронцова-Дашкова. СПб., 1907. С.157; Закарая Э.И., Черкасов А.А. Народное просвещение на Кавказе в период наместничества графа И.И. Воронцова-Дашкова (1905–1915 гг.) // История и историки в контексте времени. 2010. № 7. С. 36–43.

ოლგა კარნაუხი,
რუსეთის იმპერიაში რეგიონალური მართვის ორგანიზაციის
პრობლემისათვის: ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში დახასიათებული არის კავკასიის სამეფოსნაცვლო, როგორც მმართველობის ერთერთი ფორმა რუსეთის იმპერიაში.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, რეგიონალური მართვა, კავკასია

რეცენზენტი: პროფესორი ოთარ ბაღატურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Olga Karnaykh

The problem of the organization of the regional government in the Russian Empire: Historical and Legal Aspect

Summary

In article the characteristic Caucasian namestnichestvo as is given one of the forms of government in the Russian empire.

Keywords: Russia, regional government, Caucasia

Reviewer: Professor Otar Bagaturia, Georgian Technical University

ე კ ო ნ ო მ ი კ ა

ბენადი იაფვილი, თინათინ იაფვილი, თამარ თვალჭრაღლიძე მომსახურების ახალი რეჟიმის განმსაზღვრელი ფაქტორები

გაზრდილი ყურადღება, რომელიც ეთმობა დღეს მომსახურების სფეროს, განპირობებულია ერთიან ეროვნულ პროდუქტში მომსახურების წილის ზრდით, რაც განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად ადემატება მატერიალური წარმოების ზრდას. მეორეს მხრივ, მომსახურების თავისებურებების, მათი წარმოებისა და მართვის სამეცნიერო-პრაქტიკული გააზრება ჯერ კიდევ არ არის თავსებადი (შეუსაბამო) დასახელებული პრობლემატიკის დამუშავების ხარისხთან მატერიალურ პროდუქტებთან მიმართებაში. ამას გარდა, დიდი ხნის განმავლობაში ცოდნის დაგროვება და მისი გავრცელება სპეციალისტების მომზადების სისტემაში მიმდინარეობდა (და მიმდინარეობს) მომსახურების წარმოების დარგობრივი სისტემების ჩარჩოებში. ეს ეწინააღმდეგება მომსახურების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის თეორიისა და მმართველობითი პრაქტიკის ობიექტის ფენომენს, რომლებსაც აქვთ განვითარების საერთო მახასიათებლები და კანონზომიერებები (და, აქედან გამომდინარე, მართვის მიმართ საერთო მიდგომები).[1]

მართვის ობიექტის – მომსახურების – თავისებურებები საკმაოდ სრულად არიან წარმოდგენილი და დასაბუთებულნი თეორიაში. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკულ საქმიანობაში დღევანდლამდე ძირითადად მუშავდება და ვითარდება მომსახურების დანერგვისა და რეალიზაციის კონტექსტში მონაცემთა თავისებურებების აღრიცხვის რეკომენდაციების გამოყენება და არა მისი (მომსახურების) წარმოება. ამ პირობებში მომსახურების სფეროში მენეჯმენტის სპეციფიკა ფაქტიურად ნიშნავს მატერიალური საქონლის მარკეტინგის თეორიისა და პრაქტიკის ადაპტაციას მართვის განსაკუთრებული ობიექტის (მომსახურების) მოთხოვნების მიმართ.[2] ამრიგად, მომსახურების მწარმოებელი ორგანიზაციებისათვის მენეჯმენტის თავისებურებების შესწავლამ ვერ ჰპოვა სისტემატიზირებული დამუშავება დღესდღეისობით.

როგორც ჩანს, მომსახურების სფეროში მენეჯმენტის თავისებურებები მიზანშეწონილია ჩამოვყალიბოთ ისე, რომ მიესდით მენეჯმენტის, როგორც სამეურნეო მოღვაწეობის უზრუნველყოფის კომპლექსური პროცესის სრულიად ტრადიციული გაგების ლოგიკას, რაც შეიცავს წარმოების მართვის პრინციპების, ფორმების, მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, წარმოების ფაქტორების (რესურსების) გარდასაქმნელად პროდუქციაში (ჩვენს შემთხვევაში, მომსახურებად), კერძოდ კი მენეჯმენტის სისტემის სამი საბაზისო ელემენტის: მიზნების, რესურსებისა და მომსახურების სფეროში ინსტრუმენტების სისტემური მახასიათებლების საშუალებით (გზით).[3] მომსახურების სფეროში ყველა დასახელებულ კომპონენტს გააჩნია განმასხვავებელი თვისებები, რომლებიც განპირობებული არიან მომსახურების, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობისა და საქონლის სპეციფიკით, მატერიალურ წარმოებასთან შედარებით. მაგრამ საქმე იმითაც რთულდება, რომ მომსახურების სფეროში “შინაგანი” განსხვავებებიც საკმაოდ მნიშვნელოვანნი არიან: ეს ეხება როგორც მომსახურების წარმოების მიზნობრივ შემადგენელს, ასევე მომსახურების კლასიკური ნიშნების გამოვლინების “ძალასა” და “სიწმინდეს” და ამით განპირობებული წარმოების რესურსული კომპონენტების მიმართ მოთხოვნების დიფერენციაციას. [4]

მომსახურების სფეროში მოქმედებს უამრავი ფაქტორი, რომლებიც იწვევენ მომსახურების სახეობების მრავალფეროვნებას, რაც თავისი მხრიდან არსებითად განაპირობებს მენეჯმენტის ინსტრუმენტებისა და რესურსული ბაზის ფორმირების განსხვავებულ სტრატეგიებს. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მომსახურების წარმოების მიზნობრივი მიმართულებები, რომლებიც განაპირობებენ მენეჯმენტის თვალთახედვით მომსახურების წარმოების პრინციპულ დაყოფას კომერციულ და არაკომერციულ სექტორებად; საქმიანი და სოციალური მომსახურების სხვადასხვა სფეროებზე ორიენტაცია; მომსახურების მწარმოებლისა და მომხმარებლის პირადი კონტაქტის ხარისხი; მომხმარებელსა ან მის ქონებაზე ზემოქმედების ხასიათი; მომსახურების მექანიზაციისა და სტანდარტიზაციის ხარისხი; მიწოდების ფორმები და

მომსახურების სტრატეგიები. ეს და სხვა, აქ არ დასახელებული ფაქტორები არსებითად ზემოქმედებენ (პირდაპირ და არაპირდაპირ) მოგებაზე, საჭირო ინვესტიციების მოცულობაზე, მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფის რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზე, ტერიტორიალური განთავსების მოთხოვნებზე, განაწილების არხების არჩევანზე და ასე შემდეგ. ამრიგად, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მომსახურების საკლასიფიკაციო ანალიზსა და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში რეკომენდაციების დასაბუთებას მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დროს, როდესაც გასათვალისწინებელია გარკვეული სახეობის მომსახურების სპეციფიკა.


ცვლილებები წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურაში, რომლებიც აქცევენ მომსახურებას ეკონომიკის მნიშვნელოვან ელემენტად, განისაზღვრებიან მთელი რიგი ფაქტორებით (ნახ. 1.):

- ეკონომიკური ზრდის ჰუმანიზაციის პროცესს თან სდევს მომსახურების კომპლექსის გაფართოვება, რაც მიმართულია თვითონ ადამიანის, მისი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების სრულყოფაზე, მისი კულტურული, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე;

- მთელი რიგი მომსახურების განვითარებისათვის ძლიერ სტიმულად იქცა მატერიალური წარმოების სტრუქტურულ-ტექნოლოგიური გარდაქმნა 1980-იან წლებში. მისი მსვლელობისას საგრძნობლად გაიზარდა მაღალხარისხოვანი საქმიანი მომსახურების მოთხოვნილება იმ სამრეწველო კომპანიებში, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ მათი რესტრუქტურისა და განვითარების მრავალფეროვან და რთულ პრობლემებთან – ტექნიკურთან, გასაღებისა, მმართველობითისა და ასე შემდეგ;

- სერიოზულ გავლენას მომსახურების სფეროზე ახდენენ სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებები. მოხუცებული ხალხის, მომუშავე ქალების წილის ზრდა წარმოადგენს ძლიერ ბიძგს ახალი, სოციალურად ორიენტირებული მომსახურების მთელი კომპლექსის ფორმირებისათვის.

ნახაზი 1.
მომსახურების როლის ზრდის საფუძვლები
თანამედროვე საზოგადოებაში



• მომსახურების სფეროს როლის მკვეთრი ზრდა მეურნეობის საერთო სტრუქტურაში მოასწავებს გადასვლას საზოგადოების ინდუსტრიული სტადიიდან შემდეგ – პოსტინდუსტრიალურ სტადიაზე. დ. ბელლის მიხედვით, “პოსტინდუსტრიული საზოგადოება დაფუძნებულია მომსახურებაზე ..” [4]. სქემატურად ეკონომიკაში მომსახურების ადგილის ცვლილება ნაჩვენებია 2-ნახაზზე .

რუსეთში 1990-იანი წლებში დაწყებული მომსახურების სფეროს განვითარება განპირობებული იყო სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მოქმედებით და მიდიოდა მთელი რიგი ძირითადი მიმართულებებით, [5] მათ შორის:


- მრავალი ახალი სახის მომსახურების გამოჩენა;
- მომსახურების სფეროს მიმართ ინტერესის ზრდა ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი მეწარმეთა მხრიდან, რაც განპირობებული იყო მომსახურების სფეროს საინვესტიციო მომხიბვლელობით;
- მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების წილის ზრდა სოციალური მომსახურების სფეროს მთელი რიგი

დარგების საბიუჯეტო ფინანსირების დონის შემცირების პირობებში;

- მომსახურების სფეროს ორგანიზაციებს შორის კონკურენციის გაძლიერება.

- ამასთანავე, როგორც ზემოთ იყო ნახევნები, მთელი რიგი ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც ახასიათებენ მომსახურების სფეროს განვითარების დონეს, რუსეთი სერიოზულად ჩამორჩება წამყვან საზღვარეთის ქვეყნებს. ასეთი სიტუაცია მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს რუსეთში მომსახურების სფეროს, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სექტორის, არაჯერონად შეფასების შედეგს. მაგრამ ეკონომიკური განვითარების ლოგიკას განუხრებლად მივყავართ მომსახურების სფეროს ექსპანსიისაკენ, მათ შორის სამრეწველო წარმოებისა და პირადი მოხმარების სფეროებში.

2009 წელს მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის 63.4% მომსახურების სექტორში შეიქმნა, მაშინ როცა მრეწველობაში – 30.6%, ხოლო სოფლის მეურნეობაში 6%. ევროკავშირში მომსახურების სექტორის წილი 73%-მდეა, აშშ-ში – 77%, იაპონიაში – 76%, კანადაში კი – 71%. [6]



ნახ. 2. დასაქმებულობის სტრუქტურის ცვლილება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიხედვით

რაც უფრო მაღალშემოსავლიანი და განვითარებული ხდება ქვეყანა, მის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის და მრეწველობის წილი მცირდება, ხოლო მომსახურების მნიშვნელოვნად იზრდება. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მრეწველობის წილი 20-დან 30 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო სოფლის მეურნეობის – 1-დან 5 პროცენტამდე. სურათია ღარიბ ქვეყნებში. მაგალითად, ლიბერიაში სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში არის 77%, სომალიში – 65% და ა.შ. მრეწველობის ხვედრითი წილი შედარებით მაღალია ბუნებრივი რესურსებით მდიდარ განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, ლიბიაში – 83%, ეგვიპტეში – 78%, აზერბაიჯანში 63%. დასაქმებულთა განაწილებაც შესაბამისია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სამუშაო ძალის 3-5 %, ხოლო მომსახურების სფეროში 60-80%. ხოლო დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა სჭარბობს. საინტერესო მდგომარეობაა საქართველოში. საქსტატის ინფორმაციით, ეკონომიკის 75% მოდის მომსახურების სექტორზე, 15% მრეწველობაზე და 10% სოფლის მეურნეობაზე. ხოლო დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, 40% მოდის მომსახურების სექტორზე, 7% მრეწველობაზე და 53% სოფლის მეურნეობაზე. ეს ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის პროდუქტიულობა ძალიან დაბალია. ამით არის განპირობებული საქართველოს სოფლებში არსებული სიღარიბის დონე.[7]

სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მოთხოვნას აქვს ბუნებრივი ლიმიტი. ადამიანის შემოსავალი აღწევს გარკვეულ დონეს, რომლის მომატების შემდეგ, მისი ხარჯი კვების პროდუქტზე აღარ იზრდება. ანუ იმის გამო, რომ ადამიანი კიდევ უფრო გამდიდრდა, ის კვებას ვერ უმატებს.

რაც შეეხება სამრეწველო პროდუქციას – მისი შექმნა მეტად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი შემოსავალი აქვს ადამიანს. მდიდარი ადამიანი მეტი სამრეწველო პროდუქციის შექმნას იწყებს. კიდევ უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ კეთილდღეობასთან მომსახურების სექტორი. მაღალშემოსავლიანი ქვეყნების მოსახლეობა თავიანთი შემოსავლის უდიდეს ნაწილს სწორედ მომსახურების შექმნაში ხარჯავს. მაგალითად, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, გართობაზე, ტურიზმზე და ა.შ. ტექნოლოგიური

პროგრესი უფრო იოლად ანაცვლებს ადამიანის შრომას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, ვიდრე მომსახურების სფეროში. ამიტომ, ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა მომსახურების სექტორში, ხოლო სხვა სექტორების პროცენტული წილი მთლიან დასაქმებაში მცირდება. მომსახურების სექტორი აწარმოებს ისეთ მაღალმთხოვნად პროდუქტს, როგორცაა ჯანმრთელობა, განათლება, მენჯემენტი, თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიზნეს-მომსახურება. მომსახურების წარმოება სულ უფრო ნაკლებ ბუნებრივ კაპიტალს და მეტ ჰუმანურ კაპიტალს მოითხოვს, ვიდრე სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სექტორები. შედეგად, მოთხოვნა იზრდება კარგი განათლების მქონე ადამიანებზე, რაც ზრდის ინვესტიციების მიმზიდველობას განათლების სფეროში. მომსახურების სფეროს განვითარების მეორე დადებითი მხარე არის ბუნებრივ რესურსებზე სულ უფრო ნაკლები დამოკიდებულება და შესაბამისად გარემოს ნაკლები დაზიანება. განათლებაზე მეტად დამოკიდებული და ბუნებრივ რესურსებზე ნაკლებად დამოკიდებული განვითარება არის სწორედ მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია. რაც უნდა ეცადოს მთავრობა სუბსიდიებით და დახმარებებით შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობის არაეფექტური დარგები და საწარმოები, ამით მხოლოდ იმას მიაღწევს, რომ სუბსიდიაზე დამოკიდებული საწარმოები, მეურნეობები არ განვითარდება, ხოლო კონკურენტულ საფუძვლებზე მზარდი მომსახურების სექტორი კიდევ უფრო გაიზრდება და განვითარდება, თუ ძალიან არ დაბეგრავს სოფლის მეურნეობისთვის საჭირო სუბსიდიებისთვის, ან თუ სხვა გადაუღალავ დისკრიმინაციულ პირობებს არ წააწყდენ.

ლიტერატურა
References:

1. Актуальные проблемы развития сферы услуг: Сб. науч. тр. вып. 1,2 СПб.: Изд-во СПбГУЭФ, 2004.
2. Бурменко Т.Д. Сфера услуг: Менеджмент. М.: КноРус, 2007
3. Иванов Н.Н. Управление сферой услуг: инфраструктурный подход: Монография. СПб.: Изд-во СПбГУЭФ, 2001.

4. Котилко В.В. и др. Сфера услуг и проблемы занятости населения. М.: Изд-во Моск. ун-та сервиса, 2001.
5. Труд и занятость в России. 2005. // Стат. сборник. М., 2005.
6. Service management. Strategy and Leadership in Service Business / Ed. R. Norman. N. Y. 2000.
7. <http://financial.ge/>

Генадий Яшвили, Тинатин Яшвили, Тамара Твалчрелидзе
Факторы определяющие новую роль услуг

Резюме

Повышенное внимание, которое уделяется услугам сегодня, обусловлено значительным ростом доли производства услуг в ВВП, в развитых странах значительно превышающей долю материального производства. С другой стороны, научно-практическое осмысление особенностей услуг, их производства и управления пока еще несопоставимо со степенью разработанности названной проблематики в отношении материальных продуктов. Кроме того, долгое время накопление знаний и их распространение в системе подготовки специалистов шло (и идет) в рамках отраслевых систем производства услуг. Это входит в противоречие с феноменом услуги как категории экономической теории и объекта управленческой практики, имеющей общие черты и закономерности развития (а следовательно, и общие подходы управлению), а также с активно протекающими процессами конвергенции различных услуг и последних - с материальным производством.

Особенности объекта управления - услуг - достаточно полно представлены и обоснованы в теории. Однако основное развитие в научной литературе и практической деятельности до сих пор получают разработка и использование рекомендаций по учету данных особенностей в контексте продвижения и реализации услуг, а не их производства. В этих условиях специфика менеджмента в сфере услуг фактически сводится к адаптации теории и практики материальных товаров к требованиям особого объекта управления (услуг). Таким образом, изучение особенностей менеджмента для организаций, производящих услуги не получило в настоящее время систематизированной проработки. В настоящей работе рассмотрены факторы определяющие новую роль услуг.

Ключевые слова: услуг, факторы, объект управления

Рецензент: Профессор Зураб Шенгелиа. Грузинский технический университет.

**Genadi Iashvili, Tinatin Iashvili, Tamar Tvalchrelidze,
Defining factors of new role of service**

Summary

The increasing attention which is paid today to the service factor, is a result of increase of service share in gross domestic product, which significantly surpluses to the material production growth in developed countries. On the other hand, the scientific-practical interpretation of peculiarities of service, their production and management is still incompatible to the quality of working out of named problem towards material products. Besides, the knowledge in specialists' preparing system has been (and still is) proceeding and spread for a long time within the service production field frames. It is against to the service, as a theory of economical category and phenomena of object of management practice, which have the same features of development and regularities (and accordingly the same approaches towards management).

The peculiarities of management object _ service_ are fully represented and justified in theory. But in scientific literature and practical activity mainly the usage of recommendations of account of data peculiarities in the context of introduction and realization of services are being worked out and developed till today. In these conditions the specifics of management in service field actually means adaptation of material goods marketing theory and practices towards the demands of special object (service). So that, the study of management peculiarities for the organizations which produce service was unsuccessful to be systemized worked out. The present work reviews the defining factors of new role of service.

Keywords: service, factor, management object

Reviewer: Professor Zurab Shengelia, Georgian Technical University

თამარ რევაზიშვილი ეკოლოგიური განათლება მღვრადი განვითარებისთვის

განათლება ყოველი ცივილიზაციის საფუძველთ საფუძველია, რაც გულისხმობს შექმნილი ცოდნისა და გამოცდილების, კულტურული და ზნეობრივი ფასეულობების მომავალი თაობებისთვის გადაცემას. დღევანდელი ხისტი ეკოლოგიური კრიზისის პირობებში, როცა უკიდურესადაა გამწვავებული წინააღმდეგობა საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებებსა და ბუნების შემცირებულ საშუალებებს შორის, ადამიანის ზნეობრივი აღზრდისა და განათლების უპირველეს საზრუნავს სწორედ ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედების პრინციპების შემუშავება წარმოადგენს. დღეს ეკოლოგიური აღზრდა და განათლება ადამიანის საერთო განვითარების აუცილებელი პირობად მიიჩნევა.

ეკოლოგიური აღზრდა და განათლება – ფორმალური და არაფორმალური – სწავლების, თვითნასწავლობის, გამოცდილების დაგროვებისა და პიროვნების განვითარების უწყვეტი პროცესია, რომელიც აყალიბებს ღირებულებითი ორიენტაციებისა და ქცევის ნორმებს. სპეციფიკურ ცოდნას იძლევა გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. ამგვარი განათლების მიცემა მეტად რთული, კომპლექსური და ძალიან აქტუალურია. ის ხელს უწყობს ადამიანში მაღალი მოქალაქეობრივი აქტივობისა და ინიციატივების გადვიძებას, რის გარეშეც შეუძლებელია ეკოლოგიური პრობლემების დაძლევა.

„ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ სწავლას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს, რისი საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნების და გაუმჯობესების საქმეში“ – ნათქვამია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამაში [1].

ეკოლოგიამ მე-20 საუკუნეში გაუკონარ განვითარებას მიაღწია. წმინდა ბიოლოგიური მეცნიერებიდან ის გადაიქცა მეგამეცნიერებად, რომელიც მოიცავს როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანურ საკითხებს. ამგვარად, ის წარმოადგენს დისციპლინათა შორის საგანს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოითხოვს იმ დისციპლინებთან კოორდინირებულ სწავლებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიური

პრობლემების გამოვლენასა და მოგვარებას, ასევე, სხვადასხვა სპეციალური კურსების შემუშავებას, რომლებიც მოწოდებული იქნება დისციპლინათაშორისი საკითხების შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ეკოლოგიური განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობა გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საქმეში საყოველთაოდაა აღიარებული. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) და გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ (UNEP) ეკოლოგიური განათლება ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ჰარმონიზაციის ერთ-ერთი ძირითად საშუალებად აღიარა. „მდგრადი განვითარების“ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია დაკავშირებულია ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის სტერეოტიპის შეცვლასთან.

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართული გაეროს საერთაშორისო კონფერენცია გარემოსა და განვითარების შესახებ – „აჯენდა-21“ განიხილავდა რა გარემოსა და განვითარების პრობლემებს, მიღებულ დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებში ხაზი გაუსვა ეკოლოგიური განათლების დიდ მნიშვნელობას მდგრადი განვითარებისა და გადარჩენის სტრატეგიის რეალიზაციაში [2]. მოგვიანებით, 1997 წელს ეკოლოგიური განათლების განსაკუთრებული როლი კიდევ ერთხელ აღინიშნა UNESCO-ს დოკუმენტში „განათლება მდგრადი მომავლისათვის“.

მდგრადი განვითარების კონცეფცია, როგორც მოდელი და დედამიწის ცივილიზაციის ხანგრძლივი არსებობის შესაძლო სცენარი, მოითხოვს გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც უნარი ექნებათ მიიღონ გადაწყვეტილება რთული, კომპლექსური, გაურკვეველი და არასაკმარისად შესწავლილი მაკროეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში [3]. კერძოდ, ინჟინერ-ეკოლოგს, ეკოლოგ-მენეჯერს ან იურისტ-ეკოლოგს უნდა შეეძლოს მუშაობა ეკოსოციოტექნიკურ სისტემებთან, რომლებიც შედგება არა მარტო ფიზიკური, არამედ სოციალური ელემენტებისგან, მჭიდრო კავშირი აქვთ საზოგადოებასთან და მუდმივად ასრულებენ მათ მოთხოვნებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ მდგრადი განვითარების პრობლემა მრავალმიზნიანი და მრავალასპექტიანია და მოიცავს საზოგადოების ჯგუფებისა და ლიდერების მრავალრიცხოვან ინტერესებს, საჭიროა გადაწყვეტილება

მიიღებოდა შეთანხმებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავცდებით ინტერესთა კონფლიქტს. ურთიერთგაგების მცდელობას მივყავართ ყოვლისმომცველ კოორდინირებულ რაციონალურ-პოლიტიკურ დაგეგმვასთან. სამწუხაროდ, წარმოქმნილი ეკოლოგიური პრობლემები არა მარტო რთული, არამედ ცუდად ფორმალიზებადია. ხშირად კონფლიქტების გადაჭრა მოიცავს სამართლის, ფინანსურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ სფეროებს. არჩევნები, სასამართლო გარჩევები, ბიოროკრატიული ბარიერები, გადაწყვეტილებების მიღების წესები და, ასევე, ბუნებრივი რესურსების მოხმარების ნებაართვები გავლენას ახდენენ დავის გადაჭრის შედეგებზე. გარემოს დაცვის სპეციალისტები ტექნიკური ექსპერტიზის გარდა კარგად უნდა ერკვეოდნენ პოლიტიკაში, საზოგადოების რეაქციაში, ფინანსებში, დაგეგმვაში და კომუნიკაციაში.

ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ამაღლება შეუძლებელია მხოლოდ სპეციალისტების – ეკოლოგების, მართვის მოხელეების, იურისტების, ინჟინრების, კანონმდებლებისა და სხვათა ძალისხმევით, საჭიროა პროცესში ყველა ადამიანის მონაწილეობა მათი სოციალური თუ კულტურული სტატუსის მიუხედავად.

სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხო განვითარებას, მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება და აღზრდაა [4]. სწორედ მას შეუძლია შეცვალოს მასობრივი ცნობიერება, რომელიც ორიენტირებული იქნება ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებაზე, სიცოცხლისადმი, გარემოსადმი, ცალკეული ადამიანებისადმი ეთიკურ, ჰუმანურ დამოკიდებულებაზე. ეკოლოგიური განათლება მიზნად ისახავს ეკოლოგიური მსოფლმხედველობისა და ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებას რაც ეფუძნება, მდგრადი განვითარების იდეებსა და პრინციპებს.

ეკოლოგიური განათლების ამოცანაა მოსახლეობაში დანერგოს გარემოსდაცვითი ჩვევები და ქცევის ნორმები:

- ეკოლოგიური დარღვევების კონტროლირება და გამომჟღავნება;
- ბუნებრივი რესურსების ეკონომიურად მოხმარება იმის მიუხედავად, დეფიციტურია ის, თუ არა;

- სამეურნეო საქმიანობის ყველა შესაძლო შედეგის წინასწარ გათვლა, როგორც მოსალოდნელის, ისე გაუთვებლის წინგებლის;

- ფულის გადახდა იმაში, რაც აღარ სჭირდება, მაგალითად, ნარჩენების უტილიზაციაში;

- რაციონალური ბუნებათსარგებლობის წესების დარღვევაში პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.

ეკოლოგიური განათლება ხალხს საშუალებას აძლევს სამყარო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, აღიქვან არა ზედაპირულად, არამედ სიღრმისეულად, მთელი თავისი ურთულესი სტრუქტურით. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა გარემოს დაცვაში ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

ამიტომაც, 2003 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 57-ე სესიამ 2005-2014 წლები მდგრადი განვითარების ინტერესების შესაბამისი განათლების დეკადად გამოაცხადა. 2005 წელს კი გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE) მიიღო განათლების სტრატეგია მდგრადი განვითარებისთვის. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თეორიული სწავლებიდან უნდა გადავიდეთ თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ სწრაფად ცვლად პირობებში ნასწავლის პაქტიკულ გამოყენებაზე. კერძოდ, სოციალური განვითარების გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე, საქმიანობის შედეგების პროგნოზირებასა და ნეგატიური შედეგების აღმოფხვრაზე. თეორიული ეკოლოგიური მომზადება და ყოველი კარგი სიტყვიერი წამოწყება უნდა რეალიზდებოდეს სასარგებლო საზოგადოებრივი პრაქტიკული საქმიანობით. მაგალითად, ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა ტერიტორიების დასუფთავება და გამშენიერება, მწვანე ნარგავების დარგვა, ნაგვის მოგროვება და სხვა [5].

ამჟამად, ეკოლოგიური განათლება მდგრადი განვითარებისათვის, რაც ყოველისმომცველი პროგრამის სახით ყალიბდება, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევა. ამას მოწმობს 2009 წელს იუნესკოს საერთაშორისო კონფერენციაზე ბონში მიღებული დეკლარაცია განათლების შესახებ მდგრადი განვითარების ინტერესებისათვის.

ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების გაუმჯობესება ჩვენ ქვეყანაში სამართლით არის განპირობებული.

კონსტიტუციური დებულებები განათლების ერთიანი სისტემის არსებობისა და მასზე ადამიანის უფლების შესახებ; კანონები განათლებისა და გარემოს დაცვის შესახებ; ასევე, გარემოსდაცვითი დადგენილებები შეიცავენ აუცილებელ იურიდიულ ნორმებს, რომელთა ერთიანობა ქმნის ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების სამართლებრივ ბაზას. ამასთან დაკავშირებით, საშუალო სკოლებში, ეკოლოგიური მიმართულების საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო დონეზე შემუშავებულია ზომები მოსწავლეთა უკეთ მომზადებისთვის და ამ პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოშვებისთვის, რათა მათ შეძლონ უნარიანად, სამეურნეო საქმის ცოდნით, სწორად გამოიყენონ უზარმაზარი რაოდენობის ბინებრივი რესურსები. გარდა ამისა, მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, გათვალისწინებულია მოსახლეობაში ეკოლოგიური განათლების გავრცელებისთვის მუშაობის გაძლიერება და ბავშვებში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გამოცდილების გაზიარება.

საქართველო ამ კუთხით აქტიურადაა ჩართული არა მარტო ნაციონალურ, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ჯერ კიდევ 1977 წლის ოქტომბერში გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისა (UNESCO) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) თაოსნობით თბილისში მოეწყო ეკოლოგიური განათლების საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი სამთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელზეც 68 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელმა მიიღო „თბილისის დეკლარაცია ეკოლოგიური განათლების შესახებ“. თბილისის დეკლარაცია გარემოსდაცვითი განათლების ერთ-ერთი საბაზისო დოკუმენტი გახდა, რომელმაც შექმნა გარემოსდაცვითი განათლების განხორციელების ძირითადი ჩარჩო როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების დონეზე.

სულ ახლახან, 2012 წლის 6-7 სექტემბერს თბილისის დეკლარაციის მიღებიდან 35 წლის შემდეგ, კვლავ თბილისში საქართველოს მთავრობის ორგანიზებით, UNESCO-სა და UNEP-ის პარტნიორობით ჩატარდა მთავრობათაშორისი კონფერენცია თბილისი +35, რომელზეც 103 ქვეყნის 400-მდე დელეგატმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თბილისის დეკლარაციის მნიშვნელობას და მოუწოდა მსოფლიოს

ქვეყნებს მეტი ძალისხმევა მოახმარონ განათლების ახალ კონცეფციას – განათლებას მდგრადი განვითარებისთვის.

ლიტერატურა

References

1. Saqartvelos Prezidentis brzanebuleba #538, 2002 wlis 18 dekemberi, Tbilisi. Mosaxleobis ekologiuri ganatlebis programis shesaxeb. (Georgian)
2. Povestka dnia na XXI vek. Konferencia OON po oxrane okrujajiushei srede i razvitiu. Rio-de-Janeiro, iul 1992. M.; Centr koordinacii i informacii socialno-ekonomicheskogo soiuza, 1997, s.31. (Russian)
3. Ustoichevoe razvitie i povestka dnia na XXI vek: Izbrannie dokumenti/coctavitel i redactor perevodob Voroshilova G.M., CPB., 1999. (Russian)
4. Revazishvili T., Sadjaro mmartveloba ekologiis spheroshi., Samecniero jurnali „Xelisupheba da Sazogadoeba“ #1(17), 2010. (Georgian)
5. Saxno A.V. Ecologicheskoe vospitanie uchachixsa., Mn.: Krasiko-Print, 2005.

Tamar Revazishvili

Environmental Education for Sustainable Development

Summary

Today, environmental education and training is considered as a necessary condition for overall development of a person.

Environmental education and training is an ongoing process of teaching, experience accumulation and personal development, which forms value system and code of conduct. It provides special skills in the field of environment protection and use of natural resources. It assists to awaken high civic engagement and initiatives in a person, without which this is impossible to overcome environmental problems.

Keywords: Natural management, environment protection, sustainable development, ecological education.

Reviewer: Professor Zizi Svanidze, Georgian Technical University

Тамара Ревазишвили

Экологическое образование для устойчивого развития

Резюме

Сегодня, экологического образование и просвещение рассматривается как необходимое условие для развития человека в целом.

Экологического образование и просвещение, накопление опыта представляет собой непрерывный процесс развития личности, который формирует ценностную ориентацию и нормы поведения. Дает специальные знания в области охраны окружающей среды и природопользования. Она помогает пробуждению в людях высокой гражданской активности и инициативы, без которой невозможно преодолеть экологические проблемы

Ключевые слова: природопользование, охрана окружающей среды, устойчивое развитие, экологическое образование.

Рецензент: Профессор Зизи Сванидзе. Грузинский технический университет

**ეკა ივანიშვილი, ევბანი ბატათაშვილი
რეპორთაჟორისი ეკონომიკური ურთიერთობების
ფორმირების ასაქმება**

ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნამ, რომელიც განაპირობა გეგმურ-ადმინისტრაციული პრინციპებიდან საბაზრო მექანიზმზე გადასვლამ, გამოიწვია გარე ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია, რომელიც თავის მხრივ დაემთხვა მთელი მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალიზურ გარდაქმნას. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ფენომენს მიეძღვნა სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მეცნიერის ნაშრომი, თუმცა თვითონ ტერმინს გლობალიზაცია არ გააჩნია მკაფიოდ ფორმულირებული მეცნიერული განსაზღვრება და ინტერპრეტირება სხვადასხვა სახით. ამერიკელი პოლიტოლოგი ტ. ფრიდმანი გლობალიზაციას ახასიათებს როგორც მაღალი ხარისხის მიზიდველ გზას, რომელსაც მივეყვართ ცხოვრების სტანდარტების ამაღლებისკენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი გლობალიზაციის პროცესს განსაზღვრავს როგორც საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ბაზრის სულ უფრო ინტენსიურ ინტეგრაციას.

პროფესორ რ. გოგოხიას განმარტებით - „მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიო მომცველი ეკონომიკური ურთიერთობების ქსელის წარმოშობას და განვითარებას უფრო კონკრეტულად, გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორების, მათ შორის განსაკუთრებით - შრომის, კაპიტალის და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა“. ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ნ. ჭითანავას აზრით „გლობალიზაცია არის ისტორიული პროცესი მისთვის დამახასიათებელი ეტაპებით, თავისებურებებით, ტენდენციებით, კანონზომიერებებით. იგი აღექვამურად ასახავს შრომის დანაწილების მრავალმხრივ პროცესს, სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოს, მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარეს (პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას, რელიგიას) ერთმანეთთან უშუალო კავშირში აერთიანებს ინტეგრაციისა და ავტონომიზაციის პროცესებს, დამოუკიდებლობას ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი, ალიანსების შექმნისაკენ მისწრაფება. ამიტომ სწორად

უნდა მივიჩნიოთ, რომ გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა“.

ეკონომიკური სივრცის გლობალიზაციის ზემოთ მოყვანილი განმარტებები მიუთითებს მოცემული ფენომენის ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ საერთო ინტეგრაციის პირობებში გარე ეკონომიკური ურთიერთობები შიდაეროვნულთან შედარებით უფრო სწრაფად ვითარდება. შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკის დინამიურ გარდაქმნასთან ადაპტაცია და გარე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მართვის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას.

გლობალიზაციის მიმდინარე პროცესები მეცნიერთა მიერ არაერთგვაროვნად აღიქმება. ზოგიერთი მკვლევარი გლობალიზაციას მიიჩნევს ცივილიზაციის განვითარების ჩიხად, რომელიც ახდენს სახელმწიფოთა ეკონომიკური სუვერენიტეტის ხელყოფას. ამავე დროს სხვები გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებს ახასიათებენ, როგორც ობიექტურ რეალობას დინამიური გარემოთი, რომელიც იძლევა განვითარების შანსს, თუ დროულად მოხდება მოვლენათა განვითარების პრევენციული მართვის პრინციპების გამოყენება.

ძირეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ ახალი ხასიათი შესძინა ეკონომიკურ სფეროში რეგიონთა ურთიერთდამოკიდებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ „რეგიონის“ კატეგორიის მეცნიერულ შესწავლას მსოფლიოს ცნობილმა რეგიონალისტებმა უამრავი გამოკვლევა მიუძღვნეს, დღემდე არაა ჩამოყალიბებული მისი სრულყოფილი ცალსახა ფორმულირება. საქმე იმაშია, რომ მის განმარტებაში ერთმანეთი გადაკვეთა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, გეოგრაფიულმა, სოციალურმა და ა.შ. მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებების პრინციპებმა. უფრო მეტიც, დაიწყო მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკაცია მათი განვითარების დონეების მიხედვით. ყოველივე ამის შედეგად დღეისათვის „რეგიონის“ ცნებამ მიიღო მრავალმხრივი დატვირთვა, მაგრამ ნებისმიერი კუთხით მის განმარტებაში აუცილებლად ფიგურირებს ერთი ელემენტი, რომელსაც ჰქვია ტერიტორია. მოკლედ რომ ვთქვათ, რეგიონის ცნებაში, პირდაპირი

მნიშვნელობით იგულისხმება გარკვეული ტერიტორია, ტერიტორიული სივრცე. გეოგრაფიული მიდგომით მსოფლიოს ცალკეული კონტინენტები რეგიონებად მოიხსენიება (აფრიკის რეგიონი, ევროპის რეგიონი და ა.შ.) თუმცა, უკანასკნელ წლებში „რეგიონი“ ერთი რომელიმე კონტინენტის ისეთ ტერიტორიულ ერთობლიობაზეც გავრცელდა, რომლებიც რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიების, ან მათი ცალკეული ნაწილების ერთობლიობას წარმოადგენენ. მაგალითად, ხშირად იხმარება „ახლო აღმოსვლეთის რეგიონი“, „კავკასიის რეგიონი“ „სამხრეთ კავკასიის რეგიონი“ და ა.შ., რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებს მოიცავენ. მეცნიერულ და პრაქტიკულ სიტყვათა ლექსიკონში „რეგიონი“ ლათინურიდან შემოვიდა. იგი (რეგიო-ლათინურად - მხარე) არის ოლქი, რაიონი, ტერიტორია, ქვეყნის ნაწილი, რომელიც ბუნებრივი ან ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ერთობლიობით გამოირჩევა.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ „რეგიონის“ ცნებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხები და დავადგინოთ თუ რა შინაარსის მატარებელია იგი განვითარების თანამედროვე ეტაპზე. დღეისათვის რეგიონის კატეგორიის განსაზღვრაში შეიძლება გამოიყოს სამი განსხვავებული მიდგომა:

1. რეგიონის კატეგორიის ქვეშ იგულისხმება ამა თუ იმ ქვეყანაში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: მაგალითად, აშშ-ში - შტატები, ოლქები, მუნიციპალიტეტები, ტაუნშიცები; გერმანიაში - მიწები, თემები; კანადაში - პროვინციები, თემები, ოლქები, საგრაფოები; საფრანგეთში - დეპარტამენტები, კომუნები; პოლონეთში - გმინები, მაზრები, ვოევოდები; ჩინეთში - პროვინციები; რუსეთში - ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქები, მხარეები, ადმინისტრაციული რაიონები და ა.შ. ამგვარი მიდგომისას არ მიიღება მხედველობაში ეკონომიკური პროცესები, დაკავშირებული შრომის ტერიტორიულ დანაწილებასთან ანუ რეგიონი არ განიხილება როგორც ეკონომიკური და ტერიტორიული ერთიანობა, არამედ იგი მხოლოდ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაზეა დაფუძნებული.

2. რეგიონის კატეგორიის განსაზღვრაში უპირატესობა ენიჭება ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს. ამგვარი

მიდგომისას რეგიონად მიჩნეულია შრომის ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები, რომლებსაც საფუძვლად უდევს შრომის ტერიტორიული დანაწილება. მთვარი აქცენტი ამგვარი მიდგომებისას გადატანილია გეოგრაფიულ ფაქტორებზე და საწარმოო ძალთა განვითარების მახასიათებლებზე. ცნობილი რეგიონალისტი, აკადემიკოსი ნ. ნეკრასოვი აღნიშნავს, რომ რეგიონის ქვეშ უნდა იქნას

გაგებული ქვეყნის მსხვილი ტერიტორია, რომლისათვისაც დამახასიათებელია მეტნაკლებად ბუნებრივი პირობების ერთგვაროვნება. მისი შესატყვისობა ტერიტორიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, საწარმოო და სოციალურ-ტექნიკურ ბაზასთან, საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურასთან. მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არასაკმარისია მტკიცებულება რეგიონებისა მხოლოდ გეოგრაფიულ ზონებთან გასაიგივებლად. თავისი შინაარსით რეგიონი სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებელთა უფრო რთული და მრავალფეროვანი კატეგორიაა.

3. რეგიონის კატეგორიის განმარტებაში პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომა და კვლავწარმოებითი ასპექტების წინა პლანზე წამოწევა. ამგვარი მიდგომისას რეგიონის წარმომქმნელ ფაქტორებში ჩაირთვება არა მხოლოდ საწარმოო ძალები, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათ ყველა სფეროები, კერძოდ, ბუნებრივი პირობების ერთგვაროვნება, ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ზნე-ჩვეულებები, სოციალური ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან მათი დაშვების თავისუფლება და ა.შ. მოკლედ, რომ ვთქვათ, რეგიონის კატეგორიის ქვეშ გაიგება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების მთელი პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს მოცემულ ტერიტორიულ წარმონაქმნში. თეორიული კუთხით რეგიონის განმარტებაში კვლავწარმოებითი პროცესების შემოტანა საყურადღებოა, მაგრამ დღევანდელი პრაქტიკა ადასტურებს, რომ მის დამკვიდრებას პერსპექტივა არა აქვს და ეს მიმართულება თანდათანობით მივიწყებას მიეცა. საინტერესოდ გვჩვენება პროფ. ი.მესხიას მიერ მოცემული რეგიონის ცნების განმარტება. იგი აღნიშნავს, რომ რეგიონი ეს არის ერთიანი გლობალური სახალხომეურნეობრივი კომპლექსის გამოცალკეებული ნაწილი რაღაც ნიშნებით (ტერიტორიული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური), რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს კონკრეტულ ტერიტორიას და მატერიალური

წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების კომპლექსს. ამ ფაქტორებიდან ერთი რომელიმეს წინა პლანზე წამოწევა განაპირობებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ან გეოგრაფიული რეგიონის ფორმირებას. „რეგიონი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული, გეოგრაფიული და ეკონომიკური ერთეულები, მათში დარგებისა და ტერიტორიების გაერთიანების პირობით“.

ნებისმიერი რეგიონი რეგიონული სისტემის იერარქიის ნაწილია. რეგიონული იერარქიის პირველადი ელემენტია ადგილმდებარეობა, ყველაზე მცირე რეგიონი (თეორიულადაც ეს მცირე რეგიონია).

რეგიონი შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ბუნებრივი რესურსებისა და მოსახლეობის წარმოების და მოხმარების, მომსახურების სფეროს ერთიანობა, არამედ როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული ეკონომიკური ინტერესების მქონე სუბიექტი. ამ თვალსაზრისით რეგიონი მრავალფუნქციური და მრავალასპექტიანი სისტემაა. მისი განხილვა ოთხი სახით არის შესაძლებელი:

1. რეგიონი, როგორც კვაზი სახელმწიფო;
2. რეგიონი, როგორც კვაზი კორპორაცია;
3. რეგიონი, როგორც საბაზრო სივრცე;
4. რეგიონი, როგორც სოციუმი.

რეგიონი-კვაზი სახელმწიფო წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის დანაწევრებულ ქვესისტემას. დღეს მრავალ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს ცენტრალიზაციისა და ფედერალიზაციის პროცესი. ცენტრიდან რეგიონებზე მეტი ფინანსური რესურსებისა და ფუნქციების გადაცემის გზით ყალიბდება ცენტრსა და რეგიონს შორის, ასევე რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმები, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის სისტემაში რეგიონილი ეკონომიკის შედარებით დამოუკიდებელ ფუნქციებს.

რეგიონი - კვაზი კორპორაცია რეგიონული და მუნიციპალური საკუთრებისა და ეკონომიკური საქმიანობის მსხვილი ობიექტია. ამ სახით რეგიონი ბაზარზე კონკურენციული ბრძოლის მონაწილე ხდება. რეგიონების, როგორც კვაზი კორპორაციების არსებობა საბაზრო რეფორმების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

რეგიონი, როგორც საბაზრო სივრცე ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური საქმიანობის პირობებზე და რეგიონული ბაზრების თავისებურებებზე.

რეგიონი-სოციუმი განიხილება როგორც სოციალური ცხოვრების კვლავწარმოების (მოსახლეობა და შრომითი რესურსები, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და სხვა) და განსახლების სისტემის განვითარება. რეგიონი შეიძლება სხვა თვალთახედვითაც განვიხილოთ, მაგ: რეგიონი, როგორც ინფორმაციული საზოგადოების ქვესისტემა ან რეგიონი, როგორც ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის უშუალო მონაწილე.

რეგიონული ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა ეკონომიკური სივრცე - მრავალგვარი ობიექტით და კომუნიკაციური სისტემით გაჯერებული ტერიტორია, დასახლებული პუნქტებით, სამრეწველო საწარმოებით, ათვისებული და რეკრეაციული ფართობებით, სატრანსპორტო და საინჟინრო ქსელით და ა.შ.

რეგიონული ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება ხორციელდება არა იზოლაციაში, არამედ სხვა რეგიონებთან, გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირში. ურთიერთობა ამ რეგიონებთან არის სავაჭრო და ეკონომიკური.

რეგიონთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობებისა და რეგიონთა ინტერესების სისტემას, რომლებიც ვითარდება საზოგადოებრივი წარმოების საქმიანობის პროცესში. ეს კავშირები განპირობებულია შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით, წარმოების ტერიტორიების მიხედვით სპეციფიკაციითა და განლაგებით, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებსა და ნედლეულის წყაროებს, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ხარისხიანი შრომითი რესურსებით უზრუნველყოფას.

რეგიონთაშორისი ურთიერთობები ნაჩვენებია შემდეგ ძირითად დონეზე:

- ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციების, ფირმების, მოქალაქეების დონეზე, რომლებიც ახორციელებენ გარე რეგიონალურ ეკონომიკურ ოპერაციებს;

- საწარმოო კომპლექსების, წარმოების ცალკეული დარგებისა და დარგთაშორისი კომპლექსების დონეზე;

- რეგიონების დონეზე.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების ძირითად ფორმებს წარმოადგენს: წარმოების შედეგების მატერიალური საქონელბრუნვა, რეგიონთაშორისი ტურიზმის განვითარება, საგადასახადო, საკრედიტო, დემოგრაფიული სფეროების შეთანხმებული რეგულირების განხორციელება, ფასწარმოქმნის პოლიტიკის ერთობლივი განხორციელება.

თანამშრომლობის სხვა ფორმას წარმოადგენს რამდენიმე რეგიონის საწარმოს მიერ საწარმოო და არასაწარმოო ხასიათის საქმიანობის ერთობლივი განხორციელება. რეგიონში ამ ფორმების მეშვეობით ყალიბდება ურთიერთკავშირის მთელი სისტემები და ხორციელდება ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირება. ამიტომ, ამ კავშირების დარღვევა ასუსტებს საწარმოო პოტენციალს, ეკონომიკის კონკურენტულ შესაძლებლობებს, იწვევს წარმოების დაცემას, დეპრესიას.

გარე ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაციული ცვლილებების კვლევის მიზნით რეგიონი განიხილება როგორც მეზომასშტაბური რეგული, რომელიც მდებარეობს ნაციონალურ ეკონომიკურ სივრცესა და რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედ სამეურნეო სუბიექტებს შორის. გარე ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს შორის რეგიონი გამოიყოფა თავისი ინტერესების თავისებურებით. ვ. რადაევა მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ეკონომიკური ინტერესები უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების ინტერესებს. რეგიონი ერთის მხრივ ახდენს მის ტერიტორიაზე მოქმედი სამეურნეო სუბიექტების ინტერესების კონსოლიდირებას, რომელიც მიმართულია მოგების მაქსიმიზაციაზე, ხოლო მეორეს მხრივ, ისწრაფვის ამაღლდეს ცხოვრების ხარისხის სტანდარტები რეგიონალურ ტერიტორიაზე.

განვიხილოთ უფრო დეტალურად გარე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში რეგიონის ძირითადი ეკონომიკური ინტერესები. პირველად, რეგიონის ინტერესებს შორის უნდა გამოიყოს სოციალური და ეკონომიკური ვალდებულებების შესრულება, რომელიც რეგიონს ეკისრება ინსტიტუციონალური განვითარების პროცესში. მეორე, აუცილებელია გამოიყოს რეგიონის ეკონომიკური განვითარებით დაინტერესება, რაც თავის მხრივ იწვევს გადასახადების გაზრდას. სხვა შემთხვევაში, რეგიონალური ხელისუფლება ან უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციის იმედად, ან არ შეასრულოს ზოგიერთი ვალდებულება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალური

უკმაყოფილება. ასეთ შემთხვევაში რეგიონები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ რეგიონთაშორის ურთიერთობების განვითარებით იმ შემთხვევაში, თუ იგი განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. მესამე, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პირობებში, ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა არანაკლებ აქტუალურია რეგიონალურ დონეზეც. ერთის მხრივ აუცილებელია საქონლისა და მომსახურების მთელი სპექტრის რეგიონალური მოხმარების უზრუნველყოფა, რაც, როგორც წესი, მოითხოვს სავაჭრო ურთიერთობების ფორმირებასა და ინვესტიციური კაპიტალის მოზიდვას. მეორეს მხრივ, მასშტაბური ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში წარმოიქმნება რეგიონალური ეკონომიკის განვითარებადი ან სოციალურად მნიშვნელოვანი სექტორების დაცვის აუცილებლობა.

ცხადია, რომ თითოეული კონკრეტული რეგიონისთვის ინტერესების სპექტრი შეიძლება გაფართოვდეს ან სახე შეიცვალოს რიგი ფაქტორების გავლენით, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: რეგიონის ინსტიტუციონალური განვითარების დონე, რეგიონალური ხელისუფლებისა და რეგიონის ეკონომიკაში დომინირებული სამეურნეო სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. განხილული რეგიონალური ეკონომიკური ინტერესების არსი, სოციალურ ნორმებთან და სახელმწიფო პოლიტიკის შეზღუდვებთან ერთობლიობაში, საშუალებას იძლევა განისაზღვროს სახელმწიფოს გარე ეკონომიკურ საქმიანობაში რეგიონის ჩართვის ხასიათი: გარე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში რეგიონი პირველ რიგში გამოდის როგორც სუბიექტი, რომელიც ახდენს მოცემული სახის ეკონომიკური საქმიანობის გარემოს ფორმირებას. თუმცა აუცილებელია ორი შესწორების გაკეთება. პირველი, ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონი შეიძლება გამოვიდეს გარე ეკონომიკური საქმიანობის უშუალო მონაწილედ. მეორე, რეგიონის ნებისმიერი ზემოქმედება გარე ეკონომიკური საქმიანობის პროცესებზე შესაძლებელია მხოლოდ რეგიონალური ინტერესების რეალიზაციის მოქმედი მექანიზმის არსებობისას. ამრიგად, გარე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში რეგიონალური ინტერესების რეალიზაციის შესწავლა დაიყვანება რეგიონალური განვითარების დილემის გადაწყვეტამდე: რა წარმოადგენს რეგიონის მიმდინარე მდგომარეობაში განმსაზღვრელს – რეფორმების

განხორციელების რეგიონალური პოლიტიკა თუ საწყისი ეკონომიკური პოტენციალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში მკვეთრად წარმოჩინდა გარე ეკონომიკური ფაქტორების როლი ქვეყნის ეკონომიკისა და ცალკეული რეგიონების განვითარებაში.

ლიტერატურა

References

1. baraTaSvili e., galaxvariZe n., grZeliSvili n., nadareiSvili n. regionuli ekonomika, Tb. 2010;
2. baraTaSvili e., zarandia j., cimintia k. saqarTvelos regionebis konkurentunarianobis kompleksuri Sefaseba, Tb. 2008;
3. baraTaSvili e., danelia T., zarandia j. regionis resursuli potenciali da misi gamoyenebis efeqtianoba sabazro ekonomikis pirobebSi. Tb. 2000;
4. baraTaSvili e., veSapiZe S. regionuli ekonomikuri politika, Tb. 2002;
5. WiTanava n., gardamavali periodis socialur–ekonomikuri problemebi (ekonomikuri globalizacia da erovnul–ekonomikuri usafTხოება). naw. III, Tb., sepsk–i, 2001;
6. mouraviZe d. regionebis ekonomikuri socialuri ganviTarebis mecnieruli safuZvlebis Sesaxeb, t. V, Tb. 2000;
7. gogoxia r. Sereuli ekonomikuri sistema, Tb. 2005.
8. WiTanava n. gardamavali periodis socialur–ekonomikuri problemebi, espski, Sromebis krebuli, 1-6 t, Tb. 1996-2005 ww.
9. Некрасов Н.Н. Региональная экономика: Теория, проблемы, методы. М.: Экономика, 1978.
10. Месхия Я.Е. Вопросы методологии регионального экономического прогнозирования. М.: Наука, 1983.
11. Бурак П. И., Ростанец В.Г., Топилин А.В., Инфраструктура межрегионального экономического сотрудничества и императивы инновационного развития, Издательство экономика, 2009;
12. Буров М. П. Система регулирования экономического взаимодействия регионов, М, 2007;
13. Владимирова И. Г., Глобализация мировой экономики: проблемы и последствия, Менеджмент в России и за рубежом, №3, Издательство "Финпресс", Москва, 2001;
14. Гаврилов А.И. Региональная экономика и управление, М.: ЮНИТИ, 2002;
15. Стпанов М. Региональная Экономика. Москва, 2000;

16. Региональная экономика и управление, /Под общ. ред. А.Л. Гапоненко и Ю.С.Дульшикова. М.: Изд-во РАГС, 2006;
17. Региональная экономика, Под ред. Видяпина В.И., М.: ИНФРА-М., 2007;
18. Шифф М., Уинтерс Л. Региональная интеграция и развитие. М., 2005;
19. Amstrong M., Teylor J. Regional Economic and Policy. Third Edition. Blacwell Publishers, Great Britain: MPG Books, Bodmin, Cormwoll, 2000;

Evgeni Baratashvili, Eka Ivanishvili
The aspects of the interregional economic relations

Summary

Thus, transformation of modern economy which was stipulated by transition from planned-administrative principles to market mechanism, caused the liberalization of external economic activities, what in its turn coincided with the global transformation of the whole world economics.

Fundamental socio-economic transformation and development of market realtions gave new nature to regional relations in economic sphere.

Interregional economic relation is a system of economic realtions and regional interests, which develop in social production process. This relations are determined by the social division of labor, production by teritory and disposition, among them special emphasis is on natural-geographic conditions and raw material sources, infrastructure development and provision of high-quality labor resources.

Basic types of interregional economic relations are: material turnover of production outcomes, interregional tourism development, concerted regulatory implementation of taxation, credit, demographic spheres, joint implementation of pricing policy.

Keywords: material turnover of production outcomes, interregional tourism development, concerted regulatory implementation of taxation, credit, demographic spheres, joint implementation of pricing policy.

Reviewer: Professor Ramaz Otinashvili, Georgian Technical University

Евгений Бараташвили, Ека Иванишвили
Аспекты регулирования межрегиональных экономических отношений

Резюме

Преобразование национальной экономики, которое обусловлено переходом от планово-административных принципов к рыночному механизму, вызвало либерализацию внешнеэкономической деятельности, которая совпала с глобальным преобразованием экономического пространства целого мира.

Коренные социально-экономические преобразования и развитие рыночных отношений предало новый характер межрегиональным отношениям в экономической сфере.

Межрегиональные экономические отношения представляют собой систему интересов экономических отношений и регионов, которые развиваются в процессе деятельности общественных предприятия. Эти взаимосвязи обусловлены общественным распределением труда, развертыванием и спецификацией производств в соответствии с территорией, между тем, особенное значение предается природно-географическим условиям и сырьевым источникам, развитию инфраструктуры и обеспечению качественных трудовых ресурсов.

Основными формами межрегиональных экономических отношений являются: материальное товарообращение результатов производства, развитие межрегионального туризма, согласованное осуществление регулирования налоговых, кредитных, демографических сфер, совместное осуществление политики ценообразования

Ключевые слова: материальное товарообращение результатов производства, развитие межрегионального туризма, согласованное осуществление регулирования налоговых, кредитных, демографических сфер, совместное осуществление политики ценообразования

Рецензент: Профессор Рамаз Отинашвили. Грузинский технический университет

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ნატალია ლებედევა

Правовое регулирование организации законодательной и исполнительной власти субъектов Российской Федерации

На современном этапе развития российского государства одной из проблем государственного строительства является проблема организации законодательной и исполнительной власти в субъектах РФ. Это объясняется тем, что все еще находящаяся в процессе становления система органов государственной власти современной России действует в условиях нестабильности и противоречий.

Часть 2 статьи 11 Конституции РФ определяет, что государственную власть в субъектах РФ осуществляют образуемые ими органы государственной власти. Статья 77 Конституции устанавливает, что система органов государственной власти республик, краев, областей, городов федерального значения, автономной области, автономных округов устанавливается субъектами самостоятельно в соответствии с основами конституционного строя РФ и общими принципами организации представительных и исполнительных органов государственной власти, установленными федеральным законом (часть 1). Кроме того, пункт «н» ч. 1 ст. 72 Конституции РФ определяет, что к совместному ведению РФ и ее субъектов относится установление общих принципов организации и деятельности системы органов государственной власти и местного самоуправления.

В развитие приведенных конституционных норм принят Федеральный закон от 6 октября 1999 г. «Об общих принципах организации законодательных (представительных) и исполнительных органов государственной власти субъектов РФ» (далее – Закон «Об общих принципах организации...») [1].

Необходимо выявить соотношение категорий «система органов государственной власти» (п. «н» ч. 1 ст. 72 Конституции РФ) и «система органов государственной власти республик, краев, областей, городов федерального значения, автономной области, автономных округов» (ч. 1 ст. 77 Конституции РФ). Представляется, что первая категория более широка и вбирает в себя вторую как свой элемент, подсистему. Из смысла п. «н» ч. 1 ст. 72 можно сделать вывод, что в нем отражается возможность Федерации участвовать в установлении

«общих принципов» для субъектов, и закрепляется право субъектов РФ участвовать в установлении общих принципов организации системы федеральной государственной власти и деятельности различных федеральных органов.

Согласно ч. 1 ст. 2 Закона «Об общих принципах организации ...» систему органов государственной власти субъекта РФ составляют: законодательный (представительный) орган государственной власти субъекта РФ; высший исполнительный орган государственной власти субъекта РФ; иные органы государственной власти субъекта РФ, образуемые в соответствии с Конституцией (уставом) субъекта РФ. Конституцией (уставом) субъекта РФ может быть установлена должность высшего должностного лица субъекта РФ.

На каждом уровне (федеральном и региональном) органы государственной власти руководствуются полномочиями, установленными в ч. 3 ст. 5 Конституции РФ: «Федеративное устройство РФ основано на ее государственной целостности, единстве системы государственной власти, разграничении предметов ведения и полномочий между органами государственной власти РФ и органами государственной власти субъектов РФ, равноправии и самоопределении народов РФ». Таким образом, в пункте «н» ч. 1 ст. 72 Конституции РФ говорится о единой системе органов государственной власти (федеральных и региональных). В итоге получается, что система органов государственной власти субъектов РФ, составляет элемент той системы, о которой говорит п. «н» ч. 1 ст. 72. В то же время в ст. 77 речь идет о системе органов государственной власти субъектов РФ в целом. А в п. «н» ч.1 ст. 72 акцент сделан лишь на организацию системы органов государственной власти, следовательно, на организацию и системы органов государственной власти субъектов РФ. В ст. 77 термин «организация» понимается как один из аспектов названной системы.

Итак, система органов государственной власти субъектов РФ является частью системы органов государственной власти в России, о которой в аспекте ее организации говорит п. «н» ч. 1 ст. 72. Система органов государственной власти субъектов РФ включает представительные и исполнительные органы власти. Но не только их. В настоящее время она включает в себя также, конституционные (уставные) суды субъектов РФ и мировых судей. На наш взгляд, в системе органов государственной власти субъектов РФ, основанная на конституционных принципах единства системы государственной власти, разделения власти, в том числе разграничения предметов ведения и полномочий (ст.ст. 5, 10, 11), выделяется самостоятельный

системный объект, в котором воедино увязаны органы законодательной и исполнительной власти субъектов РФ, Они не просто самостоятельны, они взаимодополнительны. И в отличие от конституционных (уставных) судов действуют на обязательной основе. В обязательном порядке в субъектах федерации действуют и мировые судьи. Но они все же относятся к уровню власти субъектов РФ лишь номинально. Они, скорее всего, должны быть охарактеризованы как, по сути, федеральные органы власти с особым статусом и особой территориальной привязкой. Не будем забывать, что правосудие они отправляют от имени Российской Федерации, а не от имени субъектов РФ.

Органы законодательной и исполнительной власти субъектов РФ не просто осуществляют государственную власть на постоянной основе, но и делают это в рамках «общей компетенции». «Органами общей компетенции являются те органы территориальных единиц, которые в пределах последних вправе и обязаны решать не только вопросы своего ведения, но и все публично значимые проблемы, прямо не отнесенные к компетенции других органов власти» [2].

Компетенция законодательных и исполнительных органов государственной власти субъектов РФ – это, прежде всего их общая компетенция, две части единой компетенции субъекта РФ, поэтому органы законодательной и исполнительной власти тесно взаимодействуют в достижении их общих целей. Отсюда появляется необходимость их системной увязки с помощью конституционных (уставных) сдержек и противовесов. Таким образом, в рамках единой системы органов государственной власти субъектов РФ как части системы органов государственной власти в Российской Федерации выделяется целостный системный объект в виде связки самостоятельных, особых по природе и порядку деятельности, но тесным образом взаимодействующих органов законодательной и исполнительной власти субъектов РФ. Преамбула Закона «Об общих принципах организации ...» прямо говорит именно об этом.

Термин «организация» в приложении к законодательной и исполнительной власти субъектов будем использовать в узком значении, хотя в интересующей нас плоскости данный термин легально не определен, но в большинстве его значений он все же трактуется, как обозначающий всегда какую-то часть формальной основы органов власти, а не всю ее. На наш взгляд, организация законодательной и исполнительной власти субъектов РФ включает в себя: 1) вопросы учреждения и формирования соответствующих органов государственной власти; 2) вопросы определения пределов их

активности, то есть вопросы установления их компетенции; 3) формы и порядок их деятельности; 4) материально-процессуальные инструменты их взаимодействия между собой; 5) их внутреннюю иерархию и все, в чем она выражается. Правовое регулирование указанных вопросов составляет, на наш взгляд, институт конституционно-правовых основ организации законодательной и исполнительной власти субъектов РФ.

Анализ перечня пункта 2 статьи 26.3 показывает, что из вопросов организации деятельности органов законодательной и исполнительной власти субъектов РФ в него попали только: 1) организационное обеспечение проведения выборов в органы государственной власти субъектов РФ, референдумов субъекта РФ (п.п. 2); 2) учреждение печатного средства массовой информации для обнародования (официального опубликования) правовых актов органов государственной власти субъекта РФ, иной информации (п.п. 38). Следовательно, все иные стороны организации законодательных и исполнительных органов субъектов РФ федеральный центр может урегулировать в полном объеме. Субъектам при осуществлении варианта такого глубокого федерального регулирования остается только воспроизводить в своих конституциях (уставах) положения федеральных актов.

Представляется, что проблематика организации законодательных и исполнительных органов государственной власти субъектов РФ все же в своей принципиальной части относится к сфере совместного ведения. В то же время ряд входящих в нее вопросов (например, внутренняя организация регионального парламента, порядок деятельности региональной администрации, т.п.) следует отнести к сфере собственного ведения субъектов федерации, попадаемой в зону действия статьи 73 Конституции Российской Федерации.

ლიტერატურა

References:

1. Федеральный закон от 6 октября 1999 г. «Об общих принципах организации законодательных (представительных) и исполнительных органов государственной власти субъектов РФ» // СЗ РФ. 1999. № 42. Ст. 5005; Semenova M.S., Lebedeva N.V. Legal dualism of local government in Russia // European Researcher. 2011. № 2 (4).
2. Конституционное право России: Учебник / Отв. ред. А.Н. Кокотов, М.И. Кукушкин. М., 2003. С. 254.

ნატალია ლებედევა
რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო და
აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის
სამართლებრივი რეგულირება

რეზიუმე

სტატია ეძღვნება რუსეთის ფედერაციაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის განსაზღვრისა და სამართლებრივი განმტკიცების საკითხების თეორეტიკულ კვლევას.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, თეორეტიკული კვლევა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება

რეცენზენტი: პროფესორი გიორგი ბალათურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Natalia Lebedeva

Legal regulation of the legislative and executive authorities of the Russian Federation

Summary

Article is devoted theoretical research of the questions connected with definition, legal fastening of the organization of legislative and executive power of subjects of the Russian Federation.

Keywords: Russian Federation, theoretical research, legislative and executive power

Reviewer: Professor Georgi Bagaturia , Georgian Technical University

**Елена Закарян
Алла Сушкова**

Конституционно-правовые основы судебной власти в России

Впервые дефиниция «судебная власть» в современном российском законодательстве была введена в 1990 году[1], в связи с чем проблемы разработки и изучения понятия «судебная власть» приобрели актуальность в юридической науке.

Следует отметить, что ни Конституция РФ, ни другие нормативные правовые акты не дают определения судебной власти. В настоящее время представителями юридической науки разработано несколько концепций и подходов к определению понятия «судебная власть». Среди них можно выделить несколько основных.

Согласно наиболее распространённому подходу, судебная власть определяется как система судебных органов, осуществляющих правосудие, основоположником данного направления является профессор И.Я. Фойницкий [2].

В настоящее время ряд авторов, например Ю.А. Дмитриев, Г.Г. Черемных, определяют судебную власть как «систему государственных и муниципальных органов, обладающих предусмотренными законом властными полномочиями, направленными на установление истины, восстановление справедливости и наказание виновных, решения которых обязательны к исполнению всеми лицами, которых они касаются» [3].

Другой подход к определению судебной власти (функциональный) заключается в понимании её как деятельности по рассмотрению и разрешению судебных дел. По мнению В.М. Фокина, судебная власть – это реализуемые судом властные полномочия, которыми он наделен для разрешения дел, отнесенных к его компетенции в строгом соответствии с установленными процессуальными формами путем применения как процессуального, так и материального закона [4].

В понятии судебной власти, представленном сторонниками обеих концепций, выделяются два ключевых момента, образующих неразрывное единство. Первый, содержательный, состоит в том, что судебная власть – это полномочия по разрешению возникающих в обществе конфликтов с использованием специальных процедур. Второй, организационный, заключается в том, что это полномочие принадлежит исключительно судам.

Обратим внимание на тот факт, что в юридической литературе понятие «судебная власть» определялось также в качестве производного от понятия «государственная власть». Как отмечает Вяткин М.Ф., юридическая природа судебной власти заключается в том, что она, являясь отражением единства и неделимости власти народа как источника и субъекта всей государственной власти, приобретает государственный характер в качестве специальной правовой категории [5].

Анализируя современные определения понятия «судебная власть», необходимо отметить, что в научной литературе и в законодательстве, кроме термина «судебная власть», применяются и другие понятия: «судебная система», «правосудие», «суд» [6]. Следует обратить внимание на тот факт, что в Конституции РФ 1993 года (ст.ст. 10, 11) и в ФКЗ «О судебной системе РФ» используются термины «судебная власть» и «правосудие», которые выражают одно и то же понятие, но не являются синонимами. Для предмета конституционного регулирования более адекватен термин «судебная власть», в котором акцент делается на систему органов, эту власть осуществляющих. Термин «правосудие» подчеркивает содержание, функцию, свойственную только судам.

Мальцев Г.В. дает следующее определение: «Правосудие – конституционно-закрепленная определенная форма деятельности государства в сфере осуществления судебной власти, выражающаяся в защите и охране судами общей и арбитражной юрисдикции нормального функционирования общественных отношений, складывающихся с участием граждан, предприятий и организаций» [7].

Повышение эффективности правосудия было поставлено Президентом Российской Федерации В.В. Путиным в ряд важнейших приоритетов государственной политики. В своем Послании Федеральному Собранию 2005 года [8] он акцентировал внимание на актуальности проблем повышения эффективности правосудия, обеспечении открытости в работе судов и, как следствие, создании необходимого уровня доверия к судебной системе со стороны российского общества.

По мнению В.А. Лазаревой, конституционные основы судебной системы – это совокупность взаимосвязанных норм и принципов, зафиксированных в Конституции РФ и конституционном законодательстве, определяющих взаимоотношение судебной власти с личностью, организацию и функционирование всех органов судебной системы [9].

Судебная власть реализуется в различных правовых формах конституционного, гражданского, административного, уголовного, арбитражного судопроизводства. Судебная власть характеризуется независимостью, самостоятельностью и обособленностью. В.П. Кашеповым отмечено[10], что ряд характерных черт судебной власти можно продолжить такими характеристиками, как исключительность, подзаконность и полнота. Исключительность судебной власти заключается в том, что никакой иной орган государственной власти или управления не вправе принимать на себя функции и полномочия, составляющие компетенцию судов. Присвоение полномочий суда является наиболее опасной формой посягательств на правопорядок, конституционный строй общества. Подзаконность судебной власти находит своё выражение не только в том, что судебные органы и судьи действуют на основе закона, подчиняются только Конституции и ФЗ, но и в том, что её носители не вправе отступать в своей деятельности от требований законодательства. Полнота судебной власти определяется её объёмом, окончательностью решений, принимаемых судебными органами и их обязательностью.

ლიტერატურა

References:

1. Декларации «О государственном суверенитете РСФСР» от 12 июня 1990 г. // СПС «КонсультантПлюс».
2. Фойницкий И.Я. Курс уголовного судопроизводства. – СПб., 1995 – Т.1. – С. 158.
3. Дмитриев Ю.А., Черемных Г.Г. Судебная власть в механизме разделения властей и защите прав и свобод человека // Государство и право. – 2007. – № 8. – С. 48.
4. Фокин В.М. Правоохранительные органы РФ: Дисс. канд. юрид. наук. – М., 2003. – С. 31.
5. Вяткин М.Ф. Конституционно-правовое регулирование судебной власти в Российской Федерации : Дисс. ... канд. юрид. наук. – М., 2004. – С. 52.
6. Бойков А.Д. Третья власть в России (Очерки о правосудии, законности и судебной реформе). – М., 1998. – С. 104.
7. Козлова Е.И., Кутафин О.Е. Конституционное право России: Учебник. – М., 2009. – С. 529.
8. Мальцев Г.В. Конституционное право России: Учебник. – М., 2010. – С.314.
9. Послание Президента РФ Федеральному Собранию Российской

Федерации 2005 года // www.duma.gov.ru.

10.Лазарева В.А. Судебная власть и её реализация в уголовном процессе.- Саратов, 1999. – С. 10.

ელენე ზაქარიანი, ალა სუშკოვა

სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები რუსეთში

რეზიუმე

სტატია ეძღვნება სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლებს რუსეთში. განხილულია ცნებები: "სასამართლო ხელისუფლება", "სასამართლო სისტემა", "მართლმსაჯულება", "სასამართლო" და სხვა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, სასამართლო სისტემა, მართლმსაჯულება, სასამართლო

რეცენზენტი: პროფესორი შოთა დოღონაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Elena Zakaryan, Alla Sushkova

Constitutional and legal framework of the judiciary in Russia

Summary

The article is devoted to the judicial authorities in the Russian Federation. Special attention is paid to characteristics of the judicial power in Russia. Covered in detail the concept of «judicial power», and also similar to them: «judicial system», «justice», «court»; the analysis and differentiation of similar concepts.

Keywords: Russian Federation, judicial system, justice, court

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

ს ა ზ ო ბ ა დ ო ე ბ ა

ნათია ასათიანი

"გაცო... რაღაცა უბედურებამ ბუღი აუტრუა ახლანდელ ყმაწვილებს..." "დარისპანის გასაჭირი" რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე

ქართველი კლასიკოსი მწერლის, ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, დავით კლდიაშვილის სატირული, ცრემლნარევი და იუმორშეხავებული პიესები, ისევე როგორც მოგვიანებით პოლიკარპე კაკაბაძის პიესები, და განსაკუთრებით მისი "ყავარყავარე თუთაბერი", წარამატებით იდგმებოდა და ახლაც იდგმება ჩვენი ქვეყნის თეატრების ცენაზე.

დავით კლდიაშვილის მიერ "მარტივად" და "მსუბუქად" მოწოდებულ, ყოფითი პრობლემების მომცველ, ღრმა სულიერი განცდების მატარებელ დრამებში, აღწერილია მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ახალ ცხოვრებას "ფეხსვერშეწყობილ" იმერელ ზოგიერთ თავდა-აზნაურთა გაუსაძლისობამდე გაჭირვებული ყოფა, გულგრილი რომ არ დაუტოვებია თითქმის ყველა, დიდი თუ გამოუცდელი რეჟისორი. ავტორი გულისტკივილით, თანაგრძნობითა და იმავდროულად "წოდებრივი სატირის" ჟანრში გადმოგვცემს ტრადიციების დამცველი და პატივმოყვარეობაში გადაზრდილი, ყოფილ წარჩინებულთა გარეგნული მხიარულების, ხალისიანი ნიღბისა და თავმომწონეობის მიღმა საკუთარი ცხოვრების დაფარვის დასაცინი მცდელობის ამოებას. სილატაკის ზღვარზე მისულთა უსახსრობას "დარისპანის გასაჭირში" კიდევ უფრო ამძიმებს საკუთარი ქალიშვილების "დიღემად" ქცეული გაუთხოვრობა. დავით კლდიაშვილის დიმილის მომგვრელი სხარტი იმერული დიალექტით გაჯერებული შემოქმედებისადმი ინტერესი საუკუნეზე მეტია არ ნელდება მაყურებელსა და მკითხველებში.

რობერტ სტურუასა და თემური ჩხეიძის პირველმა ერთობლივმა სპექტაკლმა "სამანიშვილის დედინაცვალი" სრულიად ახალი სიტყვა თქვა, ახალი უღერადობა შესძინა ქართულ თეატრალურ ხელოვნებას.

2006 წელს დებიუტანტმა რეჟისორმა, მსახიობმა ზაზა პავუაშვილმა რობერტ სტურუასთან ერთად მირიან შველიძის სცენოგრაფიით "დარისპანის გასაჭირი" განახორციელა.

როგორც ბ-ნი რობერტისაგან მოსალოდნელი იყო, მან ამჯერადაც არ "გააწბილა" მაყურებელი და პიესის სრულიად მოულოდნელი ინტერპრეტაციით გადაწყვეტილი - პოსტმოდერნისტული, საზგასმულად ეკლექტიკური სპექტაკლი შესთავაზა მას.

სრულ სიბნელეში გიტარის მუსიკის თანხლებით, ოდნავ ზემოთ აწეული ფარდის მიღმა, სცენის ცენტრში, დისკოსებური მოხაზულობის განათებაში იატაკზე მწოლიარე მამაკაცია. გაღვიძებული, თითქოს დიდი ხნის ძილით გაკვირვებული, ფარდის კალთის დახმარებით ამდგარი და კვლავ მასზე "ჩაბლაუჭებული" (რომლის მცირედ აწეული ნაწილიდან, ლოკალურ ლურჯ და წითელ ფერებში მოაგურისფრო, მოღვინისფრო, თეთრი-ნახევარტონებით ჩართული განათება მოჩანს), მაყურებელთან ახლოს მოსული, თანამედროვედ ჩაცმული (გრძელი კაშხე და შლაპით) "კონფერანსიექტეული" დარისპან ქარსიძე (ზაზა პაპუაშვილი) მისაღმების - "აქა მშვიდობა" - შემდეგ, რეფრენივით განმეორებული "მკაცრი" "ჩუ-ჩუთი", მასხარასებრ დატუქსვის ფორმით სპექტაკლის სათაურის ნაწილს-"ისევ დავით კლდიაშილი, ისევ წარსული, ისევ დარისპანის... თვითონვე იცით რაც!"- აცხადებს. ამგვარი თავისებური დასაწყისიდანვე - დარისპანის გამოღვიძებიდან მის მიერ სპექტაკლის სათაურის არასრული და საკმაოდ უცნაური, მეტიც, არაორდინალური გამოცხადებით პირველყოვლისა ნათელი ხდება, რომ მაყურებელს სტურუას ხელწერისათვის დამახასიათებელ, პიესის ორიგინალური მონტაჟით გადაწყვეტილ სპექტაკლთან უწევდა შეხვედრა. იმავედროულად ამ მცირე მონაკვეთში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დავით კლდიაშვილის მიერ გადმოცემული მატერიალურად გადატაკებულ და სულიერად დაცემულთა "ხალისიან" ცხოვრებაში თითქოს დრო გაიყინაო, იგივე პრობლემებით და იგივე სატკივართ ჩვენს სინამდიფლეშიც (გათანამედროვეებული ვარიანტით), გრძელდება. უთუოდ ამიტომ არ ჩათვალა საჭიროდ ახალგამოღვიძებულმა დარისპანმა სპექტაკლის სათაურის სრულად გამოცხადება (რადგან პიესაში აღწერილი ამბავი "გუშინწინ", "გუშინ", "დღეს" მოხდა და ხვალაც მოხდება). იგი დარწმუნებულია, რომ მაყურებელმა ძალიან კარგად იცის "რაც... ავანსცენაზე ჩვენგან მარჯვნივ თანდათნ იკვეთება მხატვრის მიერ თითქოს ნატურმორტის დასახატად მომზადებული-მაგიდა სკამით; "ღვინიანი გრაფინი" ორი ბოკალით, ერთში ყვავილით. ერთობ

მოუწესრიგებელი მაგიდის მცირე ნაწილზე - კომპოზიციის "სრულყოფილებისათვის"- გადაფარებული და იატაკზე ჩამოცურებული ქსოვილით (როგორც შემდეგ ირკვევა ეს უკანასკნელი, დარისპანის დიდი ზომის კაპიშონიანი მოსასხამია), იქვე მაგიდასთან ("ოთახის" ცენტრშიც) მიყრილ-მიტოვებული სამშენებლო იარაღები და მათი ყუთებია. დარისპანის "მონოლოგის" შემდეგ ზემოთ ნახევრად აწეული ფარდით გახსნილი სცენის სიბრტყეზე "მშვიდად თანამეზობლობენ" მირიან შველიძის მიერ ერთ დაზგაზე განლაგებული ორი ურთიერთგანსხვავებული და შეუფერებელი, მეტიც კონტრასტული, მაგრამ ერთ მთლიანობად აღქმული სამყარო თავისი ნაგებობებითა და ნივთებით: სოფლის ეზო, მასთან მიჯრით მდგომი საყდარი - X-XI საუკუნეების მარტვილის ორსართულიანი ჯვარგუმბათოვანი, ამჟამად უპატრონობითა და მოუვლელობით უგუმბათოდ დარჩენილი, ნგრევამდე მისული პატარა ტაძარი; რასაც მისი გვერდითი ფასადი და ჩამონგრეული ნაწილი, მასთან დაყრილი ქვები და სახურავზე ამოსული ხეები მოწმობს. მხატვრის მიერ მაკეტის სახით წარმოდგენილია გაპარტახებული და მიტოვებული ტაძარი და ოდესღაც მკვიდრად ნაგები, ქვეყნის დამცველი და იმედი, ამჟამად უსახური და ნგრევის პირას მისული, თავზე "ოწინართ" ამოშვებული "ციხე-სიმაგრე", იქვე უწესრიგოდ მიყრილი სამშენებლო თუ საყოფაცხოვრებო ინვენტარი და თოკზე დაკიდული ცელოფანში "ჩასმული" სამოსია.

მხატვრის მიერ ამგვარი სახით მოწოდებული ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის სულიერი და მატერიალური ძეგლები თავად "მოგვითხრობენ" საკუთარ წარსულ დიდებას და აღმშენებლობაზე, ომებით გამოვლილ, ქარტყხილებზე, ნგრევებზე და კვლავ აღდგენაზე. ამასთანავე ისინი "ნაღვლიანად შეცქერიან" ეხლანდელ- მშვიდობიან დროს თავიანთ ნგრევას და აღზევებულთა საკუთარ "აღმშენებლობას". ტაძარი და "ციტადელი" მათთან ახლოს მდგომი ფოთლების გარეშე (ზამთარზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე) დარჩენილი, ვაშლის განძარცვული, უფრო უპრიანი იქნება თუ ვიტყვით გამხმარი ხე. ორი მხრიდან მიდგმული პწკალით და განხეთქილების ვაშლის სიმბოლოდ მიჩნეული ერთადერთი ნაყოფით (რომლის ჩამოგდებასაც მოგვიანებით ცდილობს ოსიკო-იოსები). ხეს - სამი ვერტიკალური სკნელის: ქვესკნელი (ფესვები), სკნელი (ტანი ტოტებითა და ფოთლებით) და ხესკნელი (მისი

კენწეროვანი ნაწილი, ცისკენ მსწრაფი) მიწისა და ცის მაკავშირებელ, მუდმივად ზრდა-განახლების სიცოცხლის ხის სიმბოლოს , რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ძირითადი ფუნქცია, დღევანდელი საქართველოს სიმბოლოდ აღიქმება. რაც შეეხება ხესთან აღმოსაფლეთ-დასავლეთით მიდგმული - ყურძნისა და ნებისიმერი ხილის კრევისათვის გამოსაყენებელი-კიბეები, სხვების საჯიჯგნად გამხდარი ჩვენი ქვეყნის მოხერხებულად და მარჯვედ ძარცვის საშუალებად მიგვაჩნია. რომელსაც ოსიკოსნაირები და მათთან ერთად ათასი უცხო ჯურის მეზობელი თუ "ცხრა მთის გადაღმიდან" მოსულები, თუ კიდევ რაიმე შეგვრჩენია, იმ ერთადერთი ვაშლივით, უკანასკნელსაც კი მისხალ-მისხალ გვტაცებენ. სამაგიეროდ იქვე ეზოში ტაძარზე მაღალი ე.წ. "ახალი ქართველის" სახლი, ავეჯითა და მანქანითურთ "მოვლილი" და "საგულდაგულოდ" შეფუთულია. იქნება ეს სცენის სიღრმეში მართკუთხა თაღში უქმად მდგარი როიანი (მერე რა, რომ სახლში ვერავინ უკრავს-დასასრულს ნატალიას გარდა- მაგრამ მაინც იყოს "ძვირფასი ნივთია". მასზე დაკერის უშუდგო მცდელობის შემდეგ, ისევ მაყურებლისაკენ წამოსული დარისპანი ტაძართან ჩაველისას, თითქმის შეუჩერებლივ პირჯვარის გარდასახვასთან ერთად ამბორს უგზავნის მას. როილთან იქვე ცელოფნიანი მანქანა დგას, ძარით მაყურებლისაკენ (არც ტარება იციან ... ისიც აუცილებელია); სწორედ იგი იქნა სპექტაკლის ბოლოს ოსიკოს გასართობ დოლად და სწრაფადვე თავ გატყეილი ოსიკოს წასაყვანად გამოყენებული. მასთან მარცხნივ "კაფელ-მეტლანში" ჩასმულ მდიდრულ სააბაზანო ოთახში (საიდანაც გამოსული ცხელი წყლის "ბუდით ბინა ივსება") მობანავე დარისპანის დის მართას (ნინო კასრაძე) შიშველი სხეული იკვეთება. მართას უთავბოლოობის და უქნარა მუშების გამო მშენებლობა დაუსრულებელია, მაგრამ მთავარია გარედან იყოს პომპეზური და არ ჩანდეს, თორემ კედელი იმდენად გაუმაგრებულია, რომ დარისპანს მასზე შემთხვევით დაჯახებისას, ლამის მთელი სახლი დაემხო თავზე; კარის ნაცვლადაც გარე სამყაროდან გამმიჯნავი ცელოფანია ჩამოფარებული. ეს უკანასკნელი სხვისი გაჭირვების დაუნახაობასა და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილობაზე მეტყველებს; ხოლო არამდგრადი კედელი - მართასნაირთა კეთილდღობის მერყეობაზე. პელაგიას (ნანა ფაჩუაშვილი) მიერ რკინის გორგოლაჭებიანი მაგიდით ქსოვილგადაფარებული "ახალთახალი" კომპიუტერის

შეფუთვა რა გასაკვირია, როცა ტადართან ახლოს ძველი უვარგისი და გადაადებული გაზქურაც კი ცელოფნითაა შეფუთული. ვფიქრობთ, მაყურებლის უმრავლესობა ბევრჯერ წასწყდომია "უნახავ" მეშხანთა ოჯახებში მათთვის არა საჭირო, გამოუყენებელ, თუნდაც სხვების დასანახად თაროებზე შემოწობილ გადაუფურცლავ წიგნებს (აქო და ჩვენც ვკითხულობთ). ასევე გვინახავს შეფუთული ავეჯიც, უშუალო შეხებით რომ არ გააუფუჭოს ვინმემ და მთელი ცხოვრება მათი ვიტრინის სამშვენისებო-ყურებით დატკბეს პატრონი.

მხატვრის მიერ ორიგინალურად მოფიქრებული და გადაწყვეტილი არამც თუ დეკორაციები და ნივთები არამედ ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალიც კი (რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ), მრავლისმეტყველი, ღრმა ფსიქოლოგიური და სიმბოლური დატვირთვის მატარებელია.

მაყურებლის ყურადღებას იპყრობს აბაზანიდან ხალათისა და თმების სწორებით გამოსული მართას მიერ პიესის ავტორის ორჯერ გამოცხადებისას მისი ექსცენტრიკული საქციელი, გამოწვეული სცენის შუამდე ჩამოწეული (ისევე როგორც დარისპანის მონოლოგის შემდეგ) ფარდის ნახვით "აცხაცახებული" მართა მის ჩამოწევას რამდენჯერმე უშედეგოდ ცდილობს. ბოლოს სცენაზე შემოტანილი და შუბივით მისსავე, ლაქიადქვეული მამაკაცისაკენ (ზაზა ბარათაშვილი) "შესაშინებლად" მიშვერილი ჭოკით აღწევს მიზანს.

სპექტაკლის - ორი მთავარი პერსონაჟის - და-ძმის - მიერ მოქმედებაში ფარდის აქტიური ჩართვით იქმნება შთაბეჭდილება იმისა, რომ მართა და დარისპანი (რომლის "დირიჟორობითაც" ფარდა ნახევრად აიწია) მისი სრულად გახსნით გარდასული დროისთვის საბურველის ახდის "გამაფრებულ" სურვილად უნდა მივიჩნიოთ (მართა ახერხებს კიდევ "დარისპანი"- ვერა ... უფრო სწორედ - არა!) იმ წარსულის, რომელიც იგივე არსის მომცველი მსგავსი პრობლემების თანამედროვეობასთან შესატყვისი მხატვრული ინტერპრეტაციით განმეორებას უნდა ნიშნავდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე დასაწყისში დარისპანთან დაკავშირებულ მოსაზრებას - წარსულიდან აწმყოში თითქმის უცვლელად გადმოტანილი (თითქოს დრო გაჩერდაო) ამბის განმეორებადობას ცხადყოფს. სცენაზე ზემოდან მოწყენილი სახით დამყურე, ფონზე რეგისტრებად დაყოფილ თეთრ

დრუბლებში ჩართული ლოკალური (დვინისფერი, ლურჯი და მწვანე) ფერების გრადაციებში, წელზევით გამოსახულია რაფაელის "სიქსტის მადონას" ექოსავით განმეორებული ფრაგმენტი "მადონა ყრმით"- როგორც ვიცით რაფაელის ფერწერულ ტილოზე (მან პირველმა გამოიყენა ნახატისათვის ტილო) ანგელოზების თავების ფონზე გამოსახულია დრუბლებზე მაყურებლისაკენ ფეხშიშველი მომავალი მარიამი ყრმით და მის შესახვედრად ორივე მხარეს მუხლ მოდრეკილი ბავშვების მფარველი წმინდანი ბარბარე და პაპი იულიუს II. სადღესასწაულო სვლას ქვემოდან შეჰყურებენ (იმავედროულად კომპოზიციას ასრულებენ და ჰკრავენ) ხელებზე დაყრნობილი ორი პატარა ანგელოზი (პუტები).

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს შველიძის მიერ სპექტაკლში რაფაელის "სიქსტის მადონას" გამოყენება და არა ვთქვით ლეონარდოს ნებისმიერი შედეგისა "მარიამი ყრმით". ჩვენი აზრით იგი განპირობებული უნდა ყოფილიყო მხატვარზე რაფაელის შედეგის იმ ზემოქმედებით, რასაც საუკუნეების მანძილზე ახდენდა (დღესაც ახდენს) არა მხოლოდ ხელოვნების მცოდნეებზე, არამედ რიგით მაყურებელზე. კერძოდ: რაფაელმა პირველმა შესძლო სურათში ერთდროულად-რელიგიურ, ამაღლებულ ზეიმურობასთან, საყოველთაოდ აღიარებული მიწიერი განცდების-დედურ სითბოსთან, სიყვარულთან შეზავებული შვილის მომავლის, მისი ბედისადმი ზრუნვის მომენტების-გაერთიანება. რაც შეეხება სცენაზე მიმდინარე მოვლენების შესაბამისად შველიძის მიერ ფერწერული ტილოს არასრულად, ციტირებით გამოყენება ზედმიწევნით პასუხობს წარმოდგენლ ამბავს. ამასთანავე, რაც შეეხება ყრმა იესოსადმი მარიამის განცდას, მხატვარმა ფართო პლანით მისი ჩვენებით ხაზი გაუსვა ახალგაზდა გოგონების მშობლებისა და "კეთილის-მსურველების" სრულიად საპირისპიროს - ყოველგვარი ამაღლებულის წმინდა დედაშვილური გრძნობის, სიყვარულის გათელვას, სადაც ყოველივე ტყუილზე, მლიქვნელობაზე და ანგარებაზეა დაფუძნებული. ამასთანავე მხატვრის ინტერპრეტაცია - განმეორებული მარიამი ყრმით, არა ხმოლოდ ძველი ამბის განმეორებაზე უნდა მივანინშნებდეს, არამედ გათხოვების გამო ოჯახურ და დედის სითბოს დანატრებული, ბედნიერების მოსურვე კაროუნასა და ნატალიას მომავალი გამარჯვების სიმბოლოდ მოიაზრება.

ფარდის აწვეით მიზანს მიღწეული მართა სიგარეტითა და

სასმისით ხელსი კომპიუტერთან "ორთაბრძოლისას" ხან ბრაზდება და დგება, ხან სკამით ტრიალებს ან მასზე "გადაწოლილი" და კომპიუტერის მაგიდაზე ფეხებზე წყობილი ისვენებს, "ხარბად" ეწევა სიგარეტს და ცლის ბოკალს, შემდეგ კი კვლავ გაბრაზებული ნერვიულად აკაკუნებს კლავიშებზე. ძნელი მისახვედრი როდია, რომ იგი მარცხდება კომპიუტერთან "ჭიდილში" რაც შემდგომში განვითარებული მოვლენების მისთვის სასიკეთო მცდელობების კრახით დასრულების წინაპირობად აღიქმება. თამაშისას პელაგიას მიერ მოტანილ ფოსტაში მართა შენიშნავს (პიესაში ოსიკოს მოსვლის მაცნეს) წერილს. მხატვარმა და რეჟისორებმა სპექტაკლში ძალზე მარტივი დეტალით: მისი "დალუქვით" "სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის" მინიჭების გარდა, კიდევ რამდენიმე სიმბოლური დატვირთვა შეუთავსეს მას. წერილის წაკითხვისას "გონების დაკარგვამდე" მისული აღელვებული ქალის არაორდინალური ქცევის მიხედვით მაყურებელი ხვდება, თუ რაოდენ "დიდი პატივია" მისთვის ონისიმე და ოსიკო ხარაბაძის სტუმრობის მაუწყებელი წერილი და მართას მიერ დაგდებულ კონვერტში აღმოჩენილი კულონი ოსიკოს სურათით! მართა გააკადრებს თუ არა ესოდენ "აღმატებული პიოვნების" მოსვლას, მაშინვე წამოსულ კოკისპირულ წვიმასთან ერთად იწყება მოქმედ პირთა, მართალია მცირე დროით, მაგრამ ილუზიებით, ფორიაქით ურთიერთდაპირისპირებითა და შეხლა-შემოხლით აღსაგეს საკმაოდ დაძაბული ცხოვრება. ბარათით ვიზიტის შეტყობინებისას კოკისპირული წვიმა (იგი დარისპანისა და კაროუნას მოსვლის "თანხლებიცაა"); ამასთანავე მართას მიერ კონვერტის "ამრეხით" ძირს დაგდება; მისივე "კატეგორიული უარის" შემდეგ პელაგიას მუდარაზე "ოსიკო შემოიყვანოს მის სახლში სიძედ) მართას ჯიბრზე პელაგიას მიერ თითქოს ოსიკოაო. კონვერტის ნაკუწებად ქცევა, მაყურებელს თავიდანვე უსიამოვნო მოლოდინით განაწყობს. ამასვე ცხადყოფს ტანკების თანხლებით ოსიკოს "მობრძანებას". "სტიქიურ უბედურებამდე" მისული "ძლიერი წვიმა და ქარიშხალი". ეს უკანასკნელნი (ოსიკოს მოსვლის შეტყობინებიდან) რეფრენივით თან სდევს სპექტაკლს, ისევე როგორც დარისპანის მიერ ხშირად განმეორებადი, ტანჯვად ქცეული სიტყვები: "კაცო ... რაღაცა უბედურებამ გული აუცრუა ეხლანდელ ყმაწვილებს, აღარ კეიდებიან ოჯახებს" და "თქვენ რამდენი ქალიშვილი გყავთ ბატონო?!" რაც შეეხება კონვერტს, როგორც აღვნიშნე მას ფრიად საპასუხისმგებლო

